



კრისტაღი

ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია



**წლიური
ანგარიში
2019**



ჩვენ შესახებ

სააქციო საზოგადოება მისო კრისტალი („კრისტალი“) არის საქართველოში წამყვანი ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია და აქტივების ზომით უმსხვილესი არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტი. კრისტალი მართავს 297 მილიონიან სასესხო პორტფელს და 48 ფილიალში დასაქმებული დაახლოებით ათასი თანამშრომლით ქვეყნის მასშტაბით 100 ათასზე მეტ უნიკალურ მომხმარებელს ემსახურება. კრისტალი ოპერირებს, როგორც ეკონომიკური განვითარების პლატფორმა და მიკრო, მცირე მეწარმეებსა და ფერმერებს აწვდის მათზე მორგებულ ინოვაციურ ფინანსურ პროდუქტებსა და სერვისებს.

კრისტალი რეგიონში პირველი არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტია, რომელმაც საერთაშორისო კომპანია Fitch Ratings-ის ფინანსური შეფასება გაიარა და მიენიჭა “B” სტაბილური რეიტინგი. 2018 წლის დეკემბერში, კრისტალმა მიიღო სოციალური პასუხისმგებელი ბიზნესის ეროვნული ჯილდო „მელიორა“.

მეტი ინფორმაციისა და ანგარიშის ციფრული ვერსიისთვის, ეწვიეთ:
<https://ir.crystal.ge/>





კრისტალი


ფინანსური ჩართულობის
ორგანიზაცია

სარჩევნი

5	სტრატეგიული ანგარიში	48	მმართველობითი ანგარიში	60	ფინანსური ანგარიში
6	მიმოხილვა	50	სამეთვალყურეო საბჭო		
7	ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები	50	თავმჯდომარე	165	დანართები
8	თავმჯდომარის განცხადება	51	საბჭოს შემადგენლობა	167	დანართი 1 -
12	თავმჯდომარის განცხადება	52	კორპორაციული მართვა		გაერთიანებული სამეფოს
	უფროსი აღმასრულებელი ოფიცრის წერილი	52	ფინანსური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა		კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობა
17	მაკროეკონომიკა და ბაზრის მიმოხილვა	53	სამეთვალყურეო საბჭოს წევრები	169	2019 წლის მდგომარეობით
22	ბიზნესმოდელი	56	მმართველი გუნდი		დანართი 2 -
23	კორპორაციული სტრატეგია	58	კომიტეტის ანგარიშები		2019 წლის სოციალური
25	ძირითადი შედეგები				გავლენის კვლევა
26	მნიშვნელოვანი ბიზნეს ინოვაციები			181	დანართი 3 -
27	ლიზინგის ბიზნესი				YES Georgia რიცხვებში (2019)
29	ძირითადი რისკები და გაურკვევლობები			183	შემოკლებები
32	კრისტალის გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობა				
33	2019 წლის ძირითადი მიღწევები და აღიარება გარემოსდაცვითი და სოციალური (E&S) მიმართულებით				
36	ადამიანები ჩვენს ორგანიზაციაში				
42	ინოვაციების მართვა				
44	ინფორმაციული ტექნოლოგიები				
48	ანალიტიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება				



დამსრუტის მართვლის
ორგანიზაცია



სტრატეგიული
ანგარიში



მიმოხილვა

კრისტალი არის განვითარების პლატფორმა მიკრო და მცირე მენარმეებისთვის, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში სიღარიბის დაძლევის მენარმეობის ხელშეწყობით ფინანსური, სოციალური და გარემოსდაცვითი მდგრადობის გზით.

კრისტალის ხედვაა გახდეს მომხმარებელზე ფოკუსირებული, ადამიანებზე ორიენტირებული და მონაცემებზე დაფუძნებული წამყვანი რეგიონალური ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია.

კრისტალის უპირატესობა გახლავთ ის, რომ ჩვენ საკუთარ თავს მივიჩნევთ ჩვენი მომხმარებლების განვითარების პლატფორმად. ჩვენი გადაწყვეტებზე ორიენტირებული მიდგომა გვცხმარება გავცდეთ საკრედიტო უზრუნველყოფაზე ფოკუსირებას. ფინანსური ჩართულობა მოითხოვს ხელმისაწვდომობას უფრო მეტ სერვისზე, როგორცაა მიმდინარე ანგარიში, სადაზღვევო და არაფინანსური მომსახურება, მათ შორის ბიზნეს და ფინანსური რჩევები, ტექნოლოგიური აპლიკაციები, ისევე როგორც განათლება, ინფორმაცია და ლიდერობის განვითარების შესაძლებლობები.

კრისტალი არის საქართველოში წამყვანი ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია და აქტივების ზომით უმსხვილესი არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტი. კრისტალი მართავს 297 მილიონიან სასესხო პორტფელს და 48 ფილიალში დასაქმებული დაახლოებით ათასი თანამშრომლით ქვეყნის მასშტაბით 100 ათასზე მეტ უნიკალურ მომხმარებელს ემსახურება.


კრისტალის ინსტიტუციონალური აქციონერები არიან „ფონდი კრისტალი“, „Incofin IM“ და „Developing World Markets“. კომპანიას აქვს გრძელვადიანი ურთიერთობა 25 პარტნიორთან, მათ შორისაა საერთაშორისო მიკროსაფინანსო ფონდები, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები და ადგილობრივი კომერციული ბანკები. კრისტალი კორპორაციული ობლიგაციების ბაზრის აქტიური მონაწილეცაა. მისი კორპორაციული ობლიგაციები საქართველოს საფონდო ბირჟის „ბ“ კატეგორიაშია დაშვებული.

კრისტალი რეგიონში პირველი არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტია, რომელმაც საერთაშორისო კომპანია Fitch Ratings-ის ფინანსური შეფასება გაიარა და „B“ სტაბილური რეიტინგი მიიღო.


2018 წლის დეკემბერში კრისტალმა სოციალური პასუხისმგებელი ბიზნესის ეროვნული ჯილდო „მელიორა“ მიიღო.

ფინანსური და სოცერასიო მარკენებლები


მომხმარებლები




სასესხო პორტფელი




უიმედილო სასესხო




მთლიანი აქტივები




რისკის მართვის ხარჯი




ხარჯების შემოსავლიანი ფარდობა (შემოსული შემოსავლის/საჯარო ჩამოღობი)




წინდა მოგება/ (ზარალი)




მთლიანი კაპიტალი




უკუგება საშუალო აქტივებზე




უკუგება საშუალო კაპიტალზე



ფილიალები



თანამშრომლები



სტრატეგიული ანგარიში

თავმჯდომარის განცხადება



არჩილ ბაკურაძე
სამეთვალყურეო საბჭოს
თავმჯდომარე

ძვირფასო აქციონერებო,

ძალზე სასიამოვნოა რთული, მაგრამ კიდევ ერთი წარმატებული წელიწადის შეჯამება „კრისტალის“ ისტორიაში. განვლილ 2019 წელს შემიძლია თამამად ვუწოდო ჯანსაღი რეორგანიზაციის წელი, არა მარტო „კრისტალის“, არამედ მთელი საცალო საფინანსო სექტორისა და მიკროსაფინანსო სფეროსათვის.

დინამიკური ზრდისა და მომგებიანობის დეკადის შემდეგ, საფინანსო სექტორის მთავარმა მარეგულირებელმა ორგანომ – „საქართველოს ეროვნულმა ბანკმა“, სამომხმარებლო დაკრედიტების პირობების შერბილება და, პარალელურად, არასაბანკო საფინანსო დაწესებულებების დაკრედიტების სტანდარტებისა და ეკონომიკური ნორმატივების გაზრდა გადაწყვიტა.

შედეგად, საქართველოში შეიქმნა, ერთი მხრივ, გაცილებით უკეთესი გარემო მომხმარებელთა უფლებების დასაცავად, ხოლო, მეორე მხრივ, მიკროსაფინანსო სექტორი გაცილებით უკეთ დარეგულირებული და ფინანსურად უფრო სტაბილური გახდა, რამაც აშკარად გამოიწვია საკრედიტო პორტფელების შეკუმშვა, მომგებიანობის დონის დროებითი ვარდნა და შედარებით მცირე, ნაკლებად სტრატეგიული მოთამაშეების ბაზრიდან გასვლა, უფრო ძლიერ და სტრატეგიულ მოთამაშეებს კი კონსოლიდაციის შესაძლებლობა მიეცათ.

სიამაყით აღვნიშნავ, რომ „კრისტალმა“ კიდევ ერთხელ გამოავლინა რთულ პირობებთან ადაპტაციისა და წინააღმდეგობებთან განსაკუთრებული შემართებით გამკლავების გასაოცარი

უნარი, რათა კიდევ უფრო გაძლიერებულიყო და, ამასთანავე, არ ეღალატა თავისი კორპორაციული ღირებულებებისათვის.

მიკროსაფინანსო სექტორში საბალანსო ღირებულების უმნიშვნელო 2.5%-იანი ზრდის ფონზე (საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემი), ჩვენ მოვახერხეთ 12.32 %-ით გაგვზარდა სრული სასესხო პორტფელი, რითაც, 100 ათას ლარამდე სესხების შემთხვევაში, ჩვენი საბაზრო წილი საცალო ფინანსურ ბაზარზე 5%-ამდე გაგვზარდეთ.

ყოველივე ზემოაღნიშნული კი მიღწეულ იქნა „კრისტალის“ ახლად დანიშნული უფროსი აღმასრულებელი ოფიცრის ილია რევიას ხელმძღვანელობით მენეჯმენტის გუნდის გასაოცარი ძალისხმევით, კომერციული ჯგუფის

მუხლჩაუხრელი შრომითა და ორგანიზაციის მთელი პერსონალის მხარდაჭერით.

მართალია, ფინანსური მაჩვენებლები არ იყო სახარბიელო, მაგრამ „კრისტალმა“ მაინც მოახერხა გაეკეთებინა უზარმაზარი ნახტომი – გამოენახა სისტემებისა და პროცესების გაუმჯობესებისა და საოპერაციო ეფექტიანობის შესაძლებლობა, რაც, საბოლოოდ, მდგრად მომგებიანობასა და სააქციო კაპიტალის გრძელვადიან ღირებულებაში უნდა აისახოს.

ცვლადმა საბაზრო სიტუაციამ გამოავლინა ჩვენი სისტემებისა და შესაძლებლობების გარკვეული ნაკლოვანებები, რამაც სესხების გაცემის მეთოდოლოგიის გადასინჯვა, შიდა საკრედიტო კონტროლისა და მთლიანი საკრედიტო რისკის მართვის პროცესების განმტკიცება განაპირობა. გარდა ამისა, საცალო ანგარიშების მნიშვნელოვანი ზრდისა და მთელი ბაზრის მასშტაბით აქტივების ხარისხის გაუარესების ფონზე, „კრისტალმა“ განაახლა დავალიანებების მართვის სისტემა და გააუმჯობესა ამოღების მექანიზმი და ეფექტიანობა. უმოქმედო სესხების წილი ჩვენს სასესხო პორტფელში რომელმაც 2019 წლის მაისში თავის თითქმის 8%-იან ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია, 5.58%-მდე შემცირდა.

მენეჯმენტის გუნდმა წარმატებით განახორციელა „კრისტალის“ დისტრიბუციის ქსელის ოპტიმიზაცია - სოფლად არსებული მცირე ფილიალების, ე.წ. „ბუტიკების“ ქსელი გარდაქმნა ფილიალებად და წელიწადი მთელი

ქვეყნის მასშტაბით არსებული 48-ფილიალიანი ძლიერი ქსელით დაასრულა. ამგვარად, საოპერაციო ეფექტიანობა გარკვეულწილად ამაღლდა.

საქართველოში არსებულმა არასტაბილურმა პოლიტიკურმა გარემომ და დაძაბულმა ვითარებამ რეგიონში, გავლენა იქონია ეკონომიკაზე, კერძოდ, ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებსა და უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებზე, რამაც, თავის მხრივ, ეროვნული ვალუტის გაუფასურება გამოიწვია. ეს კი დადებითად არ აისახება ჩვენს ინვესტორებზე, რომელთაც კაპიტალდაბანდება აშშ დოლარით განახორციელებს. თუმცა, საკმაოდ ოპტიმისტურად გამოიყურება წლის ბოლოს სავალუტო კურსი (2.8677), მოკლევადიანი პროგნოზი და ამასთანავე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები სავალუტო ანგარიშის ერთციფრიანი 5.1% დეფიციტით და გაუმჯობესებული სავაჭრო ბალანსი, განსაკუთრებით ევროკავშირთან.

ძირითადი მიღწევები

„კრისტალის“ მომავლის შესახებ ჩვენი საერთო ხედვის წარმოჩინებამდე, ნება მიბოძეთ შევხვო 2019 წლის რამდენიმე ღირსშესანიშნავ მიღწევას:

- ჩვენს პატივცემულ ინვესტორებთან - Developing World Markets-სა და Incofin/AgRIF-თან წარმატებით გავაფორმეთ კაპიტალში მონაწილეობის შესახებ ჯამურად 10 მილიონი ლარის ახალი გარიგებები

და ამგვარად გავამყარეთ „კრისტალის“ საბალანსო უწყისისა და კაპიტალის ადეკვატურობის მაჩვენებლები. წლის ბოლოს მდგომარეობით, ჩვენი სააქციო კაპიტალი 59,862 ლარს შეადგენს, ეს კი კაპიტალის ადეკვატურობის მაღალ მაჩვენებელს განაპირობებს და ორგანულად ან ბაზრის კონსოლიდაციის შესაძლებლობების გამოყენებით, შემდგომი ზრდის მყარ საფუძველს ქმნის;

• შედარებით დაბალ ფასად განვათავსეთ კორპორაციული ობლიგაცია, რასაც, ამ სირთულეებითა და გაურკვევლობებით აღსავსე წელს, დაერთო გლობალური სარეიტინგო სააგენტო FitchRatings-ისაგან 'B'/სტაბილური პერსპექტივით მიღებული შეფასება. ეს მოვლენა თავისთავად აღსანიშნავია, მაგრამ სხვა საინტერესო ასპექტიც აქვს. ჩვენ მოვახერხეთ გამოგვეშვა პირველი სოციალური ფასიანი ქაღალდი, რომელიც ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას მიეძღვნა. აქედან მიღებული შემოსავლების ნაწილი მიმართულ იქნა იმ საწარმოთა დასაფინანსებლად, რომელთაც ქალები ხელმძღვანელობენ, რაც „კრისტალის“ ახალი, „ქალებისთვის განკუთვნილი პროდუქტის“ შექმნას მოასწავებდა;

• ამ ფონზე, გადავწყვიტეთ „კრისტალის“ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით ახლად დაფუძნებული შპს „კრისტალ კონსალტინგის“

მეშვეობით გაგვეწია დამატებითი ღირებულების მქონე ისეთი მომსახურება, როგორცაა ტრენინგი, მენტორობა და ქსელური თანამშრომლობა.

„ფონდ კრისტალთან“ თანამშრომლობის ფარგლებში „კრისტალ კონსალტინგმა“ SAP-ის საერთაშორისო გუნდისგან მიიღო მნიშვნელოვანი მხარდაჭერა „ქალებისთვის განკუთვნილი პროდუქტის“ არაფინანსური ნაწილის შესამუშავებლად. წლის ბოლოს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან [USAID] დავიწყეთ საყურადღებო თანამშრომლობა, რათა საქართველოს მასშტაბით მხარი დაგვეჭირა ახალგაზრდებისა და ქალებისათვის. ამ პროექტის მხარდაჭერა ხორციელდება თეთრი სახლის „ქალთა გლობალური განვითარებისა და კეთილდღეობის“ [W-GDP] ინიციატივით, რომლის მიზანია 2,500 ქალისთვის გაზარდოს ხელმისაწვდომობა ხარისხიანი განათლების, ტრენინგის და ბაზრის შესაძლებლობების კუთხით (1,500 ქალი Buzz-Georgia-ს კომპონენტიდან, 500 ახალგაზრდა ქალი ახალგაზრდა მენარმეების კომპონენტიდან, 500 ახალგაზრდა/აპლიკანტი მრჩეველთა / მენტორინგის კომპონენტიდან). ამ საქმიანობისა და „კრისტალის“ გენდერული გაძლიერების შიდა ინიციატივებისათვის, ორგანიზაციას „გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა“ გადასცა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) ჯილდო გენდერული თანასწორობის პრინციპების დაცვისთვის;

სასიამოვნო სიურპრიზი იყო კიდევ ერთი აღიარება, რომელიც საქართველოში მსოფლიო ბანკისა და ევროკავშირისგან

მივიღეთ - საპატიო ჯილდო წლიური ანგარიშისა და გამჭვირვალობისათვის. ეს მხოლოდ განამტკიცებს ჩვენს რწმენას, რომ კრისტალის მისიის წარმატებით განხორციელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს რეგულარული ხარისხიანი ანგარიშგების, გამჭვირვალობისა და, ზოგადად, გარემოს დაცვის, სოციალურ და კორპორაციული მართვის საკითხებში [ESG] უმაღლესი სტანდარტების უზრუნველყოფა;

დაბოლოს, ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი მიღწევა იყო „A-“ შეფასების მიღება საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო MicroFinanza-სგან [MFR], რაც მიუთითებს, რომ სოციალურად ორიენტირებული ინიციატივების განხორციელებისა და სოციალური გავლენის მხრივ, „კრისტალი“ ლიდერია რეგიონში. აშკარაა, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია და სამომავლოდ კომპანია კიდევ უფრო გააძლიერებს გარემოს დაცვასა და სოციალურ ჩართულობას.

დამატებითი ინფორმაცია კოვიდ-19-თან დაკავშირებით

წლიურ ანგარიშზე მუშაობისას შევითვქვით, რომ კოვიდ-19 გლობალური პანდემიით გამოწვეული კრიზისი დაიწყო. კორონავირუსი რომ ჯანდაცვის სფეროში გლობალური საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საბაზი იყო, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 2020 წლის 30 იანვარს განაცხადა. ვინაიდან მოვლენები მიანიშნებს, რომ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ განვითარებული მოვლენები არამაკორექტირებელია, ჩვენ

კოვიდ-19-ს არამაკორექტირებელ მოვლენად მივიჩნევთ. ამიტომ არ დაგვიკორექტირებია ფინანსურ უწყისებში მითითებული თანხები. საჭირო განმარტებები გავაკეთეთ როგორც ამ წერილში, ისე მთელ ანგარიშშიც.

შემდგომი ნაბიჯები

ეს ანგარიში შესაძლებლობას გვაძლევს, რომ გავხედოთ წინ და განვსაზღვროთ, თუ როგორ წარმოგვიდგენია ჩვენი მომავალი, რომელშიც მოვიაზრებთ „კრისტალთან“ დაკავშირებულ ყველა მხარეს: აქციონერებს, მენეჯმენტსა და პერსონალს, კრედიტორებსა და პარტნიორებს.

ჩვენი ხედვის თანახმად, „კრისტალი“ უნდა გახდეს რეგიონში წამყვანი, კლიენტზე ფოკუსირებული, ხალხზე ორიენტირებული, მონაცემებზე დაფუძნებული ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია. ჩვენ ხელს ვუწყობთ უმაღლესი სტანდარტების დაცვას გარემოს დაცვის, სოციალურ და კორპორაციული მართვის საკითხებში [ESG], ვასრულებთ რა მიკრო და მცირე მენარმეების განვითარებისთვის პლატფორმის როლს, მხარს ვუჭერთ „კრისტალის“ სიღარიბის დაძლევის მისიას.

მართალია, საკრედიტო და საოპერაციო რისკების მართვის გონივრულ პოლიტიკას ვემხრობით, მაგრამ ვვარაუდობთ, რომ კომპანია დიდ ყურადღებას მიაქცევს ინოვაციებს, ტექნოლოგიურ ლიდერობას, მდგრად ზრდას (15% ან უფრო მეტი) და აგრეთვე გეოგრაფიულ გაფართოებას. ამასთანავე ვვარაუდობთ მომგებიანობის საშუალოზე მაღალ მაჩვენებელს საქართველოს საბანკო/საფინანსო სექტორში. ვახორციელებთ

დივიდენდების განაწილების ისეთ განონასწორებულ პოლიტიკას, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ზრდაში ჩადებულ ინვესტიციასა და აქციონერებისთვის რეგულარული დივიდენდების გადახდას შორის ბალანსის შენარჩუნებას.

2020 წელს ჩვენი სტრატეგიული გეგმაა:

- კოვიდ-19-ით გამოწვეული კრიზისის დაძლევა, პერსონალისა და კლიენტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ლიკვიდობის პროაქტიური მართვა, საკრედიტო რისკის ოპტიმალური მართვა კაპიტალზე ზეწოლის შესამსუბუქებლად, ხარჯების ოპტიმიზაცია, მარეგულირებელი ნორმების დაცვა და აქციონერთან ეფექტიანი კომუნიკაცია;
- კოვიდ-19-ის გავრცელებით, განახლებული მისიის ეფექტიანად შესრულება, რაც გულისხმობს „დაკრედიტებადი“ სეგმენტების ჩვენი „ახალი რისკის მადის“ მიხედვით პროაქტიურ დაკრედიტებას და მომსახურების იმ ახალ სახეობებში ინვესტირებას, რომლებიც ხელს უწყობს ჩვენი ბიზნესკლიენტებისა და საცალო კლიენტებისთვის ადაპტაციის ზომების გატარებას;
- ორგანიზაციული კულტურის განმტკიცება და პერსონალის ეთიკის ამაღლება, აგრეთვე სისტემების შექმნა მიმდინარე კრიზისთან გამკლავებისა და მოგვიანებით კრიზისის შემდგომი ზრდის შესაძლებლობების რეალიზაციის მიზნით;
- საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად შესაძლებლობების შესწავლა;
- ჩვენი ენერგოეფექტიანი და განახლებადი ენერჯის

პორტფელის გაუმჯობესების გზით პროგრესის დემონსტრირება;

- ახალგაზრდებისა და ქალების ეკონომიკურ გაძლიერებაზე ყურადღების გამახვილება ქალებისთვის განკუთვნილი სრულმასშტაბიანი პროდუქტის გამოშვებით და დამატებითი ღირებულების მქონე ინოვაციური მომსახურების სახეების დანერგვით;
- გარემოს დაცვისა და სოციალური საქმიანობის გაუმჯობესებული მართვის გზით, გარემოს დაცვის, სოციალური და კორპორაციული მართვის (ESG) სტანდარტების შემდგომი განმტკიცება და ჩვენი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საქმიანობის გაფართოება ყველაზე შეჭირვებული კლიენტების საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით.

დასასრულ, მინდა მადლობა გადავუხადო სამეთვალყურეო საბჭოში ჩემს კოლეგებს ერთიანობისა და პროფესიონალიზმისათვის, მოლაპარაკებების კულტურის ფორმატში კომპანიის საქმიანობის საუკეთესოდ წარმართვისათვის. განსაკუთრებული მადლობა ჩვენს მენეჯმენტის გუნდსა და მთელ პერსონალს, ყველას, ვინც „კრისტალის“ ამბიციურ მისიას რეალობად აქცევს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ჩვენი მარეგულირებლის - საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კოვიდ-19-თან დაკავშირებულ კრიზისამდე და კრიზისის პერიოდში განეული ძალისხმევა პროგნოზირებადი და სამართლიანი საქმიანი გარემოს, აგრეთვე ბაზრის კონკურენტუნარიანობის, გამჭვირვალობისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

და ბოლოს, მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს პატივცემულ კრედიტორებს, აქციონერებს, პარტნიორებსა და მომსახურების პროვაიდერებს, რომელთა მხარდაჭერითაც „კრისტალს“ შეუძლია უზრუნველყოს გრძელვადიანი სააქციო კაპიტალის ღირებულება და შეასრულოს საქართველოსათვის მისი უაღრესად მნიშვნელოვანი მისია ამ უპრეცედენტო გამოწვევის პერიოდში.

პატივისცემით,
არჩილ ბაკურაძე
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

სტრატეგიული ანგარიში

უფროსი აღმასრულებელი ოფიცრის წერილი



ილია რევია

უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი

ძვირფასო აქციონერებო,

„კრისტალში“ უფროსი აღმასრულებელი ოფიცრის თანამდებობაზე 2019 წელს დავინიშნე, მანამდე კი „საქართველოს ბანკში“ ვმუშაობდი. ამ ჩემს პირველ წერილში, მოკლედ მოგითხრობთ გასული წლის საქმიანობის, კომპანიის სამუშაო გარემოსა და იმ ორგანიზაციის შესახებ, რომელშიც დიდი ენთუზიაზმით ვმუშაობ.

გავბედავ და ვიტყვი, რომ 2019 წელი „კრისტალისთვის“ უდიდესი ცვლილებების წელი იყო როგორც ახალი სირთულეების, რომელთა დაძლევა კომპანიას მოუწია, ისე ორგანიზაციული შესაძლებლობების თვალსაზრისით, რომლებიც ჩვენ ამ სირთულეების დასაძლევად შევქმენით. როგორც თქვენთვის ალბათ უკვე ცნობილია, 2018-2019 წლებში „საქართველოს

ეროვნულმა ბანკმა“ (სებ) მიიღო რიგი რეგულაციები, რომლითაც მიკროსაფინანსო სექტორს პრუდენტული ნორმატივების შესრულებაზე კონტროლი დაუწესა, ხოლო ყველა კრედიტორს მკაცრი დაკრედიტების სტანდარტები დაუდგინა. სექტორში რისკების მნიშვნელოვნად შემცირების პარალელურად, ამ რეფორმამ მიკროსაფინანსო ბაზარზე ზრდისა და მომგებიანობის მაჩვენებლების შესუსტება გამოიწვია. იმავდროულად, სხვადასხვა მიზეზის გამო, მთელ ბაზარზე შეინიშნებოდა აქტივების ხარისხის გაუარესება, ხოლო გამძაფრებულმა კონკურენციამ „კრისტალი“ საბაზრო წილის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში უფრო მსხვილი კომერციული ბანკების პირისპირ დააყენა. არაერთი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბაზრიდან გავიდა და საქმიანობის გაზრდილი ხარჯებისა

და ახალი სირთულეების დასაძლევად საჭირო ორგანიზაციული რესურსების ნაკლებობის გამო.

ყველა წინააღმდეგობის მიუხედავად, „კრისტალმა“ ამ საანგარიშო პერიოდში კვლავ მიაღწია ზრდის მაჩვენებლებს. მთელი წლის შედეგებით, „კრისტალის“ სასესხო პორტფელი 297,211 ლარს გაუტოლდა, რაც წინა წლის ანალოგიური მაჩვენებლის 12.3 %-იან ზრდაზე მიუთითებს, შემოსავლებმა 52,912 ლარი, ხოლო წაგებამ 324 ათასი ლარი შეადგინა. ამ მოცულობის ზრდაზე რომ გასულიყო, კომპანიამ გადაახალისა სამუშაო პროცესები და ამავდროულად არსებითად გააუმჯობესა ორგანიზაციის საერთო რენტაბელობა და ხარჯეფექტიანობა. 2019 წლის მაისში დაფიქსირებულ 7.99%-იან ისტორიულ პიკთან

შედარებით, მთლიან სესხებში ვადაგადაცილებული (NPL) სასესხო პორტფელის წილმა წლის ბოლოს 5.58% შეადგინა. აქტივების ხარისხის გაუმჯობესების პროცესი 2019 წლის მეორე ნახევარშიც გაგრძელდა, რაც დაკრედიტების გაუმჯობესებულმა დისციპლინამ განაპირობა.

„კრისტალის“ მდგრადობა, მისი ბიზნესმოდელის გამართულობა და საბაზრო ცვლილებებზე რეაგირების უნარი სრულად დადასტურდა ჩვენი აქციონერების, აგრეთვე არსებული და ახალი კრედიტორების მხარდაჭერით. ჩვენმა აქციონერებმა (DWM & Incofin) 10 მილიონი ლარის დამატებითი ინვესტიცია განახორციელეს სებ-ის მიერ მიკროსაფინანსო სექტორისათვის გამკაცრებული კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების (მინიმალური კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნა - 18%) დასაკმაყოფილებლად. „კრისტალის“ კრედიტორთა უკვე კარგად განვითარებულ ბაზას შეუერთდნენ ახალი და პატივცემული საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები („ევროპის საინვესტიციო ბანკი“, „შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი“), რომლებმაც მცირე და მიკრო მენარმეობის განვითარებისთვის განკუთვნილი დამატებითი ფინანსური სახსრები გამოყვეს. გარდა ამისა, ადგილობრივ ბაზარზე ჩვენ წარმატებით გამოვუშვით მეორე კორპორაციული ობლიგაცია (15 მლნ ლარის მოცულობით), რომელიც განკუთვნილია მენარმე ქალების განვითარებისთვის.

2019 წელს საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო Fitch Ratings-მა „კრისტალს“ კიდევ ერთხელ მიანიჭა „B“ სტაბილური რეიტინგი, რაც კომპანიის მდგრადი ოპერაციების დამადასტურებელი დამატებითი მტკიცებულებაა.

2019 წლის მეორე ნახევარში კომპანიამ განახორციელა გეოგრაფიული კონსოლიდაცია, რომლის ფარგლებშიც მანამდე საქართველოს სოფლებში მომუშავე 15 მცირე ფილიალი (ე.წ. „ბუტიკი“) შეერწყა მუნიციპალურ ცენტრებში მდებარე უფრო მსხვილ ფილიალებს და შვიდი დანარჩენი „ბუტიკი“ სრულმასშტაბიან ფილიალად გარდაიქმნა. აღნიშნულმა კონსოლიდაციამ მასშტაბის ეკონომიის, ჩვენი კლიენტებისთვის უკეთესი და უფრო ინკლუზიური მომსახურების შეთავაზებისა და, იმავდროულად, ბიზნესის საქმიანობის ორი დამოუკიდებელი მიმართულების ერთ მიმართულებად გაერთიანების შესაძლებლობა მოგვცა. კონსოლიდაციის ეს პროექტი განხორციელდა „კრისტალის“ უმაღლესი კორპორაციული და სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტების დაცვით - კომპანიამ შერწყმული „ბუტიკების“, ფაქტობრივად, ყველა თანამშრომელს შესთავაზა დასაქმება უფრო მსხვილ ფილიალებში ან კომპანიის სათაო ოფისში.

ქართველი მიკროსაფინანსო კლიენტები თანდათან უფრო მომთხოვნები ხდებიან, რადგან მოსახერხებლობა მათთვის მეტად მნიშვნელოვანი ხდება. ამიტომ

სასიამოვნო იყო იმის დანახვა, რომ „კრისტალის“ POS საკრედიტო და ინტერნეტპლატფორმა „აკიდო“ კვლავ იზიდავდა კლიენტებს კომპანიაში. 2019 წელს უფილიალო დაკრედიტების შედეგად 10.6 ათასი ახალი კლიენტის შექენით ჩვენი საკრედიტო პორტფელი 1.7 მილიონი ლარით გაიზარდა. „აკიდოს“ მეშვეობით მობილიზებულმა პორტფელმა ჯამში 8.2 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო 16 ათასამდე აქტიურმა კლიენტმა მთლიანი პორტფელის 15.6%-ს მიაღწია.

შეთავაზებული პროდუქტების დივერსიფიკაციის მიზნით, მე-4 კვარტალში წარმატებით დავენერგეთ სპეციალური „ავტო“ მიმართულება და გამოვუშვით ახალი პროდუქტი ავტოდაკრედიტების სფეროში. ამ მიმართულების მიზანია 2020 წლის ბოლოსთვის მოვიცვათ ავტოსესხების/ლიზინგის ბაზრის 1%-იანი წილი, შევთავაზოთ ჩვენს კლიენტებს ავტომანქანების როგორც საცალო, ისე კომერციული დაკრედიტება/ლიზინგი საუკეთესო პირობებით და 2023 წლისთვის ავტოდაკრედიტების ბაზარზე ჩვენი წილი 5%-მდე გავზარდოთ.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში მიკრო და მცირე მენარმეების უმეტესობას უჭირს საბანკო სექტორის მიერ დადგენილი უზრუნველყოფის მკაცრი მოთხოვნების დაკმაყოფილება, „კრისტალმა“ დაიწყო ბიზნეს-კლიენტებისა და აგროკლიენტებისთვის ლიზინგის პროექტის განხორციელება. ლიზინგის პროდუქტი „კრისტალს“

დაეხმარება ფინანსური ჩაბმულობის მიზნის მიღწევაში და ქართველ მენარმეებს საბრუნავ კაპიტალთან ერთად დაუფინანსებს აქტივების შექმნასაც, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს „კრისტალის“ კლიენტებისა და პარტნიორების ქსელის გაფართოებას.

2019 წელს ორგანიზაციული პოტენციალის ზრდის რამდენიმე პროექტიც განხორციელდა. შედეგად, საქმიანობის წარმატებით წარმართვისთვის კომპანიამ არაერთი აღიარება და ჯილდო მოიპოვა:

- საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია „მიკროფინანსამ“ (MFR) „კრისტალს“ მიანიჭა „A-“ სოციალური რეიტინგი, რაც რეგიონში უმაღლესი მაჩვენებელია;
- „კრისტალი“ საქართველოში პირველი კომერციული ინსტიტუტი გახდა, რომელმაც მიიღო ინფორმაციული უსაფრთხოების სერტიფიკატი „ISO 27001“, რაც ადასტურებს, რომ კომპანიამ ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვაში მაღალგანვითარებულ დონეს მიაღწია;
- „კრისტალს“ გადაეცა მსოფლიო ბანკისა და ევროკავშირის მიერ დაწესებული „წლიური ანგარიშგებისა და გამჭვირვალობის საპატიო ჯილდო“;
- „კრისტალს“ გაეროს გლობალური შეთანხმების ქსელმა გადასცა „კორპორაციული და სოციალური პასუხისმგებლობის ჯილდო“ გენდერული თანასწორობის პრინციპების დაცვისთვის;

- და ბოლოს, საერთაშორისო ჟურნალმა Global Banking and Finance Magazine-მა „კრისტალი“ აღიარა საქართველოში 2019 წელს ყველაზე სწრაფად მზარდ არასაბანკო ფინანსურ ინსტიტუტად და საუკეთესო კომპანიად ინვესტორებთან ურთიერთობის მხრივ.

მიუხედავად იმისა, რომ 2019 წელს დიდი ყურადღება დაეთმო კომპანიის ბიზნესშედეგების გაუმჯობესებას, „კრისტალს“ მხედველობიდან არ გამოჩენია თავისი მიზანი – დადებითი სოციალური გავლენა მოეხდინა კლიენტების, სულ მცირე, 50%-ზე მაინც, შეემცირებინა ნახშირორჟანგის გაფრქვევა და ეკონომიკურად გაექლიერებინა ახალგაზრდა და ქალი მენარმეები. ყველას ვინც წლიურ ანგარიშს გაეცნობა, მოვუწოდებ იხილონ ჩვენი „გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის“ ქვეთავი და წაიკითხონ იმ მნიშვნელოვანი მიღწევების შესახებ, რომლებიც კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით გვქონდა, აგრეთვე გამოითხოვონ სპეციალური დანართი, რომელშიც დეტალურად არის განხილული „კრისტალის“ მიერ 2019 წელს ჩატარებული „სოციალური ზეგავლენის კვლევა“. კვლევის მიხედვით, მსესხებლების 67%-მა ჩვენი საკრედიტო პროდუქტების გამოყენებით ბიზნესინვესტიციები განახორციელა, ხოლო 62%-მა სამენარმეო საქმიანობის შედეგად უფრო მეტი წმინდა შემოსავალი მიიღო, 45%-მა შექმნა ახალი პროდუქტები ან მომსახურება, 35%-მა გაზარდა დასაქმებულთა რაოდენობა და 37%-მა ახალი ბაზრები და გაყიდვის არხები აითვისა. აღნიშნული შედეგები ცხადად მიუთითებს, თუ რა განსაკუთრებული დადებითი

წვლილი შეიტანა „კრისტალმა“ საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში, რაც გვეამაყება კიდევ.

მთლიანობაში, „კრისტალმა“ გამომწვევებით აღსავსე 2019 წელი პოზიტიური მაჩვენებლებით დაასრულა და წარმატებით გაუმკლავდა როგორც საბაზრო, ისე რეგულაციურ ცვლილებებს და ამგვარად მტკიცე საფუძველი ჩაუყარა კომპანიის შემდგომ გაფართოებასა და შედეგების გაუმჯობესებას.

დამატებითი ინფორმაცია კოვიდ-19-თან დაკავშირებით

წლიური ანგარიშის მომზადების თანადროულად, გლობალური კოვიდ-19 ვირუსით გამოწვეული პანდემიის მომსწრენი გავხდით, რამაც, რა თქმა უნდა, საქართველოზეც იქონია გავლენა. საქართველოს მთავრობამ პანდემიასთან საბრძოლველად დროული ზომები მიიღო - სასწრაფოდ აიკრძალა ფრენები რისკის ზონაში შემავალი ქვეყნებიდან, გატარებულ იქნა საკარანტინო და იზოლაციის ზომები და ბოლოს ორთვიანი საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი გამოცხადდა - ყველა ეს ზომა მიზნად ისახავდა ვირუსის გავრცელების აღკვეთას. ეს ზომები საკმაოდ ეფექტიანი გამოდგა. ამავე დროს, შემოღებულ იქნა კომპანიების უმრავლესობის საქმიანობის დროებითი შეჩერების რეჟიმი, რითაც შეიზღუდა ბაზრის პოტენციალი და შემდგომი დაკრედიტების ზრდის შესაძლებლობა. ყველა კომერციულმა ბანკმა და მსხვილმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ, მათ შორის, „კრისტალმა“, კლიენტებს სესხების დაფარვის სამთვიანი საშუალებათო პერიოდი (აპრილი-ივლისი) შესთავაზა.

როგორც სოციალურად პასუხისმგებლიანმა კომპანიამ, „კრისტალმა“ ყველა შესაფერისი ზომა მიიღო კოვიდ-19 ვირუსით თავისი თანამშრომლებისა და კლიენტების დაინფიცირების თავიდან ასაცილებლად. 2020 წლის თებერვლის მესამე დეკადიდან (ე.ი., საქართველოში ვირუსის გავრცელებამდე) ყველა ფილიალი და სათაო ოფისი აღიჭურვა სადემინფექციო საშუალებებითა და აუცილებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ნიღბებით, ხელთათმანებით და ა.შ.). პერსონალს მიეცა და განმეორებით განემარტა პრევენციული რეკომენდაციები. ჩვენ შევზღუდეთ ყველა საგარეო და არააუცილებელი შიდა მივლინებები, ტრენინგი, შეკრება და პირისპირ შეხვედრა, მივიღეთ ზომები იმისათვის, რომ საზღვარგარეთ შვებულებიდან დაბრუნებულ ყველა თანამშრომელს სამსახურში გამოსვლამდე გავულო 2-კვირიანი თვითიზოლაცია/კარანტინი. ფილიალები რეგულარულად მუშავდებოდა სადემინფექციო საშუალებებით და ტარდებოდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ რეკომენდებული ყველა სიფრთხილის ზომა.

16 მარტიდან კომპანია გადავიდა დისტანციური მუშაობის რეჟიმზე. სათაო ოფისის თანამშრომლების დიდ უმრავლესობასა და რისკის ჯგუფში შემავალ ყველა თანამშრომელს დაევალა სახლიდან მუშაობა, რის შესაძლებლობაც იძლეოდა „კრისტალის“ დისტანციურად მუშაობის კარგად განვითარებული რესურსები და საშუალებები. ფილიალის თანამშრომლებს მიეცათ დავალება ადგილზე

ემუშავათ ცვლებში, რითაც ფილიალებში თანამშრომლების ერთდროულად მომუშავე რაოდენობა ჩვეულებრივი მაჩვენებლიდან 35%-მდე შემცირდა. იმისათვის, რომ არ გაუარესებულიყო კლიენტების მომსახურების ხარისხი, სახლიდან მომუშავე თანამშრომლები უზრუნველყოფილი იყვნენ ელექტრონული/დისტანციური წვდომის ყველა საჭირო რესურსითა და საშუალებით.

რაც შეეხება „კრისტალის“ მგრძობიარობას კოვიდ-19-თან დაკავშირებული საკრედიტო რისკების მიმართ, ჩვენი პროგნოზით, შეიძლება წარმოიქმნას შემდეგი საფრთხეები და შესაძლებლობები:

- უშუალო უარყოფითი ზეგავლენა ტურიზმთან, ტრანსპორტთან, კვების მრეწველობასა და რესტორნებთან დაკავშირებულ საკრედიტო პორტფელზე;
- შენელებული უარყოფითი ზეგავლენა მშენებლობის, უძრავი ქონებისა და განათლების სფეროებთან დაკავშირებულ საკრედიტო პორტფელზე;
- დადებითი გავლენა ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობისა (ყოველდღიური მოხმარების საქონლით) და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სოფლის მეურნეობის სფეროებთან დაკავშირებულ საკრედიტო პორტფელზე.

რაც შეეხება მიმდინარე და ახალი სესხების გაცემას, 2020 წლის მარტის მეორე ნახევრიდან შეიცვალა ჩვენი საკრედიტო პოლიტიკა ეკონომიკის ზემოხსენებული, შედარებით მაღალრისკიანი სეგმენტების

დაკრედიტების შემცირებისა და უფრო მცირე სესხებზე ყურადღების გადატანის მიმართულებით, რადგან, ჩვენი გამოცდილებით, ეს უკანასკნელი კრიზისის დროს უფრო გადახდისუნარიანები არიან.

საშუალოვადიან პერსპექტივაში მოსალოდნელი პირდაპირი ზეგავლენა გააუარესებს საკრედიტო პორტფელს ზემოხსენებულ შედარებით მაღალრისკიან სეგმენტებში. ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ „კრისტალის“ პორტფელი კარგად არის დივერსიფიცირებული და ნაკლებად დამოკიდებულია მოწყვლად ინდუსტრიებთან (ტურიზმის კრისტალის სასესხო პორტფელის 4.7%, ხოლო ტრანსპორტის პორტფელის 4.7% შეადგენენ) დაკავშირებულ რისკებზე. ეკონომიკის იმ სფეროებს, რომლებზეც ვირუსს აქვს უშუალო უარყოფითი ზემოქმედება (რესტორნების ქსელი, ავიაკომპანიები, ნავთობისა და გაზის მრეწველობა) ჩვენს პორტფელზე გავლენა არ აქვს. „კრისტალის“ აქტივების კლასი ძირითადად შედგება მიკროსაფინანსო სესხებისაგან, რომლებიც, ჩვეულებრივ, ისტორიული შოკების მიმართ მდგრადობით გამოირჩევა.

კოვიდ-19-ით გამოწვეული საბაზრო ცვლილებების შედეგად და 2020 წელს დამდეგი საარჩევნო პერიოდიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, სამომხმარებლო/საყოფაცხოვრებო და სამეწარმეო დაკრედიტების ზრდის ტემპი შენელდება, თუმცა, მაინც ველით ზრდას მიკროსესხებისა და აგროსესხების მიმართულებით, რომლებიც მდგრადობით გამოირჩევა. მთლიანობაში, ჩვენი კონსერვატიული მოლოდინით, კლიენტთა დაკრედიტების საქმიანობის წლიური მაჩვენებელი

საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივებში 5%-ით გაიზრდება. ამ ზრდას ხელს შეუწყობს მთავრობის მიერ კაპიტალური დანახარჯების ინტენსიფიკაცია და კრიზისის პერიოდში საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ საქართველოს ეკონომიკის მხარდასაჭერად სხვადასხვა პროგრამის განხორციელება.

ამ უპრეცედენტო ახალ რეალობაში „კრისტალი“ გახდება იმ ეკონომიკური და სოციალური წყობის ცვლილების მოწმე, რომელშიც ქართული ბიზნესი და საზოგადოება ტრადიციულად ოპერირებდა. მოსახლეობისა და საწარმოების დიდი ნაწილი გაურკვევლობისა და ფინანსური სირთულეების წინაშე დადგება.

ამასთან ერთად, ეს კრიზისი წარმოაჩენს არა მხოლოდ მოწყვლად საკითხებს, არამედ ახალ შესაძლებლობებსაც. პანდემიის შედეგები აგრეთვე მოგვცემს შესაძლებლობას შევისწავლოთ ახლებური სოციალური ურთიერთობა და დავნერგოთ ტექნოლოგიური ინოვაციები, ეფექტურად გამოვიყენოთ დისტანციური მუშაობა და ხელი შევუწყოთ ჩვენი კლიენტების მიერ ელექტრონული არხების გამოყენების ზრდას.

„კრისტალმა“ წარმატებით უზრუნველყო საქმიანობის უწყვეტობის გეგმის შექმნა და ახლა გადადის პანდემიის შემდგომი სტრატეგიული დაგეგმარების ეტაპზე. განახლებულ სტრატეგიაში ძირითადი აქცენტები გაკეთდება „კრისტალის“ მიმდინარე ბიზნესპროცესების გაციფრულებაზე ისე, რომ შემცირდეს თანამშრომლებსა და კლიენტებს შორის ფიზიკური ურთიერთობის საჭიროება, ხოლო ნაღდი ფულის ოპერაციები ჩანაცვლდეს მობილური ანგარიშსწორების ფუნქციებით. იმავდროულად, ჩვენ ხელს შევუწყობთ მიკრომენარმე კლიენტების ადაპტაციის პროცესს და გავაძლიერებთ „კრისტალის“ რესურსებს ფინანსური და სამენარმეო ცოდნის გასავრცელებლად კონსულტაციის განწვევის მიმართულებით. ჩვენი კლიენტების საჭიროებებს აუცილებლად განვიხილავთ ჩვენს პატივცემულ პარტნიორებთან, რათა ერთობლივად შევძლოთ ახალ კონტექსტში უაღრესად საჭირო მდგრადობისა და განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა.

მადლობას ვუხდით „კრისტალის“ მთელ გუნდს, რომელმაც სრული მობილიზება მოახდინა 2019 წლისა და 2020 წლის პირველი კვარტლის მნიშვნელოვან გამონვევებზე საპასუხოდ და მოახერხა

მნიშვნელოვანი სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტა. მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩვენს კლიენტებს, რომლებიც ამ კომპანიას მრავალი წელია უმტკიცებენ თავიანთ ერთგულებას. გვჯერა, რომ ისინი ჩვენი კომპანიის პარტნიორები არიან და ჩვენც ძალისხმევას არ დავიშურებთ ამ ურთიერთსასარგებლო ურთიერთობის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად.

ჩვენს კომპანიას წინ მართლაც საინტერესო წელიწადი ელის!


პატივისცემით,

ილია რევია
უფროსი აღმასრულებელი
ოფიცერი

მაკროეკონომიკა და ბაზრის მიმოხილვა

2019 წელი ეკონომიკური ზრდის აღრიცხვაში მნიშვნელოვანი სიახლის წელი იყო მეთოდოლოგიისა და მონაცემთა წყაროების თვალსაზრისით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა („საქსტატი“) მიიღო ეროვნულ ანგარიშთა სისტემის 2008 წლის (SNA-2008) სტანდარტული მეთოდოლოგია, ჩაანაცვლა რა SNA 1993. „საქსტატმა“ მშპ-ის საბაზისო წლად 2010-ის ნაცვლად 2015 დაადგინა და ისტორიული მშპ 2010-დან 2018 წლამდე გადაიანგარიშა. შედეგად, 2018 წელს საქართველოს ნომინალური მშპ 8.6%-ით (3.5 მილიარდი ლარით) გაიზარდა, ხოლო რეალური მშპ-ის ზრდის მაჩვენებელმა 0.1 პპ-ით მოიმატა და 4.8% შეადგინა.

მშპ-ის რეალური ზრდა




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სტრატეგიული ანგარიში

2019 წელს საქართველოს რეალური მშპ-ის ზრდა სტაბილურად გაგრძელდა და მისმა წლიური ზრდის მაჩვენებელმა 5.1% შეადგინა. სექტორული განაწილების თვალსაზრისით, ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვის ვაჭრობას (2.2 პპ წვლილი), რომელსაც მოსდევს უძრავი ქონების სექტორი (1.5 პპ წვლილი) და მშენებლობა (1.3 პპ წვლილი). რაც შეეხება მშპ-ის სტრუქტურას, ყველაზე დიდი სექტორული წილები მოდის ვაჭრობაზე - 14.4% (წლიური 0.4 პპ) და უძრავი ქონების სფეროზე - 11.5% (წლიური 0.1 პპ).

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მშპ-სთან



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიმდინარე ანგარიში

2019 წელს მიმდინარე ანგარიშის (CA) ბალანსი კვლავ გაუმჯობესდა ქვეყნის გარედან შემოსული სახსრების (ექსპორტი, ფულადი გადარიცხვები და ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი) საფუძველზე და მშპ-ის მიმართ 5.1% (წლიური -1.7 პპ) შეადგინა.

ექსპორტი და იმპორტი

2019 წელს საქონლის ექსპორტმა ზრდის მაღალი მაჩვენებელი შეინარჩუნა და წლიური 12.1% პპ შეადგინა (406 მლნ აშშ დოლარი). ექსპორტში მთავარი რეგიონული მოთამაშეები არიან დსთ - 53.2% (წლიური -3.4 პპ) და ევროკავშირი - 21.8% (იგივე წლიური წილი).


2019 წელს საქონლის იმპორტი კლებადი ტენდენციით ხასიათდებოდა - იმპორტის მოცულობა წლიური 0.7%-ით (68.3 მლნ აშშ დოლარი) შემცირდა. იმპორტში მთავარი რეგიონული მოთამაშეები არიან დსთ - 26.9% (წლიური -2.6 პპ) და ევროკავშირი - 25.6% (წლიური -1.9 პპ).

ფულადი გზავნილები

2019 წელს ფულადმა გზავნილებმა წლიური 9.7%-ით (153 მლნ აშშ დოლარი) მოიმატა და 1,733 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფულადი გზავნილების უდიდესი წილი მოდის რუსეთზე 24.7% (წლიური -4.1 პპ), რომელსაც მოსდევს იტალია 13.8%-ით (წლიური 1.6 პპ), საბერძნეთი 11.1%-ით (წლიური 0.3 პპ), აშშ 10.3%-ით (წლიური -0.5 პპ) და ისრაელი 9.4%-ით (წლიური -0.3 პპ).



პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ტურიზმი

2019 წელს, მიუხედავად რუსეთის მიერ წლის მეორე ნახევრიდან ფრენების აკრძალვისა, ტურიზმის მაჩვენებლებმა ზრდის ტენდენცია შეინარჩუნა. 2019 წელს ტურისტების რაოდენობამ 7.7%-ით მოიმატა და 5,080 ათასი შეადგინა. ტურისტების მზარდი რაოდენობა აისახა ტურიზმიდან მიღებულ გაზრდილ შემოსავალში, რომელმაც 1.5%-ით (47 მლნ აშშ დოლარი) მოიმატა და 3,269 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

წინასწარი მონაცემებით, 2019 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა - ეს მაჩვენებელი 0.2%-ით (2.5 მლნ აშშ დოლარი) გაიზარდა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ყველაზე დიდი მოცულობით განხორციელდა ფინანსურ სექტორში (20.6%), ენერჯეტიკის სექტორსა (15.3%) და სასტუმროებისა და რესტორნების სექტორში (12.4%). ქვეყნების მიხედვით, ამ ზრდის უკან უპირველესად იდგა გაერთიანებული სამეფო (19.5%), თურქეთი (18.7%) და პანამა (6.2%).

უმუშევრობა

2019 წელს სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო აისახა უმუშევრობის დონის შემცირებაში, რამაც 11.6% (წლიური -1.1 პპ) შეადგინა. უმუშევარი ადამიანების რაოდენობამ 10%-ით (-24.7 ათასი ადამიანი) იკლო და 221 ათასი ადამიანი შეადგინა.


გაცვლითი კურსები და უცხოური ვალუტის რეზერვები

2018 წლის ბოლოსთან შედარებით, 2019 წლის ბოლოს ლარის კურსი თურქული ლირის მიმართ 26.2%-ით გამყარდა. ლარის საშუალო წლიური გაცვლითი კურსი თურქული ლირის მიმართ გამყარდა და 7.8% შეადგინა.

იმავ დროს, პერიოდის ბოლოს ლარის კურსი 7.1%-ით გაუფასურდა აშშ დოლარის მიმართ, 4.5%-ით - ევროს მიმართ და 20.3%-ით - რუსული რუბლის მიმართ. ლარის საშუალო წლიური გაცვლითი კურსის გაუფასურების მაჩვენებელმა 11.2% შეადგინა აშშ დოლარის მიმართ, 5.4% - ევროს მიმართ და 7.6% - რუსული რუბლის მიმართ. აშშ დოლარის, ევროსა



ინფლაცია, მიზნობრივი ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სტრატეგიული ანგარიში

და რუსული რუბლის მიმართ ლარის კურსის გაუფასურებამ ხელი შეუწყო საქონლისა და მომსახურების ექსპორტის კონკურენტუნარიანობას.

მთავარი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ვალუტების მიმართ ლარის კურსის გაუფასურებამ უარყოფითი გავლენა იქონია 2019 წლის ნომინალურ ეფექტურ გაცვლით კურსსა (NEER) 7.9% და რეალურ ეფექტურ გაცვლით კურსზე (REER) 5.3%. აშშ დოლარის მიმართ ლარის კურსის მკვეთრი გაუფასურების გამო, სებ-მა 2019 წლის აგვისტოდან შეწყვიტა უცხოური სავალუტო რეზერვების აკუმულირება. 2019 წლის ბოლოსთვის, სებ-მა გაყიდა 92.8 მლნ აშშ დოლარი და უცხოურმა სავალუტო რეზერვებმა 3,506 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.



ბიუჯეტის დეფიციტი ნომინალურ შპს-სთან



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი

2019 წელს NEER-ის გაუფასურებამ წვლილი შეიტანა ფასების გაძვირებაში. წლიურმა ინფლაციამ 7% შეადგინა, რაც გეგმით გათვალისწინებულ 3%-ზე მაღალი მაჩვენებელი იყო. პროდუქტებს შორის ინფლაციაში ძირითადი წვლილი შეიტანა საკვებმა პროდუქტებმა და არაალკოჰოლურმა სასმელებმა (3.78 პპ), ასევე ალკოჰოლურმა სასმელებმა და თამბაქომ (1.03 პპ).


მზარდი ინფლაციით გამოწვეული შოკების საპასუხოდ, სებ-მა 2019 წლის სექტემბერში მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება დაიწყო და წლის ბოლოსთვის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთმა (MPR) 9%-ს მიაღწია.

ბიუჯეტის დეფიციტი

2019 წელს ბიუჯეტის ბალანსში დაფიქსირდა 1,463 მლნ ლარის დეფიციტი. 2019 წელს ბიუჯეტის დეფიციტის წილი ნომინალური მშპ-ის მიმართ მასსტრიხტის კრიტერიუმების (3%) ფარგლებში დარჩა და 2.9%-ს მიაღწია (წინა წელთან შედარებით 0.6 პპ-ით მოიმატა).




ბაზრის ზომა (სასესხო პორტფელი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



ბაზრის ზომა (სასესხო გარიგებები)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სახელმწიფო ვალი მშპ-ის მიმართ

2019 წელს სახელმწიფო ვალის მშპ-სთან შეფარდების მაჩვენებელი წელი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, თუმცა მაინც მნიშვნელოვნად ჩამორჩება რეკომენდებულ 60%-იან ლიმიტს. 2019 წელს სახელმწიფო ვალმა 14.9%-ით (2,592 მლნ ლარი) მოიმატა და 19,956 მლნ ლარი შეადგინა, რაც ნომინალური მშპ-ის 39.9%-ია (წინა წელთან შედარებით 1 პპ-ით მოიმატა).

საერთაშორისო რეიტინგები

„S&P“ გლობალური რეიტინგი

პოზიტიური მაკროეკონომიკური ტენდენციები, რომლებიც 2019 წელს შეინიშნებოდა, აისახა საქართველოს გრძელვადიან საკრედიტო რეიტინგშიც - „სტანდარტ ენდ ფუარსმა“ საქართველოს „BB-“-დან „BB“ შეფასება მისცა სტაბილური პროგნოზით.

ბიზნესის კეთება

საქართველომ 3 პუნქტით გაიუმჯობესა თავისი პოზიცია მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების 2019 წლის ანგარიშში და 190 ქვეყანას შორის მე-6 ადგილი დაიკავა (მანამდე საქართველოს მე-9 ადგილი ეკავა).

2020 წლის ეკონომიკური პროგნოზი

COVID-19-ის პანდემიის ზეგავლენის გამო განახლდა 2020 წლის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შესახებ არსებული მოლოდინები. საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებები ემყარება შემდეგ მაკროეკონომიკურ პარამეტრებს: მშპ-ის ზრდა იქნება -4.0%; ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის მშპ-სთან შეფარდება იქნება 8.5%; მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მშპ-სთან შეფარდება გაუარესდება 10.3%-მდე; მშპ-ის დეფლაციური იქნება 4.8% და სამომხმარებლო ფასების ინდექსის ზრდა იქნება 4.7%.

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ასევე განაახლა თავისი პროგნოზები საქართველოს ეკონომიკის შესახებ COVID-19-ის პანდემიის ზეგავლენის ასახვის მიზნით. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმდინარე პროგნოზები 2020 წლის ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების შესახებ შემდეგია: რეალური მშპ-ის ზრდა იქნება -4.8%, სამომხმარებლო ფასების ინდექსის ზრდა იქნება 4.6%; ბიუჯეტის დეფიციტის მშპ-სთან ფარდობა იქნება 7.8% და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მშპ-სთან ფარდობა იქნება 10.5%.

საკრედიტო ბაზარი

ბაზრის ზომა განიმარტება, როგორც კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ რეზიდენტ შინამეურნეობებზე 100,000 ლარამდე მაქსიმუმ 5 წლის დაფარვის ვადით გაცემული სესხების პორტფელი და ხელშეკრულებები.

2019 წლის ბოლოსათვის კომერციული ბანკების პორტფელმა 0.5%-ით (26.3 მლნ ლარი) მოიმატა და 5,603 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო მიკროსაფინანსო ორგანიზაციების პორტფელმა 2.5%-ით (27.6 მლნ ლარი) მოიმატა და 1,129 მლნ ლარი შეადგინა. ბაზრის ზომა პორტფელების მიხედვით წინა წელთან შედარებით 0.8%-ით (53.9 მლნ ლარი) გაიზარდა და 6,732.9 მილიონ ლარს გაუტოლდა.

ბაზრის მოცულობა სესხის ხელშეკრულებების მიხედვით წინა წელთან შედარებით 14%-ით (544.5 მლნ ლარი) გაიზარდა და 3.34 მლნ ლარს გაუტოლდა. იმავე პერიოდში, კომერციულ ბანკებში სესხის ხელშეკრულებებმა 15.1%-ით (466.9 მლნ ლარი) იკლო და 2.6 მლნ ლარი შეადგინა. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სესხის ხელშეკრულებებმა 9.9%-ით (77.6 მლნ ლარი) იკლო და 708.6 მლნ ლარი შეადგინა.



ბიზნესმოდელი

„კრისტალი“ ფინანსური ჩაბმულობის ორგანიზაციაა, რომელიც კლიენტებს უწევს სხვადასხვა ფინანსურ თუ არაფინანსურ მომსახურებას და მათი განვითარების პლატფორმის როლს ასრულებს. ჩვენი კონკურენტული უპირატესობაა კლიენტზე ფოკუსირებული ბიზნესმოდელი, რომელიც ორიენტირებულია მიკროსაფინანსო სექტორში საუკეთესო მომსახურების განწევაზე.

„კრისტალი“ კლიენტებს მომსახურებას უწევს ფილიალებისა და ციფრული არხების საშუალებით. 2019 წლის ბოლოსათვის „კრისტალი“ საქართველოს უმეტეს ნაწილში 48 ფილიალით არის წარმოდგენილი. ჩვენი ინოვაციური ელექტრონული კომერციის/გარე განვადების პლატფორმა „აკიდო“ ონლაინარხების მეშვეობით კვლავ აგრძელებს ახალი კლიენტების მოზიდვას.

ჩვენი საკრედიტო მიმართულება პროდუქტების ფართო სპექტრს სთავაზობს როგორც საცალო, ისე ბიზნესკლიენტებს და უზრუნველყოფს კლიენტთა განსაკუთრებულ გამოცდილებას, კომფორტულ და ინოვაციურ მიკროსაფინანსო გადაწყვეტებს

ღრმად პერსონიზებული საკონსულტაციო და განვითარების მომსახურებით და ბიზნესის მხარდაჭერის ისეთი პროგრამების მეშვეობით, როგორებიცაა „აგროკლუბი“ ფერმერული საქმიანობით დაკავებული კლიენტებისთვის და „საგადასახადო ანგარიშგების მომსახურება“ მიკრო და მცირე მენარმეებისთვის.

ჩვენი არასაკრედიტო მიმართულება მოიცავს საოპერაციო პროდუქტების ფართო სპექტრს, მათ შორის, ანგარიშსწორებას, ფულის გადარიცხვას, ვალუტის გადაცვლას, დაზღვევას და მათთან დაკავშირებულ საოპერაციო საფინანსო მომსახურებას.

„კრისტალის“ დაფინანსების წყაროები დივერსიფიცირებულია, დაფინანსება ძირითადად უცხოური ფინანსური ინსტიტუტებიდან შემოდის, თუმცა, ადგილობრივი

კომერციული ბანკების დაფინანსების მნიშვნელოვანი წყაროა. „კრისტალი“ ავითარებს დაფინანსების ისეთ ალტერნატიულ წყაროს, როგორიცაა კორპორაციული ობლიგაციების გამოშვება და განთავსება, რომელთა წილიც 2024 წლის ბოლოსთვის დაფინანსების 5-10%-ის ფარგლებში იქნება.

„კრისტალი“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თავისი პროდუქტების, შიდა სისტემების, პოლიტიკებისა და პროცედურების შემუშავებას, პერსონალის უნარების, შესაძლებლობებისა და კორპორაციული კულტურის განვითარებას პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრაქტიკის უზრუნველსაყოფად. კომპანია დადებითი რეპუტაციით სარგებლობს კლიენტებთან, დამფინანსებლებთან, მარეგულირებელსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

კორპორაციული სტრატეგია

ჩვენი სტრატეგიაა გავხდეთ საქართველოში მიკრო და მცირე მენარმეებზე და ფერმერებზე ფოკუსირებული საუკეთესო ბანკი, ყველა დაინტერესებული მხარისათვის უფრო მეტი ღირებულების შექმნისა და ჩვენი საქმიანობის მდგრადობის გაუმჯობესების მიზნით. ჩვენი სტრატეგიაა გავზარდოთ და გავაფართოოთ ჩვენი „ნოუ-ჰაუ“ და გავხდეთ კლიენტებზე ფოკუსირებული, ადამიანებზე ორიენტირებული და მონაცემებზე დაფუძნებული ინსტიტუტი. ჩვენი სტრატეგია მუდმივად იცვლება და იხვეწება იმ ახალი გამოწვევების დასაძლევად და ახალი შესაძლებლობების გამოსაყენებლად, რომლებიც ბაზარზე იჩენს თავს.

2021 წელს „კრისტალი“ გეგმავს შეიტანოს განაცხადი კომერციული საბანკო ლიცენზიის მისაღებად. ბანკის შესაფერისი ინსტიტუციური სიმნიფის, გეოგრაფიული დაფარვის, კლიენტებისა და თანამშრომელთა რაოდენობის მიღწევის შემდეგ, „კრისტალი“ კონკურენციას უწევს საბანკო დაწესებულებებსა და არა ბევრად მცირე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს. ამასთან, „კრისტალის“ კონკურენტული შესაძლებლობები შეზღუდულია მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით და დადგენილი ნორმატიული მოთხოვნებით. კომერციული საბანკო საქმიანობის ლიცენზია „კრისტალს“

მისცემს საშუალებას უკეთესად უზრუნველყოს თავისი მისიის შესრულება, რადგან მიეცემა შესაძლებლობა მიანოდოს კლიენტებს ისეთი პროდუქტები, როგორებიცაა მიმდინარე/შემნახველი საბანკო ანგარიშები, აგრეთვე განახორციელოს ლარში დაფინანსების წყაროების ეფექტიანი დივერსიფიკაცია და იმავდროულად გაზარდოს ერთეულ კლიენტზე 100,000 ლარის ოდენობის სესხის გაცემის ნორმატიული ლიმიტი და გააფართოოს საქმიანობა მცირე ბიზნესის სეგმენტში. გარდა ამისა, კომერციული საბანკო საქმიანობის ლიცენზია „კრისტალს“ მისცემს მნიშვნელოვან შესაძლებლობას მიიღოს მონაწილეობა საქართველოს მთავრობის მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების ისეთ ინიციატივაში, როგორიცაა „ანარმოე საქართველოში“ და სხვა შეღავათიან პროგრამებში.

კომერციული საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მიღების შემდეგ „კრისტალი“ კვლავ კლიენტთა იმავე სეგმენტს მოემსახურება, მაგრამ უფრო მძლავრი ფინანსური და ინსტიტუციური პლატფორმიდან და ამასთანავე, ყველა დაინტერესებული მხარისთვის შექმნის უფრო მეტ ღირებულებას.

საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები

ჩვენ შევიმუშავეთ საქმიანობის ის ძირითადი მაჩვენებლები (KPIs), რომლებითაც ვახორციელებთ ჩვენი ფინანსური და საოპერაციო საქმიანობის შედეგების შეფასებას. ქვემდებარე მაჩვენებლები სრულ შესაბამისობაშია ჩვენს სტრატეგიასთან და უზრუნველყოფს ჩვენ მიერ დასახული მიზნების მიღწევას და მდგრად ზრდას.

- ესენია:
1. წმინდა მოგება;
 2. საინვესტიციო უკუგება;
 3. წმინდა საპროცენტო მარჟა;
 4. ხარჯებისა და შემოსავლების თანაფარდობა;
 5. აქტივების უკუგება;
 6. მთლიანი საკრედიტო პორტფელი;
 7. ხარჯების ეფექტიანობის კოეფიციენტი;
 8. რისკების ხარჯი;
 9. კლიენტების შენარჩუნების მაჩვენებელი;
 10. სრულად დისტანციურ ურთიერთობაზე მყოფი კლიენტების რაოდენობა;

სტრატეგიული ანგარიში

საოპერაციო მიზნები

ჩვენი კორპორაციული სტრატეგიის განხორციელება დამოკიდებულია იმ საოპერაციო მიზნების შეუფერხებელ და დროულ შესრულებაზე, რომლებიც ჩვენს სანარმოო ერთეულებსა და დეპარტამენტებში განანიღბებული წლიური სტრატეგიული ეტაპების საფუძველია. ეს ძირითადი მიზნებია:

1. კომერციული საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მიღება;
2. ავტომატიზებული საბანკო სისტემის დანერგვა;
3. საკრედიტო პორტფელის გაფართოება, მათ შორის, არაორგანული ზრდის გზით;
4. არასაკრედიტო საქმიანობიდან შემოსავლების ზრდა;
5. ბიზნესპროცესების დიჯიტალიზაცია და ავტომატიზაცია;
6. ბრენდის განმტკიცება და კლიენტთა კმაყოფილების გაუმჯობესება;
7. კადრების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების გაუმჯობესებული სისტემები;
8. რისკების მართვის გაუმჯობესება;
9. გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობისა და მისი კვლევის გაუმჯობესება;
10. მონაცემთა მართვისა და ანალიზის გაუმჯობესება.

ჩვენი მისია და სასურველი შედეგები

„კრისტალი“ არის საქართველოში მიკრო და მცირე მენარმეებისა და ფერმერების განვითარების პლატფორმა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში სიღარიბის აღმოფხვრას მენარმეობის ფინანსური, სოციალური და გარემოსდაცვითი მიმართულებით მდგრადი ხელშეწყობის გზით. ჩვენი გეგმა მოვემსახუროთ და ფინანსური და არაფინანსური მომსახურება შევთავაზოთ შრომისუნარიანი მოსახლეობის 10%-ზე მეტს. ჩვენი კლიენტები დანარჩენი საქართველოსათვის იქნებიან მიკრო და მცირე მენარმეობის მისაბაძი მაგალითი.

„კრისტალის“ სასურველი შედეგები ერთიანდება 3P-ის პრინციპში: ადამიანები (P-people), პლანეტა/ გარემო (P-planet) და მოგება (P-profit). ჩვენი მიზანია გავიდეთ კაპიტალის უკუგების 16%-იან მაჩვენებელზე. „კრისტალის“ მიზანია დადებითი სოციალური გავლენა იქონიოს თავისი კლიენტების, სულ მცირე 50%-ზე, ამასთან ერთად, 2021 წლის განმავლობაში შემუშავდება გაზომვადი გარემოსდაცვითი

მიზნები, მათ შორის, ნახშირბადის გაფრქვევის შემცირებისა და ბიომრავალფეროვნების ზრდის მიმართულებით.

სასურველი შედეგების მიღწევით, „კრისტალი“ ხელს შეუწყობს გაეროს მდგრადი განვითარების ექვსი მიზნის მიღწევას.

ძირითადი შედეგები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კრისტალის სასესხო პორტფელმა შეადგინა 297.2 მლნ ლარი. იმავე პერიოდისთვის აქტიური სესხების რაოდენობამ 125,682-ს მიაღწია. წლის განმავლობაში კომპანია მოემსახურა 104,998 საკრედიტო კლიენტს. პორტფელი წინა წელთან შედარებით გაიზარდა 32.6 მლნ ლარით (12.3%), ხოლო სესხების რაოდენობა 4,763-ით (3,7%) შემცირდა.

პორტფელის სტრუქტურა პროდუქტების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

პორტფელის სტრუქტურა	2018		2019		ზრდა	
	რაოდენობა	მოცულობა	რაოდენობა	მოცულობა	რაოდენობა	მოცულობა
ვაჭრობა	12,677	41,639,812	13,820	47,005,266	1,143	5,365,454
მომსახურება	18,619	65,997,788	24,921	86,554,954	6,302	20,557,166
წარმოება	2,f	9,170,689	2,597	9,929,965	438	759,276
სოფლის მეურნეობა	41,782	77,289,821	36,988	80,779,026	(4,794)	3,489,205
სამომხმარებლო	55,208	70,509,745	47,356	72,941,688	(7,852)	2,431,942
სულ	130,445	264,607,856	125,682	297,210,899	(4,763)	32,603,043

სტრატეგიული ანგარიში

მნიშვნელოვანი ბიზნეს ინოვაციები

წლის დასაწყისში ბიზნესმა დიდი ძალისხმევა გასწია ახალი რეგულაციების მორგების პროცესში. ცვლილებების დროულად და სრულყოფილად ასახვის მიზნით, გამოყენებულ იქნა პროექტების მართვის ინოვაციური „Agile მეთოდოლოგია“, რომლის ფარგლებში რამდენიმე მსხვილი პროექტი განხორციელდა.

მცირე ბიზნესსეგმენტზე (>30,000 ლარი) გააქტიურებისა და ბაზრის წილის ზრდის მიზნით, კომპანიამ ითანამშრომლა გერმანულ საკონსულტაციო კომპანია Inspiring Development-თან. შესწავლილ იქნა ბაზარი, გაუმჯობესდა პროდუქტის მახასიათებლები, ქსელის შესაბამისმა თანამშრომლებმა გაიარეს ტრენინგი გაყიდვების უნარებისა და ფინანსური ანალიზის მიმართულებით. შედეგად, მცირე სესხების პორტფელის ზრდამ 49% შეადგინა (პორტფელი 47 მლნ ლარიდან 70 მლნ ლარამდე გაიზარდა).

5,000 ლარამდე სესხებისათვის შეიცვალა პროცესები და მიდგომები, რამაც საშუალება მოგვცა წლის განმავლობაში 35,000 კლიენტზე მეტს მოვმსახურობოდათ.

ქალთა გაძლიერების მიზნით, ქალი მსესხებლებისთვის მომზადდა სპეციალური შეთავაზება, რომლის ფარგლებშიც დაფინანსდა 2300

ქალი მეწარმე და გაიცა 4,7 მლნ ლარზე მეტი სესხი.

ამავე პროექტის ფარგლებში, ქვემო ქართლში დაფინანსდა ქალთა წარმატებული კოოპერატივი „დისველი“, რომლის ძირითადი საქმიანობა რძის პროდუქტების წარმოებაა.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გაძლიერებისა და მხარდაჭერის მიზნით, 2019 წლის განმავლობაში შეღავათიანი სესხით დაფინანსდა 15 აგროკოოპერატივი, ჯამურად – 380 000 ლარით.

აგრომიმართულებით ჩვენი მომხმარებლების გაძლიერებისა და მეურნეობების ეფექტიანობის ზრდის მიმართულებით, EFSE ტექნიკური დახმარების ფარგლებში გადამზადდა 70-ზე მეტი თანამშრომელი, რომლებიც კვალიფიციურ კონსულტაციას უწევენ ფერმერებს.

კომპანია ჩაბმული იყო „მოსავლის დაზღვევის“ სახელმწიფო პროექტში, რომლის ფარგლებშიც დაფინანსდა 650 მეტი სადაზღვეო პოლისი.

საფილიალო ქსელს დაემატა შვიდი სრულფასოვანი ფილიალი, რომელთა ტრანსფორმაცია განხორციელდა არსებული მცირე სერვისცენტრებიდან.

მომხმარებლის გამოცდილების მართვის მიმართულებით განხორციელდა არსებული კლიენტების თვისობრივი კვლევა, რომლის მიხედვითაც შეიქმნა მომხმარებელთა მოგზაურობის რუკები (ე.წ. Journey maps). იმისათვის, რომ შეეძინათ ან გაეუმჯობესებინათ მომხმარებელთან (როგორც შიდა, ისე გარე) დაკავშირებული გამოცდილება, თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგ-სემინარები, რომლებმაც ხელი შეუწყო ამ მხრივ ცნობიერების ამაღლებას და პრაქტიკული უნარების გამომუშავებას.

მომხმარებლების სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით, მიმდინარე წელს დაინერგა ახალი პროდუქტი – სიცოცხლის დაზღვევა, რომლის ფარგლებში 7000 მომხმარებელზე მეტია დაზღვეული როგორც სამომხმარებლო, ისე ბიზნესმიმართულებით.

კომპანია მონაწილეობდა ეროვნული ბანკის „მომხმარებლების ფინანსური განათლების ამაღლების“ პროექტში, რომლის ფარგლებში არსებული კლიენტებისათვის ჩატარდა 2 ტრენინგ-შეხვედრა და 60-მდე მომხმარებელი დატრენინგდა.

ლიზინგის ბიზნესი

დაკვირვება ბაზარზე და მიკროკლიენტების საჭიროებები

კრისტალი დღეს ემსახურება მიკრო და მცირე მენარმეებს, რომელთაც, ძირითადად, წარმოეშობათ მოთხოვნა საბრუნავ აქტივებზე, ხოლო გამოცდილების დაგროვების ფონზე, მათი ბიზნესის გაზრდის ინიციატივები ძირითად საშუალებებზე წარმოშობს მოთხოვნას. კაპიტალტევადი ინიციატივების საბანკო სესხებით გადაჭრის შემთხვევაში, ჩნდება სათანადო უზრუნველყოფის საჭიროება, რაც ჯერ კიდევ გამოწვევაა როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონალურ ბიზნესებსა თუ ფერმერულ მეურნეობებში. ბოლო პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ფონზე, კიდევ უფრო აქტუალური გახდა ბიზნესსექტორისათვის სწორი შეთავაზების მიწოდება, რომლის ძირითადი ღირებულებაა როგორც სერვისის მიწოდების სისწრაფე, ისე ნაკლები მოთხოვნა უზრუნველყოფის მიმართ, იქნება ეს იპოთეკა, გირავნობა თუ თავდებობა.

„კრისტალის“ უპირატესობები ბაზარზე

დღეის მდგომარეობით კომპანიას უნიკალური უპირატესობები აქვს, როგორცაა:

- განვითარებული ქსელური ინფრასტრუქტურა 48 ლოკაციით ქვეყნის მასშტაბით;
- ლოიალური მომხმარებლები, რაც გამოიხატება მიმდინარე 100 000-ზე მეტი კლიენტით და მომხმარებელთა შენარჩუნების მაღალი კოეფიციენტით;
- გამართული სისტემები, IT-ინფრასტრუქტურა და პროცესები;
- გამოცდილი გუნდი როგორც მენეჯმენტში, ისე ოპერაციულ დონეზე;

აღნიშნული უპირატესობები იძლევა შესაძლებლობას, რომ მომხმარებლების გაზრდილი მოთხოვნა ძირითად საშუალებებში ინვესტირებაზე გადაიჭრას ალტერნატიული შეთავაზებებით, კერძოდ კი ლიზინგის პროდუქტის დანერგვით. ლიზინგის შემთხვევაში

კი, ფინანსურ გადაწყვეტასთან ერთად, მომხმარებელი დამატებით ღირებულებებს მიიღებს, ვინაიდან, სალიზინგო კომპანია განავითარებს ძირითადი საშუალებების სანდო მომწოდებელთა ქსელს, ამგვარად მომხმარებლების უხარისხო ინდუსტრიული ნაწარმის შექენისგან დაცვას და გარანტიების მართვას უზრუნველყოფს, „კრისტალის“ საბოლოო მიზანი კი მომხმარებლის მიერ სწორი ფინანსური გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობაა.

კომპანიის მიზანია იყოს მცირე სეგმენტისათვის კონკურენტუნარიანი ფინანსური სერვისების მიმწოდებელი, რისთვისაც, ზემოთ ხსენებული გამოწვევების დაძლევის გზად „კრისტალს“ ლიზინგის პროდუქტზე უზრუნველყოფის მოთხოვნის შემსუბუქება ესახება. აღნიშნული პროდუქტის დანერგვა 2020 წლის განმავლობაშია დაგეგმილი.

ლიზინგის გამოცდილება ბაზარზე

დღეს საქართველოში მოქმედებს სამი გამოცდილი სალიზინგო კომპანია და ბოლო სამი წლის დაკვირვებით, სალიზინგო პორტფელი გაორმაგდა, ამაღლდა ლიზინგის როგორც პროდუქტის ცნობადობა და მიუხედავად საბანკო ინდუსტრიასთან არსებული საფასო კონკურენციისა სხვადასხვა ინდუსტრიები ინტენსიურად მიმართავენ სალიზინგო კომპანიებს და მათი პროდუქტებით წარმატებულად და ეფექტიანად სარგებლობენ.

მნიშვნელოვანია, რომ საშუალო ინვესტიცია ლიზინგით 150 000 ლარს შეადგენს, რაც ნიშნავს, რომ მიკრო და მცირე ბიზნის ბიზნესები თავისუფალი ნიშაა და ლიზინგით მხარდაჭერას საჭიროებენ.

ლიზინგის მიმართულების განვითარების 2019 წლის მიმოხილვა

გადაწყვეტილების მიღების შემდეგ შემუშავდა სალიზინგო პროდუქტის სტრატეგიული და ფინანსური გეგმა, განისაზღვრა პასუხისმგებელი პირები. დასახული მიზნის მიღწევის მიზნით, ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიება:

- სტრატეგიული შეხვედრები მენეჯმენტის გუნდში;
- სამუშაო შეხვედრები პოტენციურ მომწოდებლებთან;
- შეხვედრები მომხმარებლებთან;
- ლიზინგის გუნდის

- კომპეტენტური კადრების შერჩევა;
- პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის შესაძლებლობების მოკვლევა;
- მიმდინარე ფინანსური პარტნიორის მიერ საკონსულტაციო მიზნებისთვის ტექნიკური დახმარების ფონდის გამოყოფა;
- საკონსულტაციო სერვისების მომწოდებლების შერჩევა;
- ტრენინგები შერჩეული კადრებისთვის;

2020 წლის გეგმები

მიმდინარე წელი მთლიანად დაეთმოა ლიზინგის პროდუქტის მიზნებისათვის შესაბამისი სისტემების განვითარებას, როგორცაა: პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა, გამართული მეთოდოლოგია, ბაზარზე მორგებული პროდუქტები, კადრების კვალიფიკაციის ამაღლება, სწავლება და სხვ., რაც მხარდაჭერილი იქნება „პროპარკოს“ (Proparco) მიერ გამოყოფილი ტექნიკური დახმარების ფონდით. კომპანიას კონსულტაციას გაუწევს ლიზინგის ბიზნესში გამოცდილი ადგილობრივი ექსპერტების გუნდი. ასევე მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმოა ცნობადობის გაზრდას და ხარისხიანი აქტივების კვალიფიციური ადგილობრივი მომწოდებლების ქსელის განვითარებას.

კომპანიას ექნება ისეთ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის შესაძლებლობა, როგორცაა აწარმოე საქართველოში, აგრეთვე სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს/ARDA-ს იაფი აგროლიზინგის პროგრამაში. აღნიშნულ პროექტებზე წვდომა კომპანიის მიმდინარე კლიენტებისთვის დამატებით ღირებულებას წარმოადგენს.

2020 წელს ჯამური წმინდა ინვესტიცია ლიზინგში დაგეგმილია 10 მლნ ლარის ფარგლებში, ეს ნიშნავს, რომ წლის განმავლობაში მოვემსახურებით ორასამდე მომხმარებელს ბიზნესის სხვადასხვა სექტორიდან.

დაგეგმილი პორტფელის 90% ინვესტირებული იქნება ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში. ამავედროულად, 10%-ის ფარგლებში დაგეგმილია ფიზიკური პირებისთვის პირადი მოხმარების ენერჯოეფექტიანი და გარემოსათვის არასაზიანო ავტოტრანსპორტის ლიზინგი.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

1. რისკის მართვის ძირითადი პრინციპები

რისკის მართვის გამართული და ეფექტიანი სისტემის არსებობა, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკებზე იქნება დაფუძნებული, „კრისტალის“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია.

რისკის მართვის სისტემა უნდა პასუხობდეს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- კომპანია დროულად იყოს ინფორმირებული არსებული რისკებისა და საფრთხეების შესახებ;
- უზრუნველყოს შესაძლო დანაკარგების პრევენცია და ინციდენტის ეფექტიანი მართვა;
- შექმნას გადაწყვეტილების მიღებისა და დაგეგმვის სანდო საფუძვლები;
- გაზარდოს მიზნების მიღწევის ალბათობა;
- გააუმჯობესოს კონტროლი, ოპერაციული ეფექტიანობა და ორგანიზაციის მდგრადობა;
- შესაბამისობაში იყოს მარეგულირებლის მოთხოვნებსა და საერთაშორისო სტანდარტებთან;
- რისკის მართვის სისტემა თანხვედრაში უნდა იყოს კომპანიის ბიზნესსტრატეგიასთან და ხელს უწყობდეს კომპანიის სტრატეგიული მიზნების მიღწევას.

2. რისკის მართვის სისტემა

რისკის მართვის სისტემის ჩარჩო მოიცავს რისკის მართვის ინსტრუმენტებსა და პროცესების ერთობლიობას.

კომპანიაში რისკის მართვის სისტემა ეფუძნება სამი დონის დაცვის მექანიზმს (BCBS 2011):

- პირველი დონე: პროცესის მფლობელი, რომელიც პასუხისმგებელია პროცესში არსებული რისკის მართვისათვის კომპანიაში დანერგილი რისკის მართვის ინსტრუმენტების გამოყენებით;
- მეორე დონე: რისკის მართვისათვის პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული, რომელიც შეიმუშავებს და პერიოდულად განაახლებს რისკის მართვის სისტემას, ნერგავს რისკის მართვის ინსტრუმენტებს;
- მესამე დონე: შიდა აუდიტის სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია რისკის მართვის პროცესის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასებისათვის.

მნიშვნელოვანია კომპანიაში არსებობდეს რისკის მართვის შესაბამისი გარემო და კულტურა, რასაც უზრუნველყოფს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო და მენეჯმენტი.

3. რისკის მართვის სტრუქტურა

რისკის მართვის პროცესში ჩაბმული უნდა იყოს კომპანიის ყველა თანამშრომელი, რაც რისკის მართვის გამართული სისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილია და ხელს უწყობს კომპანიის მდგრადობის ამაღლებას.

კომპანიის ყველა სტრუქტურულ ერთეულს აქვს თავისი პასუხისმგებლობა, რომელიც საჭიროა რისკის ეფექტიანად მართვისათვის.

- **სამეთვალყურეო საბჭო** - განსაზღვრავს კომპანიის ძირითად მიზნებს, ამტკიცებს რისკების მართვის მადასა და პოლიტიკას. მასთან არსებული რისკების კომიტეტის მეშვეობით, რეგულარულად განიხილავს ძირითად (key) რისკებს და აუდიტის კომიტეტის მეშვეობით აფასებს რისკების მართვის სისტემის ეფექტიანობას.
- **სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები** - რისკების, ALCO (აქტივების და ვალდებულებების მართვის) და შიდა აუდიტის კომიტეტების მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული შიდა და გარე რისკების შესწავლა, სამეთვალყურეო საბჭოს ინფორმირება კომპანიის წინაშე არსებული სტრატეგიული რისკების შესახებ და რეკომენდაციების განწვევა იმ სისტემებისა და პროცესების თაობაზე, რომელთა ინტეგრირება ან გაუმჯობესება საჭიროა რისკების მართვისა და შემცირების მიზნით.
- **შიდა აუდიტის სამსახური** - კომპანიის შიდა აუდიტი ახორციელებს რისკების მართვის სისტემის მონიტორინგს, აფასებს

სტრატეგიული ანგარიში

რისკების მართვის სისტემის ეფექტიანობასა და მდგრადობას.

- **უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი** - უზრუნველყოფს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული პოლიტიკისა და რისკების მადის ლიმიტების შესრულებისათვის სისტემების დანერგვას კომპანიაში.
- **მენეჯმენტის რისკის მართვის კომიტეტი** - განიხილავს რისკების მართვის სტრუქტურული ერთეულების მიერ წარდგენილ ანგარიშს შესრულებული სამუშაოს თაობაზე და მომზადებულ რეკომენდაციებს. წარმოდგენილი რეკომენდაციების განხილვის შემდეგ, კომიტეტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება რისკების შემცირებისა და კონტროლის მექანიზმის გაუმჯობესების შესახებ.
- **რისკის მართვის სტრუქტურული ერთეულები** - (რისკების მართვის სამსახური, შესაბამისობისა და ფულის გათვრების წინააღმდეგ ბრძოლის სამსახური, ინფორმაციული უსაფრთხოების რისკის მართვის სამსახური) - აფასებენ არსებული კონტროლის მექანიზმების ხარისხსა და შესაბამისობას კომპანიის რისკის მართვას. ქმნიან და ანახლებენ რისკის მართვის ინსტრუმენტებს (მმართველი გუნდის ვალიდაციის შემდეგ).
- **ოპერაციების მართვის სტრუქტურული ერთეული** - მართავს და აკონტროლებს რისკებს ოპერაციულ დონეზე, ჩაბმულია რისკების მართვის ინსტრუმენტების შეფასებასა და განახლებაში.

- **ოპერაციების მართვის სტრუქტურული ერთეული** - მართავს და აკონტროლებს რისკებს ოპერაციულ დონეზე, ჩაბმულია რისკების მართვის ინსტრუმენტების შეფასებასა და განახლებაში.

4. რისკის შემცირება და ქარბი კონცენტრაციის მართვა

კომპანიაში რისკის შემცირება და ქარბი კონცენტრაციის მართვა ხდება რისკის მართვის ინსტრუმენტების მეშვეობით, რომლებიც პერიოდულად გადაიხედება და ახლდება

კომპანიაში დანერგილია რისკის შემცირების შემდეგი ძირითადი ინსტრუმენტები:

- საკრედიტო პორტფელის დივერსიფიკაციის დადგენილი ლიმიტები, მათ შორის, ბიზნესსექტორების და ბიზნესქვესექტორების მიხედვით. პორტფელის 20%-ზე მეტი არ უნდა იყოს რომელიმე ბიზნესქვესექტორში (მაგ.: მესაქონლეობა, მეფრინველეობა, შიდა საქალაქო ტრანსპორტით მომსახურება და ა.შ.);
- კომპანია ყოველთვიურად აკეთებს პორტფელის რისკების ანალიზს. ანალიზის მიზანია პორტფელში რისკის კონცენტრაციის გამოვლენა და მისი შემცირების მიზნით ქმედითი ღონისძიებების რეკომენდაცია;
- საკრედიტო კომიტეტი, რომელიც არის დამოუკიდებელი ორგანო, გადაწყვეტილებას იღებს მიღებული ინფორმაციის შეფასების შედეგად, პოტენციური რისკებისა და პროექტის ეფექტიანობის გათვალისწინებით;

- საკრედიტო სკორინგი და საკრედიტო რეიტინგი, რომლებიც ეხმარება შესაბამის პასუხისმგებელ პირს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში;
- კომპანიის ხედვა კონკრეტული განაცხადის დაფინანსების გადაწყვეტილების პროცესში ითვალისწინებს მომხმარებლის დაცვას ზედმეტი ფინანსური ტვირთისაგან. „კრისტალის“ მიერ გაცემული სესხი უნდა ემსახურებოდეს მომხმარებლის ბიზნესის განვითარებას ან მისი ოჯახის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, ეფექტი აუცილებლად დადებითი უნდა იყოს;
- სესხის გრაფიკის მიხედვით შენატანის შემცირება შემოსავლების შემცირების შესაბამისად, სესხის რესტრუქტურზაცია, რაც ეფექტიანი ინსტრუმენტია და უმსუბუქებს საკრედიტო ტვირთს მომხმარებელს;
- სტრესტესტების ფორმატი, რომელიც გულისხმობს მოვლენების სხვადასხვა სავარაუდო სცენარით განვითარების შემთხვევაში მოსალოდნელი რისკის შეფასებას;
- რისკშემთხვევების შეგროვების ბაზა, რომლის ანალიზის შედეგად დგინდება მომეტებული რისკის ოპერაციები და შემდეგ ანალიზდება კონტროლის სუსტი მხარეები;
- თაღლითობის იდენტიფიკაციისა და მართვის გამართული პოლიტიკა;
- საკრედიტო ოპერაციების კონტროლის სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია საკრედიტო ოპერაციების მონიტორინგზე პოსტფაქტუმ, მისი მიზანია დაშვებული ხარვეზების აღმოჩენა და რეკომენდაციების შემუშავება შემდგომი რეაგირებისათვის;

- ინფორმაციული უსაფრთხოების გამართული სისტემა;
- კანონმდებლობის შესაბამისად, ფულის გათეთრების წინააღმდეგ კომპანიაში ფუნქციონირებს AML პოლიცია, რომლის მიზანია კლიენტთა მომსახურების პროცესში ხელი შეუშალოს იმ ტრანზაქციების განხორციელებას, რომლებიც შესაძლოა უკავშირდებოდეს ფულის გათეთრებას ან ტერორიზმის დაფინანსებას;
- კომპანიას დანერგილი აქვს იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის როგორც მარეგულირებელი წესი, ისე სისტემური კონტროლი, რომელიც მაქსიმალურად გამოირიცხავს არაიდენტიფიცირებული/ არავერიფიცირებული კლიენტის მომსახურებას;
- კომპანიას ინტეგრირებული აქვს ძირითად სისტემაში სანქცირებულ პირთა სია - Accuity, რომლის მეშვეობითაც გამოირიცხება საქმიანი ურთიერთობის დამყარება სანქცირებულ პირებთან;
- კომპანიის ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სამსახური მუდმივად ახორციელებს საკანონმდებლო სიახლეების საფუძველზე შიდა მარეგულირებელი წესებისა და პროცედურების განახლებას;
- შესაბამისობის რისკების შემცირების მიზნით, შესაბამისობის სამსახური ჩაბმულია ყველა ახალი შიდა პროცედურისა და პროდუქტის შეფასება/დანერგვის პროცესში.

5. 2019 წლის ძირითადი მიღწევები, რისკების მართვის გაუმჯობესება

- შემუშავებული და დანერგილია თაღლითობის იდენტიფიკაციისა და მართვის პოლიტიკა;
- განახლებულია რისკის შემთხვევების შეგროვების ბაზა, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ეროვნული ბანკის მოთხოვნებთან;
- შემუშავებული და დამტკიცებულია ბიზნესის უწყვეტობის პოლიტიკა, რომლის დანერგვა იგეგმება 2020 წელს;
- კომპანიის მასშტაბით ჩატარდა ოპერაციული რისკის და AML-რისკების მართვის ტრენინგი, რომელიც ემსახურებოდა ცნობადობის ამაღლებას რისკის მართვის პროცესის შესახებ;
- ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად, განახლდა სესხის განხილვისა და დამტკიცების პროცესი;
- განახლდა AML-პროცედურები, გაუმჯობესდა პროცესის ავტომატიზაცია;
- მთლიანად განახლდა ინფორმაციული უსაფრთხოების რისკის მართვის სისტემა, მისი ეფექტიანობა დადასტურდა ISO 27001 სერტიფიკატით;
- კომპანიის სისტემების მდგრადობაზე მიუთითებს fitch რეიტინგი B stable outlook.

სტრატეგიული ანგარიში


კრისტალის გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობა

„კრისტალი“ თავის საქმიანობას 3P-ის პრინციპის გათვალისწინებით ახორციელებს: ადამიანები (P-people), პლანეტა/გარემო (P-planet) და მოგება (P-profit). ამგვარად, „კრისტალის“ მიზანია დადებითი სოციალური გავლენა იქონიოს თავისი კლიენტების, სულ მცირე, 50%-ზე (2019 წლის მონაცემებით, ეს იყო დაახლოებით 35,000 ადამიანი). ამასთან, შეამციროს ნახშირორჟანგის (CO2) გაფრქვევა გარემოში, გააძლიეროს ახალგაზრდები და ქალი მომხმარებლები ფინანსური განათლებითა და კლიენტებზე მორგებული ფინანსური თუ არაფინანსური მომსახურებით.



„კრისტალის“ მწვანე პროდუქტების დახმარებით გარემოზე ასახული 2019 წლის მონაცემები:

ენერჯის დანაზოგი: 2.7 მლნ კილოვატი საათში CO2-ის შემცირება: 417 ტონა




სასურველი სოციალურ-ეკოლოგიური შედეგების მისაღწევად „კრისტალი“ ეყრდნობა მდგრადი განვითარების მიზნებიდან (SDGs) შერჩეულ შემდეგ 6 მიზანს:

კრისტალის „არ ავნო“ (“no harm”) და საზოგადოებისთვის სიკეთის ქმნის ფილოსოფია კომპანიისა და მისი გარემოსდაცვითი და სოციალური (E&S) პასუხისმგებლობის სამსახურის ყოველდღიური საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. „კრისტალი“ არის სოციალურად სასარგებლო და ეკო-მეგობრული, გენდერული თვალსაზრისით დაბალანსებული და კლიენტებზე სრულად ორიენტირებული კომპანია. მისი E&S მიზნებიც, შესაბამისად, ამ მიზნის შესრულებას ემსახურება.

„კრისტალს“ სჯერა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად აუცილებელია:

- გავაძლიეროთ **ახალგაზრდები** ფინანსური განათლებით, სამეწარმეო უნარჩვევებითა და ცოდნით;
- გავაძლიეროთ **ქალი მეწარმეები** და უცხოეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი ქალები;
- ვუზრუნველვყოთ ჩვენი საქმიანობით გამონჭველი შესაძლო ნეგატიური **ზემოქმედების შემცირება გარემოზე.**



2019 წლის ძირითადი მიღწევები და აღიარება გარემოსდაცვითი და სოციალური (E&S) მიმართულებით

საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო Microfinanza-მ (MFR) სს მისო „კრისტალს“ „A-“ რეიტინგი მიანიჭა

საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო Microfinanza Rating-მა ფინანსური ჩაბმულობის ორგანიზაცია „კრისტალს“ სოციალურ პასუხისმგებლობაში „A-“ რეიტინგი მიანიჭა.

Microfinanza Rating, რომლის სათაო ოფისიც იტალიაში მდებარეობს, არის საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო, რომელიც საქმიანობას 2000 წლიდან ახორციელებს. დღეის მდგომარეობით, კომპანია წარმოდგენილია 8 რეგიონული ოფისისაგან შემდგარი ქსელით. MFR-ს შესრულებული აქვს რეიტინგის მინიჭების 2000-ზე მეტი შეკვეთა მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში. Microfinanza-ს პორტფელი მოიცავს ისეთ მრავალფეროვან და მაღალი რეპუტაციის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობას,

როგორც Oikocredit, Symbiotics, FMO, Opic, Incofin, KFW, Axion, Pro Mujer, „დოიჩ ბანკი“, „ევროპის საინვესტიციო ბანკი“, IFC („საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია“ / „მსოფლიო ბანკის ჯგუფი“), Blue Orchard და ა.შ. სოციალური გავლენის რეიტინგის მინიჭება ხანგრძლივი და რთული პროცესია, რომლითაც ფასდება კომპანიის მდგრადობა სხვადასხვა მიმართულებით, შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება სოციალურ მიმართულებას ეთმობა.

„კრისტალი“ – „საქართველოს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ჯილდო 2019“-ის გამარჯვებული

საქართველოს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კლუბის (CSR Club), შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს, „სიდას“ და „გაეროს გლობალური შეთანხმება საქართველოს“ ინიციატივით გაიმართა კონკურსი „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ჯილდო 2019“. CSR კონკურსში მონაწილეობას იღებდა საქართველოში მოქმედი 33 მსხვილი კომპანია, რომელთა

სტრატეგიული ანგარიში

შორისაც გამარჯვებულები 5 ნომინაციაში გამოვლინდნენ. გამარჯვებულებს შორის იყო ფინანსური ჩაბმულობის ორგანიზაცია „კრისტალი“, რომელმაც გაიმარჯვა ნომინაციაში „გენდერული თანასწორობა“ (გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი #5).

„კრისტალმა“ მეორე ჯილდოს მოიპოვა ნომინაციაში „გაეროს მდგრადი განვითარების პიონერი“ - საქართველოდან პირველად დასახელდა ახალგაზრდა პროფესიონალი (35 წლამდე ასაკის) ქართული ბიზნესსექტორიდან. ამ ნომინაციაში ჯილდო გადაეცა გამარჯვებულს, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვს კომპანიის პასუხისმგებლიან საქმიანობასა და კომპანიაში მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში, რითაც ხელს

უწყობს გლობალური მიზნების ადგილობრივ რეალობად გადაქცევას.

ჩვენი გუნდის წევრი - გარემოსა და სოციალური პასუხისმგებლობის სამსახურის ხელმძღვანელი მაია ქობალია - ნომინაციაში „მდგრადი განვითარების მიზნებ/SDG პიონერი“ პირველ გამარჯვებულად დასახელდა საქართველოდან. შემდეგ იგი ასევე ასპარეზობდა ნიუ-იორკში (აშშ), გაეროს შტაბ-ბინაში გამართულ ამავე დასახელების გლობალურ კონკურსში მდგრადი განვითარების მიზნების სხვა ახალგაზრდა პიონერებთან ერთად.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება

კრისტალი“ ერთ-ერთი პირველი კომპანიაა, რომელმაც საქართველოში ხელი მოაწერა და მხარი დაუჭირა „ქალთა ეკონომიური გაძლიერების პრინციპებს“ (WEPEs). 2018 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციასა (UN Women) და „სიდასთან“ თანამშრომლობით, „კრისტალმა“ შეიმუშავა „2018-2019 წლების ქალთა ეკონომიური გაძლიერების სამოქმედო გეგმა“.

კომპანიის მიერ შემუშავებული „ქალთა ეკონომიური გაძლიერების სამოქმედო გეგმის“ შესაბამისად, „კრისტალში“ დასაქმებული ქალებისათვის 2019 წელს დანერგა ასევე თანამშრომელ ქალთა მენტორობის პროგრამა. ამ პროექტის მიზანი იყო „კრისტალში“ დასაქმებული





სტრატეგიული ანგარიში

ქალების ეკონომიური გაძლიერება პროფესიული გამოცდილების ურთიერთგაზიარების, აგრეთვე, კარიერული და პირადი განვითარების ხელშეწყობის გზით.

გარდა ამისა, ქალთა ეკონომიური გაძლიერების ფარგლებში:

- „კრისტალმა“ პირველად რეგიონის ისტორიაში გამოუშვა 15 მლნ ლარის ღირებულების ქალებისთვის განკუთვნილი გენდერული ობლიგაციები, რამაც ათასობით ქალ კლიენტს ეკონომიკური განვითარებისა და მათი მცირე საწარმოების ზრდისათვის კაპიტალზე თანაბარი წვდომის შესაძლებლობა მისცა. მოცემულ ეტაპზე ეს გულისხმობდა მეწარმე ქალებისათვის სპეციალური სერვისებისა და პროდუქტების შემუშავებას და მათთვის საკრედიტო მომსახურების საფასურის 5%-

ით შემცირებას. აღნიშნულის შედეგად, 2,300-ზე მეტმა ქალმა ისარგებლა სესხით, რომლის ჯამურმა მოცულობამაც 4.7 მლნ ლარი შეადგინა.

- გარდა ამისა, 733-მა დასაქმებულმა ქალმა გაიარა სხვადასხვა ტრენინგის პროგრამა „კრისტალის აკადემიის“ ფარგლებში. „კრისტალი“ სისტემატურად ატარებს კვლევებს გენდერულ ქრილში, მათ შორის, ხელფასების სხვაობის დასადგენად (Gender Pay Gap).





ადამიანები ჩვენს ორგანიზაციაში

თითოეულ კრისტალელზე ზრუნვა და მათთვის ღირსეული სამუშაო პირობების შექმნა კომპანიისთვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიზანია. შესაბამისად, „კრისტალი“ მუდმივად ზრუნავს ჯანსაღი და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შესაქმნელად, სადაც კომპანიის ნიჭიერი თანამშრომლები შეძლებენ თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენას, მუდმივად და უწყვეტად მიეცემათ როგორც პიროვნული, ისე პროფესიული შესაძლებლობების სრულყოფისა და განვითარების საშუალება.

„კრისტალში“ დასაქმების ხანგრძლივობა

0-1 წლამდე	18.9%
1-5 წლამდე	59.2%
5-10 წლამდე	17.8%
10 წელზე მეტი	4.1%

თანამშრომლების ასაკი

<20	0.2%
20-30	50.5%
30-40	38.8%
40-50	7.9%
50-60	1.5%
>60	1.0%

	მამრობითი	მდედრობითი
ყველა თანამშრომელი	35.2%	64.8%
უმაღლესი რგოლის მენეჯმენტი	80%	20%
მაღალი რგოლის მენეჯმენტი	42%	58%
საშუალო რგოლის მენეჯმენტი	67%	33%

თანამშრომელთა მხარდაჭერა პანდემიის პერიოდში

„კრისტალს“, როგორც მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ბიზნესკომპანიას, შემუშავებული აქვს ბიზნესის უწყვეტობისა და შრომის უსაფრთხოების გეგმა, რომლის განუყოფელი ნაწილიც არის პანდემიასთან ბრძოლის სტრატეგია.

სწორედ ამ გეგმის მიხედვით, კომპანიამ დაიწყო ვირუსის (COVID-19) გავრცელებასთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების გატარება უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველსაყოფად და კომპანიის თანამშრომლებისა და მომხმარებლების მაქსიმალურად დასაცავად. აღსანიშნავია ისიც, რომ „კრისტალმა“ სრულად შეინარჩუნა კომპანიაში დასაქმებული თანამშრომლები.

- ახალი კორონავირუსის გავრცელების საწყის ეტაპზევე დაიგეგმა და განხორციელდა პრევენციული სამუშაოები, რომლებიც სრულ შესაბამისობაში იყო მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისა და საქართველოს მთავრობის მიერ გაცემულ რეკომენდაციებთან;
- საგანგებო მდგომარეობის პერიოდში დისტანციურ მუშაობაზე გადავიდა მაქსიმალურად ყველა ის თანამშრომელი, რომლის პოზიციაც ამის საშუალებას იძლეოდა;
- სათაო ოფისის სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლების 95% სრულად გადავიდა დისტანციური მუშაობის რეჟიმზე;
- იმისათვის, რომ შენარჩუნებულიყო ბიზნესის უწყვეტობა, მაგრამ შედარებით უსაფრთხო გამხდარიყო მომსახურების პროცესი, ფილიალებში მინიმუმამდე იქნა დაყვანილი თანამშრომელთა

- რაოდენობა და დაწესდა ორკვირიანი მორიგეობები;
- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით, გამოვლინდა რისკ-ჯგუფში შემავალი თანამშრომლები და ისინი სრულად გადავიდნენ თვითიზოლაციაში;
- შიდა სამუშაო შეხვედრები და სწავლებები დისტანციურად, Office 365-ის პლატფორმის გამოყენებით ხორციელდებოდა;
- გადაუდებელი ბიზნესშეხვედრები და გამოცხადებულ ვაკანსიებთან დაკავშირებული გასაუბრებები ასევე დისტანციურად მიმდინარეობდა;
- ოფისებში ტარდებოდა სადებიზინფექციო სამუშაოები ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად;
- სადებიზინფექციო ხსნარები და ყველა საჭირო აღჭურვილობა (მათ შორის, პირბადეები, ხელთათმანები, სადებიზინფექციო ხსნარები და სხვ.) ეტაპობრივად მიეწოდებოდა ყველა ფილიალს;
- თანამშრომლებისა და მომხმარებლების უსაფრთხოების მიზნით, კვალიფიციურმა ექიმებმა შეამოწმეს თბილისში მდებარე ფილიალის თანამშრომლების ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- შემცირდა თანამშრომელთა სამუშაო დრო;
- შემუშავდა პანდემიის პერიოდში ოფისში გასათვალისწინებელი წესები და რეკომენდაციები (დებობარიერების გამოყენება, ხელის დებიზინფექცია, პირბადეების და ნიღბების გამოყენება, სპეციალური მანიშნებლები 2მ-იანი დისტანცირების შესახებ და სხვ.), რომელთა დაცვაც თანამშრომლების და მომხმარებლებისათვის სავალდებულო გახდა;
- თანამშრომელთა სწორი ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების

მიზნით, შეიქმნა საინფორმაციო პორტალი, რომელზეც განთავსდა ვირუსის გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებით ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციები და მითითებები, საკონტაქტო ინფორმაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზის, ასევე კომპანიის შიგნით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირების შესახებ, რომლებიც მხარდაჭერას უწევდნენ თანამშრომლებს;

• ვირუსის გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებით თანამშრომელთა ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, გაიწერა გაიდლაინი, რომელიც მოიცავდა ყველა მნიშვნელოვან საკითხს და პერიოდულად ხდებოდა თანამშრომლებისათვის მისი გაზიარება;

• დისტანციურ მუშაობაზე გადასვლის ხელშეწყობის მიზნით, თანამშრომლებისათვის სისტემატურად ტარდებოდა ვებინარები სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე.

დასაქმების თანაბარი შესაძლებლობა

კომპანია დასაქმების თანაბარ შესაძლებლობას სთავაზობს ყველა თანამშრომელს და დასაქმების კანდიდატს რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის,

სტრატეგიული ანგარიში

ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ან რომელიმე სხვა განმასხვავებელი ნიშნის მიუხედავად. პოლიტიკა ძალაშია დასაქმების ყველა პირობის, მათ შორის: დაქირავების, დანინაურების, ხელშეკრულების გაფორმების, კომპენსაციის, ტრენინგის და სხვა შემთხვევებში. ორგანიზაციას წარმართავენ პროფესიონალი, მოტივირებული და პატიოსანი თანამშრომლები. კომპანია მუდმივად ცდილობს შექნას დასაქმებულთა ჩაბმულობის, მოტივაციის ამაღლებისა და მათი პროფესიონალიზმის ზრდის ახალი შესაძლებლობები.

HR დიჯიტალიზაცია

2019 წელს კომპანიაში დაინერგა HR პროცესების მართვის ავტომატიზაციის სისტემა (HRMS). პროექტის პირველი ფაზა წარმატებით დასრულდა და კომპანია გადავიდა HR ოპერაციების მართვის სრულიად ახალ სისტემაზე, რომელიც მნიშვნელოვნად ზრდის HR პროცესების ადმინისტრირების ეფექტიანობას და ზოგავს როგორც ფინანსურ, ისე ადამიანურ რესურსს.

HR პროცესების მართვის ავტომატიზაციის პროექტი დაყოფილია რამდენიმე მოდულად:

- ადამიანური რესურსების მართვის სისტემისა (HRMS) და მისი შემადგენელი ნაწილის – დოკუმენტბრუნვის მოდულის (Doc Flow) საშუალებით კომპანიაში ბრძანებებისა და დადგენილების დოკუმენტები ელექტრონული შეტყობინებებით ჩანაცვლდა;

- სახელფასო მოდულის (Payroll) მეშვეობით მოხდა ხელფასების ავტომატურად დათვლა და გადახდების გენერირება;
- ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა თანამშრომელთა თვითმომსახურების მოდულზე (ESS), რომლის მეშვეობითაც თანამშრომლები უფრო სწრაფად მოახერხებენ ინფორმაციის მიღებას, გაიზრდება მათი ინფორმაციასთან წვდომის ხარისხი და HR სერვისების მიღების სისწრაფე. თვითმომსახურების პორტალის მეშვეობით, თანამშრომლები HR-ის გუნდის ჩაბმულობის გარეშე მოახერხებენ შვებულებისა და მივლინების მოთხოვნას, შვებულების ბალანსის კონტროლს, კომპანიაში მათი დასაქმების შესახებ ინფორმაციის მიღებას და ა.შ.

HR შესაბამისობა

„კრისტალში“ თითოეული თანამშრომლის კეთილდღეობაზე ზრუნვა და საუკეთესო შრომის პირობების შექმნა ერთ-ერთი პრიორიტეტია და ამ მიმართულებით კომპანია მუდმივად მუშაობს გამართული სისტემის აწყობაზე.

სწორედ ამ მიზნით, კომპანიაში არაერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა და პროექტი ხორციელდება. ერთ-ერთი ასეთი სიახლე „კრისტალში“ HR შესაბამისობის მართვის სამსახურის შექმნაა (იგივე HR ომბუდსმენი), რომელიც ადამიანებისა და ორგანიზაციული განვითარების დირექტორატში ცალკე სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდა.

HR შესაბამისობის მიმართულების მიზანია:

- კომპანიაში შრომითი ურთიერთობის თანამედროვე სტანდარტის შექმნა;
- მაღალი შრომითი პასუხისმგებლობის კულტურის ჩამოყალიბება;
- თანამშრომელთა შრომითი უფლებების დაცვა;
- თანამშრომელთა უფლებების დასაცავად პროაქტიული ღონისძიებების გატარება;
- საკითხის დასაფიქსირებლად მოქნილი და ხელმისაწვდომი მექანიზმების შექმნა.

HR ომბუდსმენი არის როგორც კომპანიის, ისე თითოეული „კრისტალელის“ წარმომადგენელი და მათი ინტერესების დამცველი კანონის, საერთაშორისო სტანდარტებისა და კომპანიაში დადგენილი წესების შესაბამისად.

HR ომბუდსმენის ინსტიტუტის ჩამოყალიბებით კომპანიამ თანამშრომლებისათვის შექმნა დამოუკიდებელი არხი, რომლის საშუალებითაც თითოეულ მათგანს შესაძლებლობა აქვს ნებისმიერი პრეტენზია, საჩივარი (დისკრიმინაციის, ძალადობის, ჩაგვრის ან შრომითი უფლებების სხვაგვარი შელახვის შესახებ) დააფიქსიროს და დაიცვას საკუთარი უფლებები.

ამ საჩივრებზე რეაგირება, მათზე ობიექტური, სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება და თითოეული თანამშრომლის უფლებების დაცვა სწორედ HR ომბუდსმენის ფუნქცია და პრეროგატივაა.

„კრისტალი“ საქართველოში პირველი ორგანიზაციაა, რომელშიც აღნიშნული სისტემა შეიქმნა. ამ გადაწყვეტილებით კომპანია კიდევ ერთხელ ხაზგასმით მიუთითებს, რომ მისი მთავარი საზრუნავი კრისტალელები და მათი უფლებების დაცვაა.

კრისტალის აკადემია

კომპანიაში მიმდინარე სწავლების პროცესის ინსტიტუციონალიზაციისა და თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდის მიზნით, შეიქმნა „კრისტალის აკადემია“.

აკადემიის მისიაა კომპანიის სტრატეგიასთან თავსებადი ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, მაღალი ღირებულებებისა და პრინციპების მქონე კრისტალელების მომზადება და გადამზადება. აკადემია ასევე აერთიანებს ცოდნის გაზიარებასა და განვითარებაზე ორიენტირებულ თანამშრომლებს სხვადასხვა კლუბებში, რომლებიც იზიარებენ აკადემიის სლოგანს: „ჩვენ ვაზიარებთ ცოდნას და ვზრუნავთ ერთმანეთის განვითარებაზე“.

კრისტალის აკადემიის ფარგლებში შეიქმნა მენტორთა და ტრენერთა კლუბი.

მენტორთა კლუბის მეშვეობით გამოვლინდნენ და გადამზადდნენ თანამშრომლები, რომლებიც დაეხმარებიან:

- სტაჟორებს საორიენტაციო და პროფესიული სტაჟირების გავლაში;
- ახალმიღებულ თანამშრომლებს ადაპტაციაში;
- დაბალი შედეგების მქონე თანამშრომლებს შედეგების გაუმჯობესებაში;
- მენტორთა კლუბს საუკეთესო პრაქტიკებისა და მიდგომების იდენტიფიკაციაში.

ტრენერთა კლუბის ფარგლებში განხორციელდა შესაბამისი თანამშრომლების იდენტიფიცირება შიდა ტრენერებად და მათი გადამზადება ზრდასრულთა სწავლების მეთოდებში. შიდა ტრენერები შეიმუშავებენ სასწავლო სახელმძღვანელოებსა და მასალას როგორც აუდიტორული, ისე დისტანციური სწავლებისთვის, ატარებენ შიდა ტრენინგებს.

მენტორთა და ტრენერთა კლუბის ჩამოყალიბებით, კომპანიაში საფილიალო ქსელის მიმართულებით შეიქმნა სწავლების ერთიანი განგრძობადი ციკლი სტაჟირების პერიოდში სწავლებასა და „კრისტალის“ თანამშრომლად გახდომის შემდეგ სწავლებას შორის, რაც მნიშვნელოვნად დაზოგავს პროცესის ადმინისტრირებისათვის საჭირო დროს და ფინანსებს.

დისტანციური სწავლება

2019 წლის განმავლობაში თანამშრომელთა გადამზადების მიზნით, შემუშავდა სხვადასხვა ტრენინგის პროგრამა, რომელთა ფარგლებში გადამზადება გაიარეს შესაბამისმა ჯგუფებმა.

თანამშრომელთათვის სწავლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, იწერება დისტანციური სწავლების პორტალი, რომლის ფარგლებშიც შემუშავდება სხვადასხვა დისტანციური სასწავლო კურსი. დისტანციური სწავლება შესაძლებლობას მისცემს თანამშრომლებს სამუშაო ადგილთან მოწყვეტის გარეშე, ონლაინრეჟიმში შეასრულონ სხვადასხვა აქტივობა და დავალება, ამასთან, დაეუფლონ ახალ ცოდნას და დახვეწონ უნარები.

დისტანციური სწავლების პლატფორმაზე განთავსებული სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია კურსებზე რეგისტრირებული თანამშრომლებისათვის გარე წყაროებიდანაც (მობილური, პერსონალური კომპიუტერი), რაც უფრო მოსახერხებელს და ეფექტიანს ხდის სასწავლო პროცესს.

სტაჟირება „კრისტალში“

კომპანია იზიარებს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს (SDG 4) და ხელს უწყობს ინკლუზიური და ყველასათვის უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნას. აღნიშნული სტრატეგიული მიზნის მისაღწევად, კომპანიაში შეიქმნა სტაჟირების ახალი სისტემა.

სტაჟირების პროგრამა კომპანიას ეხმარება ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნებაში და ეხმარება კომპანიის მიდგომასა და ფასეულობებს. „კრისტალის“, როგორც განვითარების პლატფორმის მიზანია, სტაჟირების სისტემით უზრუნველყოს ახალგაზრდებისა და საფინანსო სექტორში მუშაობით

დაინტერესებული პირებისათვის:

- პროფესიული და კარიერული განვითარების შესაძლებლობის შექმნა;
- ღირებული გამოცდილებისა და პროფესიული კონტაქტების შექმნა;
- პრაქტიკული უნარების გამომუშავების შესაძლებლობა;
- კომპანიაში დასაქმების შესაძლებლობა.

სწავლების თითოეული პროგრამის თემებზე შეიქმნა სპეციალური სასწავლო სახელმძღვანელოები, რომლებიც ეფუძნება პრაქტიკულ მაგალითებს და საუკეთესო პრაქტიკებს. სტაჟირების მასალა ატვირთულია „კრისტალის აკადემიის“ დისტანციური სწავლების პლატფორმაზე და ხელმისაწვდომია სტაჟირებისათვის ადგილისა და დროის შეუზღუდავად.

კომპანია სტაჟირების პროგრამის ფარგლებში აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, როგორც უმაღლეს სასწავლებლებთან, ისე პროფესიულ კოლეჯებთან.

სტრატეგიული ანგარიში

თანამშრომლების ადაპტაცია

კრისტალისთვის მნიშვნელოვანია არსებული და ახალი თანამშრომლებისათვის კომფორტული და ნაკლებად სტრესული გარემოს შექმნა. სწორედ ამ მიზნით, კომპანიაში დაინერგა ადაპტაციის პროგრამა, რომელიც განკუთვნილია:

- **ახალი თანამშრომლებისათვის** - ადაპტაციის პროგრამა ეხმარება მათ დროის მოკლე პერიოდში გაიარონ ადაპტაცია სამუშაო გარემოსთან, ხელმძღვანელსა და გუნდთან, გაიუმჯობესონ და აიმაღლონ კომპეტენციები სპეციალური სასწავლო პროგრამის მეშვეობით, რომელიც მოიცავს: შრომის უსაფრთხოების, ინფორმაციის დაცვის, კომპანიაში არსებული შიდა სერვისებისა და კომპანიის შესახებ არსებულ სასწავლო მოდულებს. გარდა ამისა, სწავლება ახალ თანამშრომლებს აძლევს შიდა ორგანიზაციული სტრუქტურისა და მართვის სისტემის, ორგანიზაციული პოლიტიკისა და სტრატეგიის, კორპორაციული კულტურისა და ღირებულებების გაცნობის საშუალებას, აწოდებს ინფორმაციას სხვა მნიშვნელოვანი ორგანიზაციული საკითხების შესახებ.

- **ხანგრძლივი არყოფნის შემდეგ დაბრუნებული თანამშრომლებისათვის** - სამუშაო ადგილზე ხანგრძლივად არყოფნის შემდეგ დაბრუნებული თანამშრომლები სწრაფად მოახერხებენ სამსახურში არყოფნის პერიოდში კომპანიაში არსებული ცვლილებების გაცნობას, რაც მათ დაეხმარება ადაპტაციასა და სამუშაო პროცესში

ჩაბმაში, კომპეტენციებისა და კვალიფიკაციის ამაღლებაში.

- აღნიშნული ძირითად ვრცელდება დეკრეტული შვებულებიდან დაბრუნებულ თანამშრომლებზე. ამგვარად კომპანია ხელს უწყობს ქვეყანაში დემოგრაფიულ ზრდასა და კომპანიაში დასაქმებულ ქალთა გაძლიერებას.
- გარდა ამისა, აღნიშნული პროგრამის ამოქმედებით, „კრისტალი“ მხარს უჭერს ქალთა ორგანიზაციისა (UN Women) და გაეროს გლობალური შეთანხმების (UNGC) ქალთა გაძლიერების პრინციპების იმპლემენტაციისა და დეკრეტული შვებულების დროს ან სამსახურში დაბრუნების შემდგომი ადაპტაციის ფორმალური მექანიზმის შექმნას.
- **თანამშრომლებისათვის, რომლებმაც შეიცვალეს პოზიცია/სამუშაო ადგილი** - კომპანია თანამშრომლებს კარიერული ზრდისა და დანინაურების შესაძლებლობას აძლევს, შესაბამისად, ისინი ხშირად იცვლიან პოზიციასა და სამუშაო ადგილს. ადაპტაციის პროგრამა ეხმარება კრისტალელებს ახალ როლსა და სამუშაო ადგილთან სწრაფ და მარტივ ადაპტაციაში.

შიდა კომუნიკაცია

კომპანიაში ინტენსიურად მიმდინარეობს შიდა კორპორაციული კომუნიკაციის სისტემების აწყობა-გამართვა, ყალიბდება ახალი პრაქტიკები, რასაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს Office 365-ის დანერგვა და ახალი საკომუნიკაციო არხების ამოქმედება. კომპანიის მთავარი ამოცანაა გუნდებს შორის

ინფორმაციის უწყვეტი მიმოცვლა და შიდა კომუნიკაციის მართებული პრაქტიკის ჩამოყალიბება.

- ამოქმედდა შიდა პორტალი, რომლის მეშვეობითაც თანამშრომლებს ერთდროულად და ერთი საკომუნიკაციო არხით მიეწოდებათ ინფორმაცია სიახლეების შესახებ;
- ამოქმედდა Teams-ი, რომელმაც მნიშვნელოვნად გაამარტივა და გააუმჯობესა კომუნიკაცია საფილიალო ქსელთან, ამავე დროს, მოგვცა ვებკასტებით ონლაინრეჟიმში ჩართვის საშუალება;
- ამოქმედდა Yammer-ი, რომლის თემატურ ჯგუფებში თანამშრომლები ინტერესების მიხედვით გაერთიანდნენ.

შიდა კომუნიკაციების მიმართულების მხარდაჭერით, office 365-ის დანერგვის და თანამშრომელთა დიჯიტალიზაციის პროექტის ფარგლებში, სისტემატურად ხდება გუნდების ინფორმირება, თუ როგორ, რა სიხშირით, რა საჭიროებისათვის უნდა გამოიყენონ პლატფორმის სხვადასხვა აპლიკაცია. ამ ყველაფერმა ერთად კი ხელი შეუწყო კომპანიის თანამშრომელთა დიჯიტალიზაციის მოკლე დროში.

საბოლოოდ, კომპანიაში office 365-ის, შიდა კორპორაციული კომუნიკაციების სტანდარტების, სისტემებისა და პრაქტიკების დანერგვის შედეგად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამუშაო პროცესი, შემცირდა და დაიზოგა როგორც ადამიანური, ისე დროის რესურსი. თანამშრომლების გამოკითხვის შედეგები ასე გადანაწილდა:

- შიდა კორპორაციული კომუნიკაცია გაუმჯობესდა 94%-ით;
- ეფექტიანობა გაიზარდა 79%-ით;
- დღიურად თითოეული თანამშრომელი ზოგავს საშუალოდ 45 წუთს.

კომპანიაში შიდა კორპორაციული კომუნიკაციის პრაქტიკა ნელ-ნელა იცვლება და კომუნიკაციის ახალი კულტურაც ყალიბდება. ამ მიმართულებით კომპანია კვლავ აგრძელებს ინტენსიურ მუშაობას.

თანამშრომელთა ჩაბმულობა

ფინანსური ჩაბმულობის ორგანიზაცია „კრისტალის“ წარმატების მიღწევის მთავარი დასაყრდენი, სხვა ფაქტორებთან ერთად, აქ დასაქმებული ადამიანები არიან და თითოეული თანამშრომლისა და მისი მიზნების კორპორატიულ ინტერესებთან დაკავშირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. შესაბამისად, ტალანტების განვითარებისა და მართვის სამსახური მუდმივად ზრუნავს დასაქმებისათვის საუკეთესო გარემოს შექმნაზე, რომელშიც თითოეულ თანამშრომელს საკუთარი პოტენციალისა და უნარების რეალიზების შესაძლებლობა მიეცემა.

თანამშრომლების ჩაბმულობის, მათი ფორმალურ თუ არაფორმალურ გარემოში ერთ გუნდად ჩამოყალიბებისა და მუშაობის ხელშეწყობად, საინტერესო თუ სასარგებლო ინფორმაციის გაზიარების მიზნით, კომპანიაში სხვადასხვა შიდა აქტივობა იმართება, რამაც უკვე ტრადიციის სახე მიიღო.

საერთო ინტერესების მქონე თანამშრომელთა დაახლოებისა და ინფორმაციის გაზიარების მიზნით, კომპანიაში შიდა სოციალურ ქსელში

(YAMMER) შექმნილია სხვადასხვა ტიპის თემატური ჯგუფი, რომლებშიც გაერთიანებულია კომპანიის თითქმის ყველა თანამშრომელი. ჯგუფები დაყოფილია სხვადასხვა თემატიკის მიხედვით და აერთიანებს კონკრეტული ინტერესების მქონე თანამშრომლებს. მაგ.: ფოტოგრაფების, კინომოყვარულთა, მუსიკის მოყვარულთა, მოგზაურთა კლუბები და სხვ.

ამას გარდა, შიდა სოციალურ ქსელში გახსნილია ჯგუფი „გაიგანით, კრისტალელია“, სადაც სისტემატურად ხდება კომპანიის ძველი და ახალი თანამშრომლების შესახებ ინფორმაციის გაზიარება. ამ რუბრიკის დახმარებით თანამშრომლები, რომლებსაც კომპანიამ განვითარებისა და ზრდის საშუალება მისცა, ყველიან „კრისტალში“ განვლილ საინტერესო კარიერულ გზაზე, ეს კი ხელს უწყობს გუნდებისათვის მათ უკეთეს გაცნობას.

აღნიშნულ სივრცეებში თანამშრომლები საკუთარი ინტერესების მიხედვით ერთიანდებიან. მათ ასევე შეუძლიათ შექმნან ახალი ჯგუფი და მოიწვიონ შესაბამისი თემატიკით დაინტერესებული სხვა ადამიანებიც.

ჯანსაღი ცხოვრების მხარდაჭერა და პოპულარიზაცია

ჩვენი კომპანიისათვის პრიორიტეტია ადამიანები და ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა და ხელშეწყობა.

ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით, კომპანიაში ტარდება მინი ფეხბურთისა და ბოულინგის ჩემპიონატები, რომლებშიც კომპანიის თითოეულ თანამშრომელს შეუძლია მონაწილეობების მიღება.

ამას გარდა, კრისტალი ჩაბმულია სხვადასხვა კერძო თუ არასამთავრობო სექტორის მიერ ორგანიზებულ აქტივობებში, რომლებიც ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას

ემსახურება:

- გასულ წელს კომპანიის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო დღესთან – ავტომობილის გარეშე – დაკავშირებით თბილისში გამართულ ველოგარბენში, რომლის მთავარი მიზანი იყო ავტომობილით სარგებლობის ნაცვლად პოპულარიზაცია გაეწიათ ალტერნატიული ჯანსაღი ტრანსპორტის - ველოსიპედის თუ სხვა საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობისთვის;
- ყოველწლიურად კომპანია აფინანსებს თანამშრომლების გარკვეული რაოდენობის მონაწილეობას საერთაშორისო საქველმოქმედო მარათონში - World run, რომელიც ზურგის ტვინის დაზიანების მქონე ადამიანების მხარდასაჭერად იმართება.

ასევე, ჯანსაღი ცხოვრების წესის გასავრცელებლად კომპანია ცდილობს თანამშრომლებს შესთავაზოს ფასდაკლება სხვადასხვა სპორტულ და გამაჯანსაღებელ ცენტრებში.

აღსანიშნავია ისიც, რომ მსგავს აქტივობებში კომპანიის მაღალი და საშუალო რგოლის მენეჯერებიც აქტიურად მონაწილეობენ.

სტრატეგიული ანგარიში

ინოვაციების მართვა

ციფრული პროდუქტების მართვის სამსახური

2019 წლის 19 ივნისს შეიქმნა ციფრული პროდუქტების მართვის სამსახური.

ციფრული პროდუქტების მართვის სამსახურის მიზანია, ეფექტიანად მართოს კომპანიაში არსებული ციფრული პროდუქტები, გაუწიოს დროული მხარდაჭერა პროდუქტების მომხმარებლებს, მუდმივად იზრუნოს პროდუქტების განახლებაზე, დახვეწასა და ხარვეზების აღმოფხვრაზე.

2019 წლის 3 ივლისს „კრისტალში“ დაინერგა Decision Maker (DM) სისტემა - პირველი ციფრული პროდუქტი, რომელიც უზრუნველყოფს განვადებების განაცხადების დამუშავებას და საკრედიტო რისკის შეფასებას.

DM-ის დანერგვის შედეგად, საკრედიტო კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღების საშუალო დრო 22 წუთიდან 12 წუთამდე შემცირდა.

- დანერგვიდან დღემდე DM-მა დაამუშავა 105,583 განაცხადი და აქედან 25,299 შემთხვევაში ავტომატურად მიიღო უარის თქმის გადაწყვეტილება. მხოლოდ უარის თქმისთვის კომიტეტს დაეზოგა 303,588 წუთი, რაც 632 დღესა და რამდენიმე საათს უდრის (დაბოგილი დრო ერთ განაცხადზე – საშუალოდ 12 წუთი).
- ხოლო იმ სესხებზე, რომლებზეც DM-მა დადებითი გადაწყვეტილება მიიღო და კომიტეტს გაეგზავნა, დაიზოგა 802,840 წუთი, რაც 1672

დღესა და რამდენიმე საათს უდრის (დაბოგილი დრო ერთ განაცხადზე – საშუალოდ 10 წუთი).

შემუშავდა ერთი თეთრის გადმორიცხვით ონლაინიდენტიფიკაციის მეთოდი, რის საფუძველზეც მომხმარებელს შესაძლებლობა მიეცა დისტანციურად, ოფისში მისვლის გარეშე მიიღოს სასურველ ნივთზე განვადების სერვისი. არსებული სერვისის სრულ შესაბამისობაში ეროვნული ბანკისა და კრედიტინფოს რეგულაციურ მოთხოვნებთან.

მარკეტინგი

მარკეტინგული კამპანიები

2019 წელს მარკეტინგის განყოფილებამ განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო კამპანია, რომლის შედეგადაც ბევრ მომხმარებელს მივანვძინეთ ხმა ჩვენი შეთავაზებების შესახებ და ბევრს გავუწიეთ საკრედიტო მომსახურება.

- „მსუბუქი დაფარვის“ კამპანია მომხმარებლების ვალდებულებების გაერთიანებას და საკრედიტო ტვირთის შემსუბუქებას ემსახურებოდა;
- „საკრედიტო არდადეგების“ კამპანიის ფარგლებში სეზონური ბიზნესის, ასევე სამომხმარებლო შემოსავლების მქონე მომხმარებლებს საშეღავათო პერიოდი შევთავაზეთ;
- კამპანია „მოემზადე საახალწლოდ“ წინასახალწლო პერიოდში მომხმარებელთა ფინანსურ მხარდაჭერას ემსახურებოდა.

Yes Georgia-ს ვებპლატფორმის შექმნა

შეიქმნა თანამედროვე დიზაინის მქონე ვებგვერდი, რომელსაც აქვს მარტივი ნავიგაცია, განაცხადების მიღების საშუალება, ტრენინგების მოდული, შეფასებების სისტემა, სიახლეების გამოწერა და იოლად სამართავი კატალოგი.

ლიზინგის პროდუქტის საკომუნიკაციო მხარდაჭერა

განისაზღვრა ლიზინგის საკომუნიკაციო კონცეფცია და სეგმენტი, მოხდა ბაზარზე მოქმედი კონკურენტების შესახებ ინფორმაციის მოკვლევა, შემუშავდა საინფორმაციო კონტენტი და სკრიპტები, შეიქმნა Facebook-ის, Instagram-ის, LinkedIn-ის საკომუნიკაციო არხები. ჩაეშვა პირველი რეკლამა და საინფორმაციო შინაარსის პოსტი.

მწვანე დაკრედიტება

2019 წლის განმავლობაში მწვანე პორტფელი 2,5 მლნ ლარით გაიზარდა და 7.7 მლნ-მდე ლარი შეადგინა. მწვანე დაფინანსების მიმართულებით ჯამურად 7600 სესხი და 9,935,000 ლარი გაიცა.

- მხოლოდ 2019 წლის შედეგების კალკულაციით, კომპანიამ ხელი შეუწყო 2,7 მლნ კვტ ენერჯის დაბოგვას და ამით გარემოს აარიდა 417 ტ ნახშირორჟანგის გაფრქვევა.

ამასთანავე, განხორციელდა მინიპროექტები:

- „ბრიკეტებისა და ენერგოეფექტიანი ღუმელების ჩუქება კრისტალის ლოიალური მომხმარებლებისთვის“

- საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (სადაც მაღალი იყო სათბობად შეშის მოხმარების მაჩვენებელი), კრისტალის ოთხ მოხმარებელს საჩუქრად გადაეცა ენერგოეფექტიანი ღუმელი და თხილის ნაჭუჭის ბრიკეტი;
- ენერგოეფექტიან პროდუქტზე – მზის წყლის გამაცხელებელზე მომზადდა ცნობიერების ასამაღლებელი ვიდეორგოლი;
- მწვანე პროდუქტების გაყიდვების სტიმულირებისათვის შემუშავდა ახალი სამოტივაციო სისტემა კრისტალის სადისტრიბუციო ქსელისათვის - „მწვანე ოლიმპიადა“;
- FMO-ს დაფინანსებით და ფრანკფურტის სკოლის ჩაბმულობით, ადგილობრივ პარტნიორ „ენერგოეფექტიანობის ცენტრთან“ ერთად, მომზადდა სპეციალური ტრენინგის პროგრამა კრისტალის 40 თანამშრომლისთვის.

მომხმარებელთა გაძლიერება

საკონსულტაციო პლატფორმა ქალთა გაძლიერებისათვის

2019 წელს დაფუძნდა კრისტალის შვილობილი კომპანია - „კრისტალ კონსალტინგი“, რომლის ძირითადი საქმიანობაა კრისტალის ქალი მენარმეების ეკონომიკური გაძლიერება. კონსალტინგი ქალ მენარმეების მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში გაუწევს ბიზნესკონსულტაციას და მენტორობას ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ბიზნესის მართვა, მომხმარებლებთან ურთიერთობა, ბრენდინგი და მარკეტინგი, ადამიანური რესურსების მართვა და სხვა.

მენარმეთა ფინანსური განათლება

2019 წლის მეოთხე კვარტალში კრისტალმა ეროვნულ ბანკთან ერთად დაიწყო მენარმეების ფინანსურ განათლების პროექტი - „ფინანსურ ორგანიზაციებთან ურთიერთობა და ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება“, რომელიც გულისხმობს ჩვენი კლიენტებისათვის ტრენინგის ჩატარებას ფინანსური განათლების თემაზე.

ალტერნატიული გაყიდვები

2019 წლის განმავლობაში მასშტაბურად განვავითარეთ ალტერნატიული გაყიდვების ქსელი: დავამატეთ 74 პარტნიორი, 120 მერჩანტი და 35 POS ოფიცერი. ჯამში ალტერნატიული გაყიდვების არხებით გაყიდვებში დავაგენერირეთ 22,059 სესხი და 15,425,477 ლარი.

ალტერნატიული გაყიდვების არხებს შორის გამორჩეული ადგილი უკავია ონლაინგანვადებას. ჯერჯერობით ონლაინგანვადება ერთადერთი ციფრული პროდუქტია, რომელიც შეიძლება მომხმარებელმა სახლიდან გაუსვლელად მიიღოს. 2019 წლის ბოლოსთვის კომპანიას უკვე 4795 უნიკალური ონლაინკლიენტი ჰყავს.

განვადების პროდუქტის განვითარება 2019 წელსაც გაგრძელდა, რამაც ჯამში კომპანიის განვადებების მომხმარებლების რაოდენობა 52,000-მდე გაზარდა. განვადება რჩება „კრისტალის“ მომხმარებლებს შორის ყველაზე პოპულარულ პროდუქტად. მნიშვნელოვანია, რომ განვადების პროდუქტში „კრისტალის“ ბაზრის წილი მიკროსაფინანსო სექტორში 100%-ია, ხოლო საბანკო სექტორის ჩათვლით – 13%.

ჯამში „აკიდოს“ პლატფორმიდან 2019 წლის განმავლობაში გაიცა 72,161 სესხი და 50,965,515 ლარი, რაც კომპანიის ჯამური გაცემის 47%-ია რაოდენობრივად და 15% თანხობრივად.

2019 წლის ნოემბერში ჩაეშვა საპილოტე პროდუქტი – ავტოგანვადება, ამასთანავე ავამუშავეთ სპეციალური სერვისცენტრი რუსთავის ავტობანრობაზე.

მომხმარებელთა დისტანციური მომსახურების ცენტრი

ახალი სოფტის დანერგვა

2019 წელს დაინერგა ქოლცენტრის პროგრამული უზრუნველყოფის ახალი ფუნქციები და შედეგად გამოსწორდა მომსახურების ხარისხი. პროგრამული უზრუნველყოფა გვაძლევს საშუალებას დავითვალოთ და დეტალურად ამოვიღოთ როგორც ჯამური, ისე ოპერატორებთან დაკავშირებული მონაცემები დროის ნებისმიერი მონაკვეთისათვის.

ოპერატორების მუშაობის მონაცემები თვლადი გახდა, რამაც გაამარტივა მათი შეფასება და კონტროლი. მომხმარებლებთან საუბარი გამარტივებულია წინა წლებთან შედარებით, რაც დროს ზოგავს და ოპერატორს შეუძლია მეტ მომხმარებელს მოემსახუროს

ვანარმოებთ ჩანაწერებს, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში დროულად მიეწოდება შესაბამის დეპარტამენტს.



ინფორმაციული ტექნოლოგიები

2019 წელს გაანალიზდა ბიზნესსტრატეგია და მოერგო საინფორმაციო ტექნოლოგიების სტრატეგიასა და საქმიანობას. შემუშავდა და დაიხვეწა საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული საინფორმაციო სისტემების პროცესები და პროცედურები. ყველა მიმართულებაში მოხდა შესაბამისი სტანდარტების გაუმჯობესება და დანერგვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო კომპანიის ციფრული ტრანსფორმაციისა და ინფორმაციული უსაფრთხოების კუთხით მიღწეული შედეგები. კომპანიაში შექმნილი და მიიღო ინფორმაციული უსაფრთხოების ISO 27001 საერთაშორისო სერტიფიკატი.

რეგულარულად ხდებოდა ძირითადი სერვისების, პროგრამული უზრუნველყოფის, „ძირითადი (ქორ) სისტემის“ განახლება და რეგულაციებთან მორგება. შემუშავდა და დაინერგა შიდა სისტემების განვითარების ახალი მიდგომები და არქიტექტურა. უზრუნველყოფილ იქნა ახალ არქიტექტურაზე სერვისების ნაწილის მიგრაცია. განხორციელდა ძირეული ინფრასტრუქტურული ცვლილებები, ოპტიმიზაცია, გადაწყვიტა და შეიცვალა ინფრასტრუქტურა. წარმატებით განხორციელდა რამდენიმე კრიტიკული სისტემის ბიზნესუნყველობის შემუშავება და ტესტირება. დაინერგა ახალი სისტემები, რომლებმაც

გააუმჯობესა უსაფრთხოება და მონიტორინგი. შემუშავდა და დაინერგა პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის სასიცოცხლო ციკლი, დაინერგა პროგრამული უზრუნველყოფის ვერსიებისა და კოდის კონტროლი.

პროექტების მართვისა და ბიზნესანალიზის მიმართულება

პროექტის მენეჯმენტი და ბიზნესანალიზის მიმართულება ახორციელებს კომპანიის მასშტაბით ყველა, მათ შორის, IT და არა IT პროექტების მართვას და ბიზნესანალიტიკას. პროექტების მართვისათვის გამოიყენება ჩანჩქერის და „ეჯაილ“ მეთოდოლოგიები, რომლებიც შეირჩევა თითოეული პროექტის მოთხოვნის, საჭიროების და სპეციფიკის გათვალისწინებით.

„ეჯაილ“ მეთოდოლოგიით წარმატებით გაუმჯობესდა პროცესები რამდენიმე მიმართულებით და მიღწეულ იქნა დასახული ბიზნესშედეგები.

სამსახური აგრეთვე მოიცავს ბიზნესანალიზის მიმართულებას, რომელიც წარმატებით უზრუნველყოფს ბიზნესის საჭიროების დეტალურ გაანალიზებას და მისაღები შედეგების სწორად განსაზღვრას.

ინფორმაციული სისტემის უსაფრთხოების სამსახურის მცირე

გუნდმა შექმნილი განმავლობაში წარმატებით დაესრულებინა 40-მდე სტრატეგიული და არასტრატეგიული პროექტი, აქტიურად ეხელმძღვანელა 100-მდე სხვადასხვა სიდიდისა და სირთულის პროექტისათვის. შედეგად განვითარდა და დაიხვეწა კომპანიის მიერ კლიენტების მომსახურება და გაიზარდა ეფექტიანობა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთ საკითხებთან დაკავშირებული წარმატებული პროექტები, როგორებიცაა ERP, ადამიანური რესურსების მართვის სისტემა, სესხების პროცესინგის და სქორინგის სისტემა, გადაწყვეტილების მართვის სისტემა, პრობლემური სესხების მართვის მოდული, ბიზნესგანვითარების 100-დღიანი გეგმა, ეროვნული ბანკის რეგულაციებთან ადაპტაცია, თანამშრომელთა დიჯიტალიზაცია, ბიზნესპროცესის ავტომატიზაცია და ა.შ.

ინფორმაციული სისტემის უსაფრთხოების მიმართულებით მიღწეული შედეგები

ინფორმაციული სისტემის უსაფრთხოების სამსახური შექმნილია უსაფრთხოების მზარდ მოთხოვნასთან გასამკლავებლად და საერთაშორისო სტანდარტებთან გასათანაბრებლად. სამსახური დაკომპლექტებულია 2

თანამშრომლით, რომლებიც კომპანიაში ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ.

ერთნაირი პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ISO/IEC 27001:2013 (ISO27001) უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტის შემუშავება და დანერგვა. შედეგად დაიფარა 114-მდე ინფორმაციული უსაფრთხოების კონტროლი, დაინერა 100-მდე პროცესი და პროცედურა, მოხდა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ყველა თანამშრომელს ჩაუტარდა ინფორმაციული უსაფრთხოების ტრენინგი და განხორციელდა სხვადასხვა სისტემის აუდიტი, მოხდა ინფორმაციული უსაფრთხოების პროექტების დანერგვა.

ინფორმაციული ტექნოლოგიების ოპერაციების მიმართულება

კომპანიის ოპერაციული საქმიანობის, ბიზნესუნწყვეტობისა და ახალი პროექტების მხარდაჭერის გაუმჯობესების მიზნით, დაინერგა ინფორმაციული ტექნოლოგიების პროექტები და ახალი პროცესები.

აღსანიშნავია რამდენიმე პროექტი, მათ შორის, მონაცემთა ცენტრის განახლება-გაუმჯობესება, რამაც უზრუნველყო კომპანიის სტაბილური და მდგრადი განვითარება.

ბიზნესუნწყვეტობის კუთხით დამუშავდა და პრაქტიკულად შემონდა კრიტიკული სერვისების უწყვეტობის გეგმა. განხორციელდა სასერვერო აპარატურული განახლებები, სასერვერო ინფრასტრუქტურის ვირტუალიზაცია და ოპტიმიზაცია, გატარდა ეროვნული ბანკის საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისი ცვლილებები.

დაიხვეწა უსაფრთხოების სისტემა, გაუმჯობესდა მომხმარებლის დაცვა და შეიცვალა სერვერული ინფრასტრუქტურა, რამაც უზრუნველყო მდგრადი და უსაფრთხო ინფრასტრუქტურა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ოპერაციების დაცულობა.

ერთ-ერთი მთავარი პროექტი იყო თანამშრომლების დიჯიტალიზაცია. არსებული ელექტრონული ფოსტა შეიცვალა Office 365-ით, რამაც შეცვალა ბიზნესის მუშაობის სტილი და უზრუნველყო სხვადასხვა საკომუნიკაციო და კოლაბორაციული ხელსაწყოების დანერგვა.

პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების მიმართულება

მიმართულება ძირითადად კონცენტრირებულია სესხების დამუშავებისა და პროცესინგის განვითარებაზე, გადაწყვეტილების მიღების სისტემაზე, ციფრული

პლატფორმა „აკიდოს“, სხვადასხვა მცირე თუ დიდი სერვისების განვითარებასა და ინტეგრაციაზე. სესხების პროცესინგის მიმართულებით დაემატა ახალი პროდუქტები, რომლებიც უზრუნველყოფს სესხის გაცემის პროცესის ავტომატიზაციასა და დაჩქარებას. დაიხვეწა და განვითარდა ბიზნესინტელიჯენსის სისტემა.

პერიოდულად მიმდინარეობდა ძირითადი სერვისების, პროგრამული უზრუნველყოფის განახლება და რეგულაციებთან მორგება. შემუშავდა და დაინერგა შიდა სისტემების განვითარების ახალი მიდგომები და არქიტექტურა, განხორციელდა ახალ არქიტექტურაზე სერვისების ნაწილის მიგრაცია. პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების განყოფილებაში შექმნა პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებისა და დახვეწის სტანდარტი, დაამუშავა პროგრამული უზრუნველყოფის სასიცოცხლო ციკლი.

პროგრამული უზრუნველყოფის ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულება

SQA გუნდის მიზანია აღმოაჩინოს პროექტებისა და პროგრამული განახლებების ხარვეზები და უზრუნველყოს სტაბილური და უხარვეზო სისტემების დანერგვა. სამსახურის მცირე გუნდმა შეძლო

ათობით პროექტის ტესტირება და სტაბილიზაცია. შემუშავდა და დაინერგა საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული პროცესები, რამაც შეამცირა ტესტირებისათვის საჭირო დრო, უზრუნველყო ტესტირების პროცესის გაუმჯობესება და მოგვცა ტესტირების პროცესის სათანადოდ გაანალიზების, დაგეგმვისა და ოპტიმიზაციების საშუალება.

„კრისტალის“ ციფრული ტრანსფორმაცია და ავტომატიზაცია

„კრისტალმა“ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად დაისახა თანამშრომლების ეფექტიანობის გაზრდა, ოპერაციული ხარჯების შემცირება, თანამშრომლებს შორის შიდა კომუნიკაციის, კოლაბორაციის გაუმჯობესება, პროცესებისა და საკითხების დიჯიტალიზაცია, ავტომატიზაცია და ოპტიმიზაცია.

პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით გამოიხატა Office 365-ზე მიგრაციით და მისი სრული მასშტაბით დაწერვით კომპანიაში.

დაინერგა შიდა ვებკონფერენციებისა და ჩეთის აპლიკაცია, რომლებიც ეფექტიანად ემსახურება ფილიალებს შორის კომუნიკაციას. შეიქმნა ახალი შიდა პორტალი, რომელშიც თავმოყრილია ყველა სიახლე თუ საჭირო ინფორმაცია, რომელიც თანამშრომლის ეფექტიანი და სრულყოფილი

მუშაობისათვის გვჭირდება. დაინერგა შიდა სოციალური ქსელი, რომელიც წარმატებით ემსახურება თანამშრომლებს შორის ინფორმაციის თავმოყრას და კომუნიკაციას. პროექტის ფარგლებში შეიქმნა ონლაინტრენინგის პლატფორმა, მოხდა თანამშრომლების გადამზადება.

შედეგად, თანამშრომელთა გამოკითხვამ ცხადყო, რომ ყოველდღიურად თითოეული თანამშრომელს საშუალოდ ეზოგება 45 წუთი. მათივე შეფასებით, გაუმჯობესდა კომუნიკაცია (94%) და ეფექტიანობა (79%). თანამშრომლებს აქვთ ყველა საჭირო ხელსაწყო ეფექტიანი მუშაობისათვის (82%)

კომპანია აქტიურად იყენებს ბიზნესპროცესის მენეჯმენტის ხელსაწყოებს, რითაც შესაძლებელი გახდა ბევრი მიმართულების ბიზნესპროცესის გადანაცობა, დიჯიტალიზაცია და ავტომატიზაცია, ამგვარად საქმიანობა გახდა ეფექტიანი, სწრაფი და დაიზოგა საკმაოდ დიდი ოპერაციული თუ ადამიანური რესურსი.

სხვადასხვა პროექტის დაწერვამ დადებითი შედეგი გამოიღო დიჯიტალიზაციის, ოპტიმიზაციისა და ავტომატიზაციის მიმართულებით:

- ERP - სისტემა დაინერგა კომპანიაში არასაოპერაციო პროცესების იდენტიფიცირებისა და სისტემატიზაციის მიზნით.
- დღეის მდგომარეობით,

ERP სისტემას ვიყენებთ სამი ძირითადი მოდულით. შესყიდვების, მარაგების და ძირითადი საშუალებების, როგორც მმართველობითი, ისე ბუღალტრული აღრიცხვისთვის.

• მარაგებისა და ძირითადი საშუალების მთლიანი პროცესი მოთხოვნის დარეგისტრირებიდან მოთხოვნისათვის ნივთის ჩაბარებამდე ინიცირდება და კონტროლდება ERP სისტემაში. ამავდროულად ხდება მმართველობითი ტრანზაქციის ფინანსური ასახვა.

• HRMS სისტემის დანერგვამ საშუალება მოგვცა კომპანია გადასულიყო HR ოპერაციების მართვის ახალ დონეზე, რითაც მნიშვნელოვნად იზრდება ადმინისტრირების ეფექტიანობა და ზოგავს როგორც ფინანსურ, ისე ადამიანურ რესურსს.

• შეიცვალა და სრულიად გადაკეთდა არსებული გადანყვეტილების მიღებისა და განვადების სესხების დამტკიცების პროგრამული უზრუნველყოფა. დაიწყო და მიმდინარეობს სესხების პლატფორმის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს სწრაფ და ოპტიმალურ პროცესინგს.

• მოხდება კომპანიაში ისეთი სისტემის დანერგვა, რომელიც მისცემს მას შესაძლებლობას, რომ სწორად მოახდინოს ვადაგადაცილებულ სესხებზე რეაგირება, ჰქონდეს CRM ტიპის შესაძლებლობები

და დინამიკურად მართოს ვადაგადაცვილებულ სესხზე მუშაობის ბიზნეს პროცესები; მოახდინოს მსესხებელთან კომუნიკაციის არხების/ ფორმების სტანდარტიზება და ავტომატიზაცია.

უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტი: ISO/IEC 27001: 2013 (ISO 27001)

სერვისები და პროდუქტები, რომლებსაც კომპანია თავის მომხმარებელს სთავაზობს, აუცილებელია აკმაყოფილებდეს ინფორმაციული უსაფრთხოების მოთხოვნებს. დღეს ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კლიენტები დარწმუნებული იყვნენ თავისი სერვისებისა და მონაცემების დაცულობასა და საიმედოობაში.

ორგანიზაციაში ინფორმაციული უსაფრთხოების საჭიროების, მზარდი გამომწვევებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით, საჭირო იყო ინფორმაციული უსაფრთხოების უმაღლეს დონეზე აყვანა, რათა კომპანიას ჰქონოდა თანამედროვე გამომწვევებთან გამკლავების საშუალება.

კომპანიამ დაისახა დიდი მისია, რომელიც მოიცავდა კომპანიის, კლიენტების, თანამშრომლებისა და პროცესების უსაფრთხოების თანამედროვე სტანდარტებთან მორგებას, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების და სტანდარტების დანერგვას.

სწორედ ამიტომ შევარჩიეთ ISO/IEC 27001:2013 (ISO 27001) უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც ფარავს 114-მდე ინფორმაციული უსაფრთხოების კონტროლს, სრულად მოიცავს ინფორმაციული უსაფრთხოებისათვის საჭირო პროცესებს და კონტროლს – ყველა თანამშრომლის ცნობადობის გაძლიერებიდან რთული IT პროცესების უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტებთან მორგებამდე.

გაანალიზდა და შეფასდა რისკები, 1000 თანამშრომელზე მეტს ჩაუტარდა უსაფრთხოების ტრენინგი, შეიქმნა და დაინერგა ასობით პროცესი და პროცედურა, განხორციელდა IT სისტემების აუდიტი, შეიქმნა და განხორციელდა ბიზნესუწყვეტობის პროცესები და ტესტები, ეს ყოველივე კი უსაფრთხოების სტანდარტებს მოერგო.

ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვამ მოგვცა ეფექტიანი მართვის, კონტროლის და მონიტორინგის საშუალება.

უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტის ISO/IEC 27001:2013 (ISO 27001) აღებით „კრისტალი“ გახდა პირველი ფინანსური კომპანია საქართველოში, რომელმაც შესძლო ამ სერტიფიკატის მოპოვება.



ანალიტიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება

„კრისტალში“ მონაცემთა ანალიზის ძლიერი კულტურა მკვიდრდება. სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების მიმართ ანალიტიკური მიდგომა კომპანიის მთავარი დამახასიათებელი თვისება ხდება. 2019 წელი მნიშვნელოვანი იყო ანალიტიკური შესაძლებლობების გაუმჯობესების თვალსაზრისით. ამ მხრივ, აღსანიშნავია ორი მთავარი მიღწევა:

1. გადაწყვეტილების მიმღებთა შორის ინფორმირებულობის ამაღლება მონაცემთა ანალიზის მნიშვნელობისა და ეფექტიანი გამოყენების შესახებ. მონაცემთა ანალიზის შესახებ ჩატარდა ექვსი სემინარი, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 60 პირმა, მათ შორის, ყველა ფილიალის ხელმძღვანელმა. მონაწილეები გაცნენ მონაცემთა ანალიზის

როლს ყოველდღიური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;

2. საკრედიტო პორტფელის შესახებ ინფორმაციული პროდუქტების განვითარება და თითქმის რეალურ დროში მიმდინარე ბიზნესანალიზის დანერგვა. შედეგად, გადაწყვეტილების მიმღები დაახლოებით 70 პირი ყოველდღიურად იყენებს ბიზნესანალიზის შესაძლებლობებს ინფორმაციაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მისაღებად.



მმართველობითი
ანგარიში

აქციონერთათვის წლიური ანგარიშის წარდგენა და აუდიტორული ფინანსური ანგარიშგების მიწოდება ჩვენი პასუხისმგებლობაა. მიგვაჩნია, რომ წლიური ანგარიში და ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არის სანდო, დაბალანსებული და გასაგები. იგი აქციონერებს აწვდის აუცილებელ ინფორმაციას კომპანიის მდგომარეობასა და საქმიანობის, ბიზნესმოდელისა და სტრატეგიის შესაფასებლად.

სს მისო „კრისტალის“ სამეთვალყურეო საბჭოს სახელით წარმოგიდგენთ წლის სტრატეგიულ ანგარიშსა და გარე აუდიტორის მიერ მომზადებულ თანმხლებ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას. ეს არის სანდო, დაბალანსებული და გასაგები ანგარიში, რომელშიც წარმოდგენილია ინფორმაცია აქციონერების მიერ კომპანიის მდგომარეობის, საქმიანობის, ბიზნესმოდელისა და სტრატეგიის შესაფასებლად.

ანგარიშში ხაზგასმით არის მითითებული ძირითადი ოპერაციული და ფინანსური შედეგები, წარმოდგენილია მთავარი მიღწევები და გამონწვევები, რომელთა წინაშეც კომპანია 2019 წელს აღმოჩნდა. ასევე მოცემულია მომდევნო საანგარიშო პერიოდის გეგმები.

2019 წლის ანგარიში შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონისა და გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსის გასაჯაროების სპეციალური მოთხოვნების შესაბამისად.

არჩილ ბაკურაძე
სამეთვალყურეო საბჭოს
თავმჯდომარე

სამეთვალყურეო საბჭო

კრისტალს ხელმძღვანელობს ეფექტიანი სამეთვალყურეო საბჭო, რომელსაც კომპანიის გრძელვადიანი წარმატების კოლექტიური პასუხისმგებლობა აკისრია.

სამეთვალყურეო საბჭო შედგება ექვსი წევრისგან, მათ შორის არის ორი დამოუკიდებელი წევრი და ორი ინვესტორის წარმომადგენელი. ორი წევრი საქართველოს მოქალაქეა და მათი საქმიანობის ადგილი ძირითად საქართველოა. წევრებს აქვთ ბიზნესის განვითარების, კორპორაციული მართვის, საბანკო საქმის/მიკროფინანსირების, ტექნოლოგიების, ინოვაციებისა და ადამიანური რესურსების განვითარების მდიდარი გამოცდილება.

თავმჯდომარე

საბჭოსა და თავმჯდომარის ფუნქციები ცალსახად გამიჯნულია მმართველი გუნდის პასუხისმგებლობებისაგან. თავმჯდომარე პასუხისმგებელია საბჭოს ხელმძღვანელობისა და მისი ფუნქციების ყველა ასპექტის ეფექტიანობის უზრუნველყოფისათვის.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის არჩილ ბაკურაძის (საქართველო) მოვალეობები განსაკუთრებულად არ შეცვლილა. იგი ფინანსისტი, მენარმე და კრისტალის დამფუძნებელია. გარდა ამისა, არის ორი სხვადასხვა კომპანიის: საქართველოში - საგადასახადო სისტემის მიმწოდებლისა და გაერთიანებულ სამეფოში - სამომხმარებლო ფინანსების კომპანიის თანადამფუძნებელი. გაერთიანებული სამეფოს ფინანსური მართვის ორგანომ

(FCA) არჩილ ბაკურაძეს არაადამსრულებელი დირექტორის კონტროლირებადი ფუნქცია CF2 (2017) მიანიჭა. იგი ფონდი კრისტალის გამგეობის თავმჯდომარეა და რამდენიმე არასამეწარმეო ორგანიზაციის მართვაში მონაწილეობს. თავმჯდომარე საკუთარი დროის ნახევარზე მეტს კრისტალს უთმობს, ხოლო მისი ფუნქციები და პასუხისმგებლობა რეგულირდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული პოლიტიკის შესაბამისი დოკუმენტით. თავმჯდომარეს ირჩევენ აქციონერები და იგი ანგარიშვალდებულია მათ წინაშე. თავმჯდომარის საქმიანობას, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ჩატარებული საქმიანობის შეფასების საფუძველზე, აფასებენ კომპანიის აქციონერები; საბჭოს რეკომენდაციით აქციონერები ამტკიცებენ თავმჯდომარის შრომის ანაზღაურების ოდენობასა და მის ნებისმიერ ცვლილებას.

საბჭოს შემადგენლობა

კრისტალი იყენებს სამეთვალყურეო საბჭოს პოლიტიკასა და პროცედურას, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს საბჭოს ვალდებულებებს, ფუნქციებსა და პასუხისმგებლობას, არეგულირებს მის საქმიანობას. იგი ადგენს პროცედურებს, კომუნიკაციის წესებს, უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტის მართვისა და საბჭოს წევრების დანიშვნისა და გათავისუფლებას.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნიკოლოზ ლოლაძე (საქართველო) გახლავთ, იგი გამოცდილი კორპორაციული დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრია, რომელიც თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს მისი არყოფნის

შემთხვევაში და ხელმძღვანელობს რისკების კომიტეტს. ნიკოლოზ ლოლაძე კრისტალის ელექტრონული გადახდის სერვისების მიმწოდებლის - სს „მობაილ ფაინენს სერვის ჯორჯიას“ აქციონერია, ამიტომ, ამ კომპანიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ხმის მიცემისას იგი თავს იკავებს.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან (ანბანური თანამიმდევრობით): იან დევიზგაერტი (ბელგია), დანიშნულია Incofin IM-ის მიერ, ხელმძღვანელობს სტრატეგიისა და ინოვაციების კომიტეტს; ალექს რემტულა (აშშ), დანიშნულია DWM-ის მიერ, ხელმძღვანელობს გარემოსდაცვით და სოციალურ კომიტეტს; კის იანგი (გაერთიანებული სამეფო), დანიშნულია კრისტალის ფონდის მიერ, ხელმძღვანელობს ადამიანური რესურსებისა და კომპენსაციების კომიტეტს. ლილიტ გარაიანი (სომხეთი), დამოუკიდებელი წევრი, ხელმძღვანელობს შიდა აუდიტის კომიტეტს.

სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობა

2019 წლის განმავლობაში სამეთვალყურეო საბჭომ გამართა 4 უშუალო და 5 ვირტუალური შეხვედრა. 2019 წელს სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული კომიტეტი შეიკრიბა:

- შიდა აუდიტის კომიტეტი - 3-ჯერ;
- აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი - 7-ჯერ;
- რისკების კომიტეტი - 4-ჯერ;
- სტრატეგიისა და ინოვაციების კომიტეტი - 4-ჯერ;
- გარემოსდაცვითი და სოციალურ საკითხთა კომიტეტი - 4-ჯერ;
- ადამიანური რესურსებისა და კომპენსაციის კომიტეტი - 4-ჯერ.

სამეთვალყურეო საბჭო იღებს დეტალურ კვარტალურ ანგარიშს კომპანიის მიერ შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ, მათ შორის, ფინანსური ანგარიშგების საბალანსო უწყისს. გარდა ამისა, სამეთვალყურეო საბჭო განიხილავს კვარტალურ ანგარიშს რისკების შესახებ. სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები ეცნობიან დეტალურ ანგარიშებს და განიხილავენ საკითხებს თავიანთი კომპეტენციების შესაბამისად. სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად ახორციელებს კომპანიის წლიური სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგს.

სამეთვალყურეო საბჭოს მთავარი დანიშნულებაა კომპანიის ეფექტიანი მართვისა და ზედამხედველობის უზრუნველყოფა; სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეეხება სტრატეგიულ საკითხებს, კომპანიის ზოგად სტრუქტურას, დირექტორატის დონეზე არსებულ სტრატეგიებს, ფართომასშტაბიან პროექტებს, უფროსი ოფიცრების შეფასებასა და მოტივაციას, წლიური სტრატეგიული გეგმების დამტკიცებას, ფინანსურ პროგნოზებს, სამოქმედო გეგმის შეთავაზებებს აქციონერებისათვის, როგორებიცაა: დივიდენდების გაცემა, ახალი აქციების გამოშვება ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის ფარგლებში, ცვლილება საბჭოს შემადგენლობაში და ა.შ.

საბჭოს მხარდაჭერა

სამეთვალყურეო საბჭოს მხარდაჭერას ახორციელებს კორპორაციული მდივანი, თავმჯდომარის მხარდაჭერას - აღმასრულებელი ასისტენტი.



Financial Inclusion Organization

კორპორაციული მართვა

კრისტალის კორპორაციული მართვა ხელს უწყობს კომპანიის მისიისა და გრძელვადიანი სტრატეგიის განხორციელებას. სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციაა კორპორაციული სტრატეგიის ყოველწლიური შეფასება და მიზნების მომავალი წლის სტრატეგიულ გეგმებში ასახვა. ყველა უფროსი ოფიცერი ინიშნება ძირითადი და მეორეხარისხოვანი სტრატეგიული გეგმის განსახორციელებლად, რაც მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის მათი ცვლადი კომპენსაციისათვის. აღნიშნული გეგმები გადაეცემათ ბიზნეს ან სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებიც სამოქმედო გეგმებად გარდაიქმნება და იზომება შესრულების შეფასების მთავარი ინდიკატორებით.

ეფექტიანი კორპორაციული მართვის მიზანია, რომ საბჭომ უზრუნველყოს კრისტალის მომხმარებელთა ინტერესებზე მორგებული და ადამიანებზე

ორიენტირებული მიდგომების შენარჩუნება. ამ მიზნით საბჭო ახორციელებს მომხმარებელთა კმაყოფილებისა და თანამშრომელთა ჩაბმულობის კვლევას. დაბოლოს, სოციალური კომიტეტი ყოველწლიურად განიხილავს და აფასებს სოციალური ზემოქმედების ხარისხს.

კრისტალს ინტერესთა კონფლიქტის მართვის მკაცრი პოლიტიკა აქვს, რომელიც რეგულირდება სამეთვალყურეო საბჭოს წესებითა და პროცედურებით და თანამშრომელთა ეთიკის კოდექსით.

კრისტალი მოწოდებულია მაქსიმალურად შეუსაბამოს თავისი კორპორაციული მართვის სისტემის მოდელი გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსის პრინციპებს. განხორციელების შესახებ ანგარიში მოცემულია დანართში N1.

ფინანსური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

კრისტალი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ფინანსურ დანაშაულთან ბრძოლას.

კომპანიამ 2019 წლის განმავლობაში განავითარა სტრატეგია იმ საექვო გარემოებების გამოსაძიებლად, სადაც შესაძლოა დადგეს რაიმე სახის დანაშაულებრივი რისკი. კომპანია მოცემული სტრატეგიით იხელმძღვანელებს შემდგომ წელსაც, თაღლითობასთან ბრძოლის უზრუნველსაყოფად.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები



არჩილ ბაკურაძე
სამეთვალყურეო საბჭოს
თავმჯდომარე

სამეთვალყურეო საბჭოს და აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტის თავმჯდომარე, გახლდათ მიკროსაფინანსო ასოციაციის თავმჯდომარე, ამჟამად კი მისი გამგეობის წევრია. არჩილ ბაკურაძე არის ფონდი კრისტალის გამგეობის თავმჯდომარე და მოღვაწეობს სხვადასხვა არაკომერციული ორგანიზაციის მმართველობაში. იგი ფლობს ლანკასტერის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს (2004), არის ჯონსმიტის ფონდის (2000) სტიპენდიატი და ჰოლანდიის დევნილთა ფონდის „Stichting Vluchteling“ „Van Heuven Goedhart“-ის სახელობის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი (2003).



ნიკოლოზ ლოლაძე
სამეთვალყურეო საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე

თავმჯდომარის მოადგილე და რისკების კომიტეტის ხელმძღვანელი. ნიკოლოზ ლოლაძეს აქვს ეკონომიკური განვითარების საკითხებზე მუშაობის 10 წელზე ხანგრძლივი გამოცდილება. არის სხვადასხვა მსხვილი ბიზნესისა და არამომგებიანი ორგანიზაციის დამაარსებელი და საბჭოს წევრი საქართველოში. როგორც მართვის საკითხების ექსპერტი, არის სხვადასხვა ბიზნესისა და არამომგებიანი ორგანიზაციის მრჩეველი და საბჭოს წევრი, მათ შორის, საქართველოს საფონდო ბირჟის, სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალის“, სს Mobile Finance Eurasia, გაერთიანებული სამეფოს-საქართველოს პროფესიული ქსელის და შპს Anchor Consulting. იგი სწავლობდა მაგისტრატურაში მართვის (უორვიქი, გაერთიანებული სამეფო) და ფიზიკის (თბილისი, საქართველო) მიმართულებით. მიღებული აქვს სერტიფიკატები პროექტის მართვაში, პოლიტიკის ანალიზსა და სახელმწიფო მართვაში.

მმართველობითი ანგარიში



იან დვეინგავერტი
წევრი

სტრატეგიის, მონაცემებისა და ინოვაციების კომიტეტის თავმჯდომარე, 2015 წლიდან იგი არის Incofin IM კერძო ინვესტიციათა ფონდის დირექტორი. წინა წლებში იგი იყო Gimy-ს (2012-2015) პარტნიორი; Eagle Venture Partner-ის (2001-20015) მმართველი დირექტორი; ანალიტიკოსი, ინვესტიციათა მმართველი, ინვესტიციათა უფროსი მმართველი, ინვესტიციათა უფროსი აღმასრულებელი მმართველი და დირექტორი Gimy-ში (1989-2011); KBC Bank-ის მრჩეველი (1983-1989). მან სანარმოო პოლიტიკა და მშენებელი ინჟინრის სპეციალობა ლეუვენის (ბელგია) კათოლიკურ უნივერსიტეტში, ხოლო კორპორაციულ საფინანსო სტრატეგია საფრანგეთში შეისწავლა.



ლილიტ გარაიანი
წევრი

ფინანსისტი, „კრისტალის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი 2018 წლის 11 ივლისიდან. მას აქვს საბანკო სექტორში მუშაობის მდიდარი გამოცდილება როგორც მმართველ თანამდებობებზე, ისე კონსულტანტის პოზიციაზე ფინანსური მართვის, რისკების მართვის და ოპერაციული მართვის მიმართულებით. 2015 წლიდან მონაწილეობს SDC-ის, KfW-ისა და AFD-ის პროექტების განხორციელებაში საქართველოსა და სომხეთში. იგი სწავლობდა სომხეთის ამერიკულ უნივერსიტეტში MBA ფინანსების სპეციალიზაციით, არის პროკრედიტის კორპორაციის უმაღლესი რგოლის მართვის აკადემიის კურსდამთავრებული, არის ACCA-ს წევრი, მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხი ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტში.



ალეემ რემტულა
წევრი

პარტნიორი და DWM-ის კერძო ინვესტიციათა გუნდის ხელმძღვანელი. რემტულა არის საბჭოს წევრი და აქციონერის წარმომადგენელი DWM-ის მხრიდან 2011 წლიდან. ის ამჟამად ხელმძღვანელობს გარემოსდაცვით და სოციალური კომიტეტს. მისი კარიერა საინვესტიციო საბანკო სფეროში JP Morgan-ში დაიწყო და აქვს 20 წელზე ხანგრძლივი გამოცდილება გლობალურად, როგორც სამწარმოო კაპიტალის, ასევე ვენჩურული კაპიტალის საშუალებით მიზნობრივი ინვესტირების კუთხით. მას მიღებული აქვს ბიზნესის მართვის მაგისტრის ხარისხი ჰარვარდის ბიზნეს სკოლაში, ხოლო ეკონომიკისა და ფინანსების დარგის ბაკალავრის ხარისხი - პრინსტონის უნივერსიტეტში.



**კის იანგი
წვერი**

ეკონომისტი, ადამიანური რესურსების, კომპენსაციის და ანაზღაურების კომიტეტის თავმჯდომარე. ის გახლავთ ინტერნეტის, კომუნიკაციისა და გამომცემლობის სფეროებში მნიშვნელოვანი გამოცდილების მქონე მენარმე. კისი არის ღია ტიპის სააქციო საზოგადოებების “cScape” აღმასრულებელი თავმჯდომარე და ღია ტიპის საზოგადოების “NBT” თანადამაარსებელი და საბჭოს წევრი. იგი ფლობს ლონდონის ეკონომიკის სკოლის ხარისხს და ასევე აქვს სხვადასხვა სექტორის კომპანიების მენეჯმენტის და ინვესტირების ფართო გამოცდილება. კის იანგი ხანგრძლივი დროის მანძილზე გახლავთ ელექტრონული გადახდების სფეროში საქართველოში ოპერირებადი წამყვანი სააქციო საზოგადოების „Mobile Finance Eurasia“-ს ინვესტორი.



**მიშაელ ბლოქსი
ალტერნატიული წვერი**

მიშაელი მოღვაწეობს Incofin IM-ის გლობალური კერძო კაპიტალის ოპერაციების მიმართულებით 2018 წლიდან, Incofin Antwerp ოფისიდან. ის არის Incofin IM AIFM კაპიტალის საინვესტიციო კომიტეტის წევრი. მიშაელს აქვს 16 წელზე მეტი ხნის გამოცდილება კერძო კაპიტალში, სტრატეგიის კონსულტაციისა და სამომხმარებლო ინდუსტრიაში. იგი მუშაობდა Procter & Gamble- თან, როგორც ფინანსური ანალიტიკოსი 2 წლის განმავლობაში. მიშაელი იყო BCG - Boston საკონსულტაციო ჯგუფის კონსულტანტი 4 წლის განმავლობაში. შემდგომ, მიშაელი მოღვაწეობდა ინვესტიციების მენეჯერად 4 წლის განმავლობაში Delta Partners Capital- ში. Incofin-ში შესვლამდე, 3 წლის განმავლობაში, ის გახლდათ პროექტის მენეჯერი სტრატეგიის კონსულტანტთან როლანდ ბერგერთან. მიშაელი ფლობს მაგისტრის ხარისხს ელექტრო ინჟინერიაში და ბაკალავრის ხარისხს ეკონომიკაში (KU Leuven, ბელგია). მას ასევე მოპოვებული აქვს CFA 1 დონე.



**სუმა სვამინათანი
ალტერნატიული წვერი**

სუმა სვამინათანი - DWM-ის კერძო ინვესტიციების ვიცე პრეზიდენტი. სუმა სვამინათანი 2020 წლიდან არის კრისტალის სამეთვალყურეო საბჭოს ალტერნატიული წევრი და აქციონერის წარმომადგენელი DWM-ის მხრიდან. DWM- ში მუშაობის დაწყებამდე, სუმა მუშაობდა კონსულტანტად ნიუ იორკის ბუტიკების საკონსულტაციო კომპანიაში Empire Valuation Consultant. მას აქვს საჯარო და კერძო კომპანიების კაპიტალის, სესხის და რთული აქტივების / ფასიანი ქაღალდების შეფასების მართვის გამოცდილება პოტენციური ინვესტიციების, ფინანსური ანგარიშგების და კორპორატიული დაგეგმვის მიზნებისათვის. ის ასევე მუშაობდა ტექნოლოგიად Capital One Auto Finance-ში, Infosys Technologies- ის მხრიდან. სუმა ფლობს MBA ხარისხს NYU’s Stern ბიზნეს სკოლიდან, სადაც ინდოეთის ქსოვის ინდუსტრიაში ხელით ქსოვის კოოპერატიული საზოგადოებების მიმართულებით აქტივობიდან გამომდინარე, გახდა ფაკულტეტის სტიპენდიანტი სოციალური საწარმოს მიმართულებით. სუმა ფლობს ელექტრო ინჟინერიის ბაკალავრის ხარისხს ოსმანიის უნივერსიტეტიდან (ჰიდერაბადი, ინდოეთი).

მხარეთაშორისი ანგარიში

მმართველი გუნდი



ილია რეზია
უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი

უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი. იგი გახლავთ წარმატებული პროექტების მენეჯერი და IT მენეჯმენტის სპეციალისტი, შთამბეჭდავი გამოცდილებით მენეჯმენტში, IT მენეჯმენტსა და საბანკო სექტორში. მან დაიწყო თავისი კარიერა როგორც ვებ დეველოპერმა, 2007-2009 წლებში მოღვაწეობდა IT პროექტის მენეჯმენტის მიმართულებით აშშ-ის იურიდიულ ფირმაში, ხოლო 2009 წელს DPK კონსალტინგში. ილია რეზია საქართველოს ბანკს შეუერთდა 2009 წელს, სადაც 2014 წელს დაინიშნა უფროსი ინფორმაციის ოფიცრის მოადგილედ და სათავეში ედგა კომპანიის არაერთ კომპლექსურ პროექტს, მათ შორის პრივატიზაცია ჯორჯიას შექმენისა და სწრაფი ტრანსფორმაციის ინიციატივას. 2019 წლის ივნისიდან, ილია რეზია დაინიშნა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის უფროს აღმასრულებელ ოფიცრად. 2011 წლიდან დღემდე ის გახლავთ პროექტის მენეჯერის კონსულტანტი არაერთ საჯარო და კერძო ორგანიზაციაში, ხოლო 2019 წლამდე იყო პროექტის მენეჯმენტისა და ინფორმაციული სისტემების მენეჯმენტის ლექტორი თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში. ილია არის სერტიფიცირებული პროფესიონალი პროექტის მენეჯმენტში (PMP), ფლობს ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხს პროექტების მენეჯმენტში და შვედეთის J nk ping უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხს IT და ბიზნეს ინოვაციებში. მას ასევე მიღებული აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხი მათემატიკაში.



დავით ბენდელიანი
უფროსი ფინანსური ოფიცერი

უფროსი ფინანსური ოფიცერი, 2004 წლის აგვისტოდან 2011 წლამდე ეკავა ფონდ „კრისტალის“ ფინანსური მენეჯერის თანამდებობა. 1997 წლის აპრილიდან 2004 წლის ივლისამდე მუშაობდა ფინანსურ მენეჯერად საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ცენტრ „აფხაზეთში“. იგი სწავლობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, მიღებული აქვს სერტიფიკატი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სახაზინო მართვაში, სტრატეგიულ დაგეგმარებასა და ცვლილებების მართვაში, მიკროსაფინანსო პროდუქტის განვითარებაში, რისკების მართვის მეთოდოლოგიაში, შიდა აუდიტის განვითარებაში, ადამიანური რესურსების მართვასა და სტრატეგიული დაგეგმვის პროგრამაში.



მელანია კუჭუხიძე
უფროსი ბიზნეს ოფიცერი

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის უფროსი ბიზნეს ოფიცერი. იგი გახლავთ შემდგარი უფროსი აღმასრულებელი და მენეჯმენტის ექსპერტი, ფინანსურ სექტორში 14 წლიანი მენეჯერული გამოცდილებით. 2006-2010 წლებში მუშაობდა ვითიბი ბანკის საქართველოს საცალო და მცირე ბიზნესის განვითარების უფროსად. მელანია 2010-2015 წლებში გახლდათ ბანკი კონსტანტას ქსელის მართვის დეპარტამენტის უფროსი, რის შემდგომაც, 2016 წლამდე მუშაობდა თიბისი ბანკში, მიკრო ბიზნესის მართვის გუნდში. 2018 წელს მელანია შეუერთდა კრისტალს ქსელის მენეჯმენტის უფროსის პოზიციაზე, მანამდე, 2 წლის განმავლობაში გახლდათ მწვანე ლისის ურბანული განვითარების პროექტის კომერციული დირექტორი. 2019 წელს მელანია დაინიშნა კრისტალის უფროსი ბიზნეს ოფიცრის მოადგილედ, ხოლო 2020 წლის მაისიდან გახლავთ უფროსი ბიზნესის ოფიცერი. მელანია არის ვითიბი ბანკის კორპორატიული უნივერსიტეტის მაგისტრანტი მენეჯმენტში. მას მიღებული აქვს ბაკალავრის ხარისხი საქართველოს სუბტროპიკული ბიზნესის უნივერსიტეტში ეკონომიკასა და მენეჯმენტში.



მანუჩარ ჩიტაიშვილი
ინოვაციების უფროსი ოფიცერი

ინოვაციების უფროსი ოფიცერი, 2005 წელს იყო ქუთაისის თვითმმართველობის დეპარტამენტის უფროსი. 2001 წლიდან მუშაობდა სხვადასხვა პოზიციაზე კერძო და სახელმწიფო სექტორებში. კრისტალს 2006 წელს შეუერთდა. მას დამთავრებული აქვს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, არის საჯარო ადმინისტრირების მაგისტრი, მიღებული აქვს ქუთაისის ა. წერეთლის უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრის ხარისხი. გავლილი აქვს სასწავლო კურსი სტრასბურგში, ევროპის საბჭოში.



ბექა ციციშვილი
უფროსი საინფორმაციო ოფიცერი

უფროსი საინფორმაციო ოფიცერი 2018 წლიდან, იყო „აჭარა გრუპის“ უფროსი საინფორმაციო ოფიცერი, მუშაობდა შპს „ავიატორისა“ და ბანკ რესპუბლიკაში საინფორმაციო სფეროს ხელმძღვანელ თანამდებობებზე, არის შპს „ნექსტ სტეპის“ თანადაამფუძნებელი. მას მიღებული აქვს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი ბიზნესისა და კავკასიის ბიზნესის სკოლის გრენობლის ბიზნესის სკოლაში, კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრის ხარისხი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

მმართველობითი ანგარიში



კომიტეტის ანგარიშები

კრისტალის სამეთვალყურეო საბჭოს მმართველობის სფეროში კომიტეტი ფუნქციონირებს. კომიტეტი არ იღებს გადაწყვეტილებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიმდინარე კრედიტორები აქტივებისა და პასუხისმგებლობების კომიტეტს გადასცემენ და გარკვეულ უფლებამოსილებას აკისრებენ. კომიტეტი პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციებით უზრუნველყოფისათვის.

ადამიანური რესურსების, კომპენსაციისა და ანაზღაურების კომიტეტი

ადამიანური რესურსების, კომპენსაციისა და ანაზღაურების კომიტეტი პასუხისმგებელია საკადრო სტრატეგიების კონტროლის, საქმიანობის შეფასებისა და ანაზღაურებისათვის, გარდა ამისა, მისი ფუნქციაა უფროსი ოფიცრებისა და საბჭოს წევრების

კანდიდატურების წამოყენება. კანდიდატების დასახელება ეფუძნება საბჭოს შეფასების დროს განსაზღვრულ საბჭოს პროფესიულ საჭიროებებს. თავმჯდომარე შეარჩევს კანდიდატურებს საბჭოს სხვა წევრებს შორის ან ღია კონკურსის მეშვეობით; მანამდე საბჭომ უნდა განსაზღვროს შერჩევის კრიტერიუმები და კანდიდატები შეაფასოს ამ კრიტერიუმების მიხედვით. ადამიანური რესურსების, კომპენსაციისა და ანაზღაურების კომიტეტი კვლევისა და გასაუბრებ(ებ) ის საფუძველზე სთავაზობს აქციონერებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის კანდიდატურას. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დასახელების შემდეგ, აქციონერთა კრება უფლებამოსილია დანიშნოს საბჭოს ახალი წევრი, რომლის უფლებამოსილების მაქსიმალური ვადაც განისაზღვრება წესდებით და აქციონერთა შეთანხმების საფუძველზე.

აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი (ALCO)

აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი იკრიბება ყოველთვიურად თავმჯდომარის (ALCO-ს თავმჯდომარე), ინვესტორების წარმომადგენლების, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, უფროსი აღმასრულებელი ოფიცრის (CEO), უფროსი ფინანსური ოფიცრისა (CFO) და უფროსი ოპერაციული ოფიცრის (COO) შემადგენლობით.

აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტის მიზანია კრისტალში აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ზედამხედველობა, რაც მოიცავს: ბალანსისა და მოგება-ზარალის მონიტორინგს, ფულადი სახსრების მოძრაობისა და ლიკვიდურობის დაგეგმვას, დაფინანსების წყაროებს, საპროცენტო განაკვეთებს შორის შეუსაბამობის აღმოჩენას, საპროცენტო, სავალუტო,

კაპიტალის ადეკვატურობისა და ლიკვიდურობის რისკების ანალიზსა და მართვას. სამეთვალყურეო საბჭო ასევე განიხილავს ALCO-სთან დაკავშირებულ ისეთ ანგარიშებს, როგორებიცაა: მაკროეკონომიკური ინდიკატორები, საბაზრო წილის ანალიზი და ანგარიში ბიზნესგეგმის განხორციელების შესახებ.

ALCO-ს ამჟამინდელი პოლიტიკა ასახულია ინდიკატორთა ჩამონათვალში. იგი არის წლიური ბიუჯეტის ნაწილი და მას, საჭიროების შემთხვევაში, განიხილავს სამეთვალყურეო საბჭო.

რისკების კომიტეტი

რისკების კომიტეტის მიზანია რისკების ერთობლიობის მეთვალყურეობა, გარდა იმ რისკებისა, რომლებსაც ALCO მოიცავს. კომიტეტის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული საკრედიტო და საოპერაციო რისკების შესწავლა, სამეთვალყურეო საბჭოს ინფორმირება კომპანიის წინაშე არსებული სტრატეგიული რისკების შესახებ და რეკომენდაციების გაწევა იმ სისტემებსა და პროცესებთან დაკავშირებით, რომლებიც უნდა იქნეს ინტეგრირებული ან საჭიროებს გაუმჯობესებას რისკების მართვისა და შემცირების უზრუნველსაყოფად.

კომიტეტი არის სათათბირო ორგანო. იგი არ იღებს გადაწყვეტილებებს, მაგრამ გასცემს რისკებთან დაკავშირებული იმ საკითხების განხილვისა და გამოვლენის

უფლებას, რომლების თაობაზეც გადაწყვეტილება უნდა მიიღონ მმართველმა საბჭომ და მთავარმა ოფიცრებმა. გარდა ამისა, სამეთვალყურეო საბჭოს რისკების კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს დამატებითი ნამეტისა და პასუხისმგებლობების შესახებ, რომლებიც აუცილებელია „კრისტალის“ მიერ სტრატეგიული რისკების სამართავად და შესამცირებლად.

სტრატეგიისა და ინოვაციების კომიტეტი

კომიტეტის მიზანია უზრუნველყოს „კრისტალის“ მიერ სტრატეგიის განხორციელება; კომიტეტი შესაძლებლობას აძლევს მენეჯმენტსა და სამეთვალყურეო საბჭოს ფოკუსირება მოახდინოს საქმიანობის სტრატეგიულ ანალიზსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

კომიტეტი უზრუნველყოფს კომპანიის სტრატეგიის განხორციელების ზედამხედველობას. კომიტეტის მოქმედების სფერო ასევე მოიცავს ინოვაციური პროექტების ზედამხედველობასა და მონაცემთა ტრანსფორმაციის სტრატეგიის განხორციელებას.

სოციალური საკითხების კომიტეტი

კომიტეტის მიზანია კომპანიის გარემოსდაცვითი და სოციალური მიზნების განსაზღვრა და მათი განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესის ზედამხედველობა.

კომიტეტის ამოცანაა კომპანიის კორპორაციული გარემოსდაცვითი, სოციალური პასუხისმგებლობის, მომხმარებელთა დაცვისა და საპასუხისმგებლო დაფინანსების პრინციპებისა და საქმიანობის განსაზღვრა და ასევე მათი განხორციელების მონიტორინგი.

კომიტეტი შესაძლებლობას აძლევს მენეჯმენტსა და სამეთვალყურეო საბჭოს ფოკუსირება მოახდინონ გარემოსდაცვით და სოციალურ ასპექტებზე და გაზარდონ თავიანთი ძალისხმევა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით.

შიდა აუდიტის კომიტეტი

შიდა აუდიტის კომიტეტს ქმნის სამეთვალყურეო საბჭო. შიდა აუდიტის კომიტეტის ძირითადი ფუნქციაა შიდა აუდიტისა და გარე აუდიტორების მუშაობის ხელშეწყობა და მათთვის დახმარების გაწევა.

შიდა აუდიტის კომიტეტის მიზანია „კრისტალში“ შიდა აუდიტისა და ფინანსური ანგარიშგების პროცესის წარმართვა, შიდა კონტროლის სისტემის მონიტორინგი და მმართველობითი საბჭოს მუშაობის კანონმდებლობასა და რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. ეს საშუალებას აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს მიიღოს სანდო ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც უფრო ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება იქნება შესაძლებელი.

კრისტალი

ფინანსური ჩართულობის
ორგანიზაცია





ფინანსური
ანგარიში

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
2019 წლის 31 დეკემბრით

დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის (შემდგომში “კომპანია”) და მისი შვილობილის - შპს კრისტალ კონსალტინგის (შემდგომში “ჯგუფი”) ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესაძარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადი სანარმოს პრინციპის საფუძველზე საქმიანობის უნარის შეფასებაზე;
- მმართველობის ანგარიშში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ინფორმაციის ასახვაზე;
- მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრაში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ჯგუფის დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2020 წლის 10 ივლისს.

დირექტორთა საბჭოს სახელით:



ილია რევია
აღმასრულებელი დირექტორი
2020 წლის 10 ივლისი
თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს:

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, სრული კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების, კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებებისა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშებს, ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი კონსოლიდირებული საქმიანობის შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით ჯგუფისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

აუდიტის ძირითადი საკითხი

აუდიტის ძირითადი საკითხი არის ის საკითხი, რომელიც, ჩვენი პროფესიული განსჯით, მიმდინარე წლის კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტის ჩატარების პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. ეს საკითხები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის კონტექსტში ერთიანად იყო განხილული და მასზე არ გამოვთქვამთ ცალკეულ მოსაზრებას.

რატომ იყო საკითხი ძირითად საკითხად განსაზღვრული

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი კლიენტებზე გაცემულ სესხებზე

ერთნაირი რისკის მახასიათებლების მქონე კლიენტებისთვის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდისა და დეფოლტის რისკის შეფასება, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის განსაზღვრა კოლექტიურად ხდება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (მსზ) განსაზღვრა გულისხმობს მოდელის გამოყენებას, რომელიც ეფუძნება ისტორიულ მონაცემებს, გარე და შიდა წყაროებზე დაყრდნობით მომზადებულ გონივრულ სამომავლო პროგნოზებს და გულისხმობს, კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სუბიექტური და კომპლექსური შეფასების გამოყენებას.

შეფასების ძირითადი არეალი უკავშირდება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდისა და დეფოლტის შემთხვევის ამოცნობას. ასევე, სესხების განაწილებას გაუფასურების შესაფერის ეტაპზე.

კერძოდ, ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ შემდეგზე:

- ძირითადი დაშვებები და მნიშვნელოვანი წყაროები, რომლებიც გამოიყენება სესხებისთვის მსზ-ს დადგენისა და რისკების შეფასების შესაბამისი სისტემისთვის, აგრეთვე, მოდელის მთლიანობისთვის და გამოთვლების შესასრულებლად.
- საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდისა და დეფოლტის შემთხვევის დროულად იდენტიფიცირება რაოდენობრივი და თვისობრივი ფაქტორების გათვალისწინებით;
- ძირითადი დაშვებები და მნიშვნელოვანი წყაროები, რომლებიც გამოიყენება დეფოლტის შემთხვევაში ზარალის დადგენისთვის (მე-3 ეტაპის სესხები).

მეთოდოლოგიის სირთულის, მოდელში გამოყენებული დაშვებების სუბიექტურობისა და კლიენტებზე გაცემული სესხების მნიშვნელობის გამო საკითხი მიჩნეულია, როგორც აუდიტის ძირითადი საკითხი.

დაშვებებისა და შეფასებების დეტალები განხილულია მე-3 შენიშვნაში.

როგორ გადავჭერთ აუდიტის ძირითადი საკითხები

ჩვენ განვაახლეთ ჩვენი ცოდნა ჯგუფის მიერ დანერგილი პროცესისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებასთან დაკავშირებული კონტროლების შესახებ, დეფოლტის რისკისა და საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდისა და დეფოლტის რისკების დროულად მიდენტიფიცირებადი კონტროლების გათვალისწინებით.

ჩვენ მიერ ჩატარებული პროცედურები მიზნად ისახავდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდოლოგიის, მასში გამოყენებული ინფორმაციისა და დაშვებების შეფასებას:

- ჩვენი საკრედიტო რისკისა და აქტუარიული ექსპერტების დახმარებით შევადგინეთ 2019 წლის განმავლობაში მეთოდოლოგიაში განხორციელებული ცვლილებები, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და ბაზარზე მიღებული პრაქტიკის გათვალისწინებით. ჩვენ გავაანალიზეთ იმ ინფორმაციის პოტენციური ზეგავლენა საკრედიტო რისკის ზრდასა და მსზ-ს გაზომვაზე, რაც შესაძლოა არ ყოფილიყო ასახული ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული მოდელში.
- ჩვენ გავაანალიზეთ მნიშვნელოვანი დაშვებები, რომლებიც გამოყენებული იყო დეფოლტის ალბათობისა და გადეფოლტებული სესხებიდან მოსალოდნელი აღდგენების კალკულაციებში. ასევე, გავაანალიზეთ, რამდენად შეესაბამებოდა დაშვებები ინდუსტრიაში მიღებულ პრაქტიკას, რამდენად ასახავდა ჯგუფის ძველ გამოცდილებას და ხელმისაწვდომ და შესაბამის პროგნოზებს;
- რისკების მიხედვით შერჩეული ნიმუშების საფუძველზე ჩვენ შევადგინეთ ხელმძღვანელობის დაშვებების მართებულობა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდისა და დეფოლტის რისკის განსაზღვრისას.
- რისკების მიხედვით შერჩეული ნიმუშების საფუძველზე, ჩვენ შევამოწმეთ მნიშვნელოვანი წყაროები (ვადაგადავიღეთ, მთლიანი მისაღები თანხა დეფოლტის დროს, გადეფოლტებული სესხების აღდგენა, საპროგნოზო ინფორმაცია).
- ჩვენ, ასევე, შევამოწმეთ იმ საკრედიტო მოდელის მთლიანობა, რომელიც გამოიყენება მსზ-ს კალკულაციისთვის. ამისთვის, მოვახდინეთ შერჩევითი რეკალკულაცია და შედეგების შედარება.
- ჩვენ შევამოწმეთ მსზ-ს განმარტებითი შენიშვნების სისრულე და სისწორე.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხელმძღვანელობას. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობით ანგარიშს, რომელიც მომზადებულია საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ კანონის მიხედვით.

ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის ღონისძიებებთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს სხვა ინფორმაციის გაცნობას და ამ პროცესში იმის დადგენას, არის თუ არა სხვა ინფორმაცია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის პროცესში მოპოვებული ინფორმაციის არსებითად შეუსაბამო ან სხვაგვარად არსებითად მცდარი. თუ, ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, დავასკვნით, რომ ამ სხვა ინფორმაციასთან არსებითი სახის შეუსაბამობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, განვაცხადოთ ამ ფაქტის შესახებ. ჩვენ ამის შესახებ არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს ჯგუფის უნარი, განაგრძოს უწყვეტი სანარმოს პრინციპით საქმიანობა. აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი სანარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ან მისი შვილობილების ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

მართვასა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებულნი არიან, ზედამხედველობა გაუწიონ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძველიანი რწმენა, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გაცვეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი მოსაზრების გამომხატველი იქნება. საფუძველიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადანწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ იდენტიფიცირებას ვუკეთებთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერ შემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერ შემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარ განზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;

ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;

- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი სანარმოს პრინციპის საფუძველზე წარმოების შესაფერისობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ მოსაზრებას, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი, უწყვეტად გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი არასარწმუნოება არსებობს, ჩვენ ვაღიარებთ ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება ჯგუფი აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი სანარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, შესაბამისი ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე, აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

ჩვენ, აგრეთვე, ვატყობინებთ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს რომ ჩვენ ვიცავდით შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობის შესახებ, და მათთან ვახდენდით ყველა იმ ურთიერთობისა და საკითხის კომუნიკაციას, რომელსაც შეიძლებოდა გონივრული გავლენა მოეხდინა ჩვენს დამოუკიდებლობაზე და, სადაც ეს შესაძლებელი იყო, წარვუდგენდით შესაბამის გარანტიებს.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის მიწოდებული საკითხებიდან, ჩვენ გამოვყავით მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომლებიც წარმოდგენილია აუდიტის ძირითად საკითხში. ჩვენ აღვწერთ ამ საკითხს ჩვენს აუდიტორულ ანგარიშში, თუ კანონი ან დებულება ხელს არ უშლის საჯარო ინფორმაციის გამჟღავნებას ამ საკითხის შესახებ, ან როდესაც, ძალზე იშვიათ შემთხვევებში, ჩვენ ვადგენთ, რომ საკითხი არ უნდა იყოს მოხსენიებული ჩვენს ანგარიშში, რადგან ამის შედეგად მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები აღემატება საზოგადოებრივი ინტერესის სარგებელს.

სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე, რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ; ასევე ისეთი შიდა კონტროლების დანერგვაზე, რომელთაც ხელმძღვანელობა ჩათვლის საჭიროდ იმისათვის, რომ მოამზადოს მმართველობითი ანგარიშგება არსებითი ცდომილებების, თაღლითობისა და ხარვეზების გარეშე.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის დასადგენად, რომ მმართველობითი ანგარიში მომზადებულია საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის შესაბამისად და მოიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რასაც მოითხოვს საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

ჩვენ ჩვენი შეხედულებისამებრ შევარჩიეთ და ჩავატარეთ პროცედურები, რომლებიც მოიცავს, არა მხოლოდ გამოკითხვას, ასევე, დოკუმენტაციის ანალიზსა და განხილვას; კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიისა და ანგარიშში მოყვანილი ინფორმაციის შედარებას, საქართველოს კანონის მოთხოვნებთან ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ; ასევე, რიცხვითი და სხვა მონაცემების გადათვლას, შედარებასა და გადამოწმებას.

ჩვენი აზრით:

- 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება საქართველოს კანონის მოთხოვნებს, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ;
- 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობითი ანგარიშგება შეიცავს საქართველოს კანონის მიხედვით მოთხოვნილ ინფორმაციას, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ;
- 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მომზადებულ მმართველობით ანგარიშგებაში მოყვანილი ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შეესაბამება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებებს.

სტუარტ ლეიტონი

შპს დელოიტი და ტუშის სახელით

10 ივლისი, 2020

თბილისი, საქართველო

	შენიშვნები	2019	2018
საპროცენტო შემოსავალი	5	73,997	72,743
საპროცენტო ხარჯი	5	(22,634)	(20,220)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების ზარალის განცდამდე პროცენტიან აქტივებზე		51,363	52,523
გაუფასურების ზარალი პროცენტიან აქტივებზე	12	(8,680)	(8,544)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		42,683	43,979
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო	6	1,319	2,452
წმინდა შემოსულობა ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე სამართლიანი ღირებულებით შემოსულობაში/(ზარალში) ასახვით	11	2,133	(1,523)
უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი წმინდა ზარალი		(6,805)	(6,205)
სხვა შემოსავალი		230	111
სხვა არასაპროცენტო ხარჯების გამოკლებით		(3,123)	(5,165)
საოპერაციო შემოსავალი		39,560	38,814
თანამშრომლებზე განეული ხარჯი	7	(21,808)	(17,870)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	13,14,15	(4,651)	(2,405)
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(12,459)	(11,360)
მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე		642	7,179
მოგების გადასახადის ხარჯი	9	(966)	(1,746)
წლის წმინდა მოგება		(324)	5,433
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		(324)	5,433

დირექტორთა საბჭოს სახელით:




ილია რევია
აღმასრულებელი დირექტორი

2020 წლის 10 ივლისი
თბილისი, საქართველო

73-163 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შენიშვნები	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	20,106	13,953
მოგებასა და ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	11	-	442
კლიენტებზე გაცემული სესხები	12	297,211	264,608
ძირითადი საშუალებები	13	5,602	7,699
გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები	14	3,577	-
არამატერიალური აქტივები	15	2,564	1,552
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი		469	-
გადავადებული საგადასახადო აქტივები	9	3,411	2,500
სხვა აქტივები	16	4,155	4,293
სულ აქტივები		337,095	295,047
ვალდებულებები			
მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები	11	4,292	1,659
ნასესხები სახსრები	17	253,983	230,917
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	18	12,667	9,945
საიჯარო ვალდებულება	14	3,914	-
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები		-	104
გადასახდელი დივიდენდები	20	767	-
სხვა ვალდებულებები	19	1,610	1,435
სულ ვალდებულებები		277,233	244,060
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	20	3,635	3,061
დამატებითი შენატანები კაპიტალში	20	22,110	12,718
წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის რეზერვი	20	-	-
გაუნაწილებელი მოგება		34,117	35,208
სულ კაპიტალი		59,862	50,987
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		337,095	295,047

დირექტორთა საბჭოს სახელით:



ილია რეზია
 აღმასრულებელი დირექტორი
 2020 წლის 10 ივლისი
 თბილისი, საქართველო

73-163 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შენიშვნები	საწესდებო კაპიტალი	დამატებითი შენატანები კაპიტალში	წილობრივი ინსტრუმენ- ტებით გადახდის რეზერვი	გაუნაწი- ლებელი მოგება	სულ
2018 წლის 1 იანვარი	3,052	12,551	68	30,645	46,316
წლის სრული შემოსავალი	-	-	-	5,433	5,433
გამოცხადებული დივიდენდები	20	-	-	(870)	(870)
აქციების საფუძველზე გადახდების დანარიცხი	20	-	108	-	108
საწესდებო კაპიტალის გაზრდა, რომელიც წარმოიშობა აქციებზე დაფუძნებული გადახდებიდან	20	9	167	(176)	-
2018 წლის 31 დეკემბერი	3,061	12,718	-	35,208	50,987
წლის სრული შემოსავალი	-	-	-	(324)	(324)
პრივილეგირებული აქციების გამოშვება	20	574	9,392	-	9,966
გამოცხადებული დივიდენდები	20	-	-	(767)	(767)
2019 წლის 31 დეკემბერი	3,635	22,110	-	34,117	59,862

დირექტორთა საბჭოს სახელით:



ილია რეზია
აღმასრულებელი დირექტორი
2020 წლის 10 ივლისი
თბილისი, საქართველო


73-163 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

	შენიშვნები	2019	2018
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე		642	7,179
კორექტირებები:			
წმინდა (შემოსულობა)/ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით		(2,133)	1,523
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	13,14,15	4,651	2,405
საპროცენტო შემოსავალი	5	(73,997)	(72,743)
საპროცენტო ხარჯები	5	22,634	20,220
გაუფასურების ზარალი პროცენტიან აქტივებზე	12	8,680	8,544
უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი წმინდა ზარალი		6,805	6,205
ძირითადი საშუალებების გასხვისებასთან დაკავშირებული ზარალი		146	27
ნილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული ნილობრივი გადახდები	20	-	108
ფულადი სახსრების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან, საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		(32,572)	(26,532)
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:			
წმინდა ზრდა ფინანსურ ვალდებულებებში/ წმინდა კლება ფინანსურ აქტივებში, სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით		5,208	688
კლიენტებზე გაცემული სესხების ზრდა		(39,809)	(71,549)
კლება/(ზრდა) სხვა აქტივებში		159	(682)
(შემცირება)/ზრდა სხვა ვალდებულებებში		(70)	50
წმინდა ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში		(34,512)	(71,493)
მიღებული პროცენტი		73,045	69,187
გადახდილი პროცენტი		(22,157)	20,074
გადახდილი მოგების გადასახადი		(2,450)	(2,485)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(18,646)	(51,397)

ფინანსური ანგარიში

	შენიშვნები	2019	2018
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	13	(1,374)	(4,476)
არამატერიალური აქტივების შეძენა	15	(1,434)	(597)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		58	24
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(2,750)	(5,049)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ნასესხები სახსრებიდან შემოსული თანხები	17	95,883	130,757
ნასესხები სახსრების დაფარვა	17	(81,106)	(74,175)
ამონაგები სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვებიდან	18	12,500	-
სავალო ფასიანი ქაღალდების დაფარვა	18	(9,964)	-
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	14	(871)	-
აქციების გამოშვებით მიღებული შემოსავალი	20	9,966	-
გადახდილი დივიდენდები	20	-	(870)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		26,408	55,712
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა / (შემცირება)		5,012	(734)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი სახსრების ნაშთზე		1,141	367
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისის მდგომარეობით	10	13,953	14,320
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასასრულის მდგომარეობით	10	20,106	13,953

დირექტორთა საბჭოს სახელით:



ილია რევია
 აღმასრულებელი დირექტორი
 2020 წლის XX ივლისი
 თბილისი, საქართველო

73-163 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ორგანიზაცია

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი“ (შემდგომში „კომპანია“) 2007 წლის 23 აგვისტოს დაფუძნდა „კრისტალის ფონდის“ (საბჭოს გადაწყვეტილება №20, 2007 წლის 21 აგვისტო) გადაწყვეტილების საფუძველზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის (თარიღი: 2006 წლის 16 ივლისი) შესაბამისად.

2018 წლის 26 იანვარს კომპანიამ დააფუძნა შვილობილი კომპანია - შპს „Crystal Consulting“. შვილობილი კომპანია თანდათანობით იწყებს ფუნქციონირებას და მისი მთავარი საქმიანობა იქნება საკონსულტაციო მომსახურებები, საორგანიზაციო განვითარება, ხელმძღვანელობა, ტექნიკური და ტექნოლოგიური კონსულტაცია და მომსახურება მიკრო და მცირე მენარმეებისთვის.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის“ და შპს „Crystal Consulting“-ის („ჯგუფი“) იურიდიული მისამართია: ნიკეას ქ. №22, ქუთაისი, საქართველო.

ჯგუფის მართვის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება.

ჯგუფის ოპერაციების ზედამხედველობას სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს, რომლის წევრებსაც დანიშნავს აქციონერთა საერთო კრება. ჯგუფის ყოველდღიურ მართვას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული ხელმძღვანელთა გუნდი.

ჯგუფის მიზანია საქართველოში მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესების მხარდაჭერა და განვითარება, კლიენტების სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, მათთვის მისაღები ფინანსური მომსახურების შეთავაზების გზით.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა მიკრო სესხების გაცემა. ჯგუფის ფინანსური პროდუქტები მოიცავს შემდეგს: ინდივიდუალური ბიზნეს სესხები, სასოფლო-სამეურნეო სესხები, სამომხმარებლო სესხები, სალომბარდო სესხები, სესხები უძრავი ქონების შეძენისთვის და მცირე და საშუალო მენარმეებისთვის.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს მთელი საქართველოს მასშტაბით ორმოცდარვა ფილიალი (2018 წელთან შედარებით: ორმოცი ფილიალი და ოცდამეორე სერვის-ცენტრი (ე.წ. „ბუტიკები“)) და სათაო ოფისი აქვს თბილისსა და ქუთაისში.

2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს შემდეგი აქციონერები ფლობდნენ:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
პირველი დონის აქციონერები/გამოშვებული სააქციო კაპიტალის მფლობელები:		
ფონდი კრისტალი	46.53%	47.37%
AGRIF COÖPERATIEF U.A.	37.12%	37.12%
DWM Funds S.C.A-SICAV SIF	12.37%	12.37%
ჯგუფის ხელმძღვანელობა	3.14%	3.14%
ქეთი იანგი	0.84%	0.00%
სულ	100%	100%

2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მთავარი აქციონერია „ფონდი კრისტალი“ 46,53% და 47,52%-იანი წილით (შესაბამისად).

„ფონდი კრისტალი“ საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ არსებული არაკომერციული კორპორაციაა და როგორც ასეთი მის წევრებს არ აქვთ ფონდში საკუთრება და რაიმე სახის ეკონომიკური უფლება. 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფონდის წევრები და საბოლოო მაკონტროლებელი მხარეებია: არჩილ ბაკურაძე, პაატა წონონავა, ალუ გამახარია, ფრედერიკ რიგნოლდ ჰაიდ-ჩემბერსი და ქეთი იანგი. წევრებს „ფონდ კრისტალში“ თანაბარი ხმის უფლება აქვთ.

ფინანსური ანგარიში

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

შესაბამისობა - წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფასიკ“) მიერ გამოშვებული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

კონსოლიდაციის საფუძველი - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული სამეურნეო ერთეულების (შვილობილი კომპანიების) ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც: ა) კომპანიას აქვს ძალაუფლება მის ინვესტირების ობიექტებზე; ბ) კომპანია იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და გ) კომპანიას შეუძლია ისარგებლოს ამ ძალაუფლებით მის უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

ჯგუფი ხელახლა შეაფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებები მომხდარი. როდესაც ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. ჯგუფი ყველა შესაბამის ფაქტს და ვითარებას ითვალისწინებს იმის შეფასებაში ჯგუფის ხმის უფლებები ინვესტირების ობიექტში შესაბამისად თუ არა მისთვის უფლებამოსილების გადაცემას, მათ შორის: ჯგუფის მიერ ფლობილი ხმის უფლებების ზომას, სხვა ხმის მფლობელების საკუთრების წილის ზომასთან და განაწილებასთან მიმართებაში; ჯგუფის, სხვა ხმის უფლების მფლობელების და სხვა მხარეთა მიერ ფლობილ პოტენციურ ხმის უფლებას; უფლებებს, რომლებიც სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმოიშობა და ნებისმიერ დამატებით ფაქტს და ვითარებას, რომლებიც იმაზე მეტყველებენ, რომ ჯგუფს შესწევს ან არ შესწევს უნარი შესაბამისი საქმიანობები განახორციელოს ისეთ დროს, როდესაც საჭიროა გადაწყვეტილებების მიღება, მათ შორის ხმის მიცემის შაბლონები, აქციონერთა წინა კრებაზე.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შექმნილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება. მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებს და არასაკონტროლო პაკეტს. შვილობილი კომპანიების მთლიანი სრული შემოსავალი უკავშირდება კომპანიის მფლობელებს და არასაკონტროლო პაკეტებს, მაშინაც კი, თუ ეს გამოიწვევს არასაკონტროლო პაკეტების ნაშთის დეფიციტს. საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა ჯგუფის შიდა აქტივი და ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

ფუნქციონირებადი საწარმო - წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ დაშვებით, რომ ჯგუფი წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და განაგრძობს ფუნქციონირებას განჭვრეტად მომავალში. ამ დაშვების გაკეთებისას მიღებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, მიზნები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმდინარე ვალდებულებები მიმდინარე აქტივებს 84,888 ათასი ლარით აღემატებოდა. 2019-2018 წლებში ჯგუფის წმინდა ზარალი 324 ლარს, ხოლო წმინდა მოგება 5,433 ლარს შეადგენდა, შესაბამისად.

ამასთან, კოვიდ-19-ის ეპიდემიის ეკონომიკურმა გავლენამ გამოიწვია 2020 წლის ფინანსური პროგნოზების გადახედვა და საქმიანობის უწყვეტობის გეგმის დამტკიცება. კოვიდ-19-ის გავლენის გათვალისწინებით, ჯგუფმა საშუალო საკრედიტო დიაპაზონის 25%-ით ვარდნა დაადგინა. ამასთან, კლიენტებისთვის შეთავაზებულ იქნა 3-თვიანი საშელავათო პერიოდი, რასაც ასევე უარყოფითი გავლენა ჰქონდა ჯგუფის ოპერაციებზე.

ამასთან, ანგარიშების თარიღის შემდეგ ჯგუფმა ინვესტორებისგან დამატებითი დაფინანსების სახით მიიღო დაახლოებით 60 მილიონი ლარი, რომელიც ოთხჯერ აღემატება ლიკვიდურობის მოთხოვნილ დონეს და რომელმაც შეამცირა ლიკვიდურობის რისკი კოვიდ-19-ის აფეთქების პროცესში. 2019 წელს განცდილი წმინდა ზარალის და 2020 წელს კოვიდ-19-ის გამო, ჯგუფმა დაარღვია რამდენიმე ვალდებულება ანგარიშების თარიღში ან ამ თარიღის შემდეგ. ყველა კრედიტორის მიმდინარე პროცესებში ჩართულობის უზრუნველსაყოფად, ჯგუფი ამზადებს ყოველკვირეულ ანგარიშებს კრიზისის დაწყებიდან მის პიკურ პერიოდამდე (მარტი-აპრილი) და მათ კრედიტორებთან აგზავნის გენერალური დირექტორის სახელით. ანგარიშებში აღწერილია შემდეგი: ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, სამუშაო რეჟიმი, კლიენტის ვალდებულებების გადავადება, ლიკვიდურობა, ხელისუფლების მიერ დაკისრებული შეზღუდვები და მათი გავლენა; ჯგუფი ინტენსიურ კომუნიკაციებს აწარმოებს უცხოელ კრედიტორებთან წერილობითი ნებართვების მისაღებად. ამასთან, ადგილი არ ჰქონია კრედიტორის მიერ საკრედიტო ხაზის ვადაზე ადრე გამოხმობის შემთხვევას. ამის ნაცვლად რამდენიმე კრედიტორმა სესხის გადავადების შემოთავაზება გააკეთა (Symbiotics, ResponsAbility), ხოლო სხვებმა (Blueorchard, EIB) ჯგუფს რესურსები შესთავაზა, მათ შორის ახალი საკრედიტო ხაზი 5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით „Blueorchard“-სგან, რომელიც გაგრძელდა კრიზისის დაწყების შემდეგ. დაწვრილებითი ინფორმაციისათვის იხილეთ 26-ე შენიშვნა.

ჯგუფმა შექმნა ბიზნესის უწყვეტობის გეგმა და საბჭო, რომელიც აკონტროლებს ჯგუფის ფინანსურ სიტუაციას. საბჭომ მოამზადა მომდევნო ხუთი წლის პროგნოზი, სამი სცენარის გათვალისწინებით: საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმიისტური. პროგნოზები საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული სცენარების საფუძველზე მომზადდა, საქართველოს ხელისუფლების მიერ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ გატარებული ყველა ღონისძიების გათვალისწინებით. საბაზისო პროგნოზი დაამტკიცა სამეთვალყურეო საბჭომ და ჯგუფი მას წლის ბოლომდე გამოიყენებს. ჯგუფის ხელმძღვანელობა თვლის, რომ, მიმდინარე პროგნოზების და ღონისძიებების საფუძველზე, ჯგუფს საკმარისი რესურსები აქვს განჭვრეტად მომავალში საქმიანობის გასაგრძელებლად.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით. პირვანდელი ღირებულება, როგორც წესი, ეყრდნობა საქონლის და მომსახურების სანაცვლოდ გაღებული საზღაურის სამართლიან ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის, იმისდა მიუხედავად, ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადია, თუ შეფასების სხვა მეთოდით არის განსაზღვრული. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას ჯგუფი იმ შემთხვევაში ითვალისწინებს აქტივის ან ვალდებულების თავისებურებებს, თუკი ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ ამ თავისებურებებს შეფასების თარიღისთვის აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას. წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გაცხადების მიზნებისთვის სამართლიანი ღირებულება ანალოგიურად განისაზღვრება. ამასთან, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, სამართლიანი ღირებულების შეფასება დაყოფილია 1-ლი, მე-2 და მე-3 დონეებად იმისდა მიხედვით, თუ რამდენად არის მათი სამართლიანი ღირებულების გაანგარიშებაში მონაწილე მონაცემები დაკვირვებადი და, მთლიანობაში, რამდენად მნიშვნელოვანია ეს მონაცემები მათი სამართლიანი ღირებულების გასაანგარიშებლად. აღნიშნული დონეები განმარტებულია ქვემოთ. 1-ლი დონის შემავალი ინფორმაცია წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივებისა თუ ვალდებულებების კოტირებულ ფასებს (დაუკორექტირებელი), რომლებზეც საწარმოს წვდომა აქვს შეფასების თარიღში; მე-2 დონის შემავალი ინფორმაცია არის 1-ელ დონეში შესული კოტირებული ფასებისგან განსხვავებული მონაცემები, რომლებიც ემპირიულია აქტივისა თუ ვალდებულებისთვის, პირდაპირ ან ირიბად; მე-3 დონის შემავალი ინფორმაცია არის აქტივების ან ვალდებულებების არაემპირიული მონაცემები.

ჯგუფი საქართველოშია რეგისტრირებული და მის სააღრიცხვო ჩანაწერებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აწარმოებს. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული სააღრიცხვო ჩანაწერების საფუძველზე და დაკორექტირებულია ფასს-თან შესაბამისობაში მოსაყვანად. ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მუხლების თანამიმდევრულობა მოცემულია ლიკვიდურობის ხარისხის მიხედვით. ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში (მიმდინარე) და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღიდან 12 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში (გრძელვადიანი) დავალიანების ამოღებისა და ანგარიშსწორების ოპერაციების ანალიზი წარმოდგენილია 25-ე შენიშვნაში.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა - კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები ფასდება იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, რომელშიც საქმიანობს ჯგუფი (შემდგომში „სამუშაო ვალუტა“). ჯგუფის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ლარი. თუ სხვაგვარად არ იქნება განსაზღვრული, ლარში წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე.

ურთიერთგაქვითვა - ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. შემოსავალი და ხარჯი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, რომლის შესახებაც საგანგებოდ მიეთითება ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავალი დაანგარიშდება ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დამატებით, გარდა შემდგომისა: ა) შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივები. ამ ფინანსური აქტივებისთვის, თავდაპირველი აღიარებიდან ჯგუფი ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე იყენებს კრედიტზე მორგებულ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს. ბ) ფინანსური აქტივები, რომლებიც არ არის შექნილი ან გაუფასურებული ფინანსური აქტივები, მაგრამ შემდეგ ხდებიან გაუფასურებული ფინანსური აქტივები. ამ ფინანსური აქტივებისთვის, ჯგუფი შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე იყენებს ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფინანსური აქტივებთან ან ფინანსური ვალდებულებებთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის პერიოდის განმავლობაში, ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებამდე ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებამდე. ჯარიმებიდან შემოსავალი შესულია საპროცენტო შემოსავალში, როგორც საკრედიტო რისკის ნაგულისხმები კომპენსაცია.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშებისას ჯგუფი მოსალოდნელ ფულად ნაკადებს აფასებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობის გამოყენებით, გარდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა. გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ თუ მიღებულ ყველა საკომისიოს, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგების დანახარჯების და სხვა პრემიებისა თუ დისკონტირებების განუყოფელ ნაწილს.

გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან მიღებული შემოსავლის აღიარება

ფინანსური ინსტრუმენტის გაცემის საკომისიოს გადავადდება მასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებთან ერთად და ხდება მისი აღიარება ფინანსური ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირების სახით.

თუ მოსალოდნელია, რომ სესხის გაცემის ვალდებულება შედეგად გამოიღებს კონკრეტულ საკრედიტო შეთანხმებას, სესხის გაცემის ვალდებულების საკომისიო გადავადდება მასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებთან ერთად და ხდება მისი აღიარება აღნიშნული კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირების სახით. თუ მოსალოდნელი არ არის, რომ სესხის გაცემის ვალდებულება კონკრეტულ საკრედიტო შეთანხმებას განაპირობებს, ხდება სესხის გაცემის ვალდებულების საკომისიოს აღიარება სესხის გაცემის

ვალდებულების დარჩენილი პერიოდის მოგებაში ან ზარალში. თუ სესხის გაცემის ვალდებულების ვადა სესხის გაუცემლად ამოიწურება, სესხის გაცემის ვალდებულების საკომისიო ვადის გასვლისთანავე აღირიცხება მოგებაში ან ზარალში. სესხის მომსახურების ღირებულების აღიარება ხდება შემოსავლად მომსახურების განწვევისთანავე.

ყველა დანარჩენი საზღაურის და საკომისიოს აღიარება ხდება მომსახურებების განწვევისთანავე.

ფინანსური ინსტრუმენტები

2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ჯგუფს უკვე მიღებული ჰქონდა ფასს (IFRS) 9 (ფინანსური ინსტრუმენტები), რომელიც 2014 წლის ივლისის თვეში, რომლის თავდაპირველი გამოყენების თარიღი 2016 წლის 1 იანვარია. ფასს (IFRS) 9-ის მოთხოვნები წარმოადგენს ბასს (IAS) 39-ის (ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება) მნიშვნელოვან ცვლილებას: ახალი სტანდარტი ფინანსური აქტივების აღირიცხვის და ფინანსური ვალდებულებების აღირიცხვის მნიშვნელოვანი ასპექტების ფუნდამენტალურ ცვლილებებს იწვევს.

ფასს 9 მოიცავს კლასიფიცირების სამ პრინციპულ კატეგორიას ფინანსური აქტივებისთვის: ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფასს (IFRS) 9-ის კლასიფიკაცია ზოგადად იმ ბიზნეს მოდელს ეფუძნება, რომელშიც ხდება ფინანსური აქტივის მართვა. ეს კლასიფიკაცია ასევე სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს ითვალისწინებს. ის აუქმებს არსებულ ბასს (IAS) 39-ის დაფარვამდე ფლობილის, სესხებისა და დებიტორული დავალიანების და გასაყიდად ხელმისაწვდომის კატეგორიებს.

ფასს (IFRS) 9 უმეტესად უცვლელს ტოვებს ბასს 39 ის მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასთან მიმართებაში.

ფასს (IFRS) 9 ბასს (IAS) 39-ში არსებულ 'განცდილი ზარალის' მოდელს 'მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის' მოდელით ჩაანაცვლებს. ახალი გაუფასურების მოდელი ასევე ეხება კონკრეტულ სასესხო ვალდებულებებს და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს, მაგრამ არა ინვესტიციებს აქციონერულ კაპიტალში. ფასს (IFRS) 9-ის საფუძველზე, საკრედიტო ზარალი უფრო ადრე აღიარდება, ვიდრე ბასს (IAS) 39-ის ფარგლებში.

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკებში, რომლებიც ფასს (IFRS) 9-ის მიღებამ გამოიწვია, რეტროსპექტულად გამოიყენებოდა. ფასს (IFRS) 9-ის მიღებით გამოწვეული სხვაობა ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში აღიარდება გაუნაწილებელ მოგებაში 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ქვემოთ იხილეთ ახსნა-განმარტებები, ასევე მეტი ინფორმაცია და დეტალები იმის შესახებ, თუ როგორ იყენებს ჯგუფი ფასს (IFRS) 9-ის მოთხოვნებს.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების აღიარება ხდება ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაში, როდესაც ჯგუფი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე.

აღიარებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შექმნას ან გამოშვებას (მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღირიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა), პირველადი აღიარებისას, შესაბამისად, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღირიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შექმნას ან გამოშვებას, მაშინვე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ გარიგების ღირებულება განსხვავდება თავდაპირველი აღიარებისას არსებული სამართლიანი ღირებულებისგან, ჯგუფი ამგვარ სხვაობებს შემდეგი სახით აღრიცხავს.

- თუ სამართლიანი ღირებულება დასტურდება აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასით ან ეყრდნობა შეფასების მეთოდს, რომელიც გამოიყენებს მხოლოდ საბაზრო ინფორმაციას, მაშინ სხვაობა თავდაპირველი აღიარებისას აღიარდება მოგებაში ან ზარალში (ე.ი. 1-ლი დღის მოგება ან ზარალი).
- ყველა სხვა შემთხვევაში სამართლიანი ღირებულება შეიცვლება გარიგების ღირებულებასთან მოსარგებლად (ე.ი. პირველი დღის მოგება ან ზარალი შეიცვლება მისი აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველ საბალანსო ღირებულებაში შეტანის გზით).

თავდაპირველი აღიარების შემდეგ გადავადებული შემოსულობა ან ზარალი გადავა მოგებაში ან ზარალში რაციონალურ საფუძველზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის წარმოიშვება ფაქტორში (მათ შორის დროში) ცვლილებიდან, რომელსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები, აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ქვემოთ მოცემული შეფასების კატეგორიებიდან ერთერთში: ამორტიზებული ღირებულება; სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში; ან სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

- აქტივის ფლობა ხდება ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ფინანსური აქტივი ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით:

- აქტივის ფლობა ხდება ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანიც მიიღწევა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების და ფინანსური აქტივების გაყიდვის გზით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

არა სავაჭროდ ფლობილი კაპიტალის ინვესტიციის თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფს შეუძლია გამოუთხოვადად შეიყვანოს შემდგომი ცვლილებები ინვესტიციის სამართლიან ღირებულებაში სხვა სრულ შემოსავალში. ეს გადანყვეტილება თითოეულ ინვესტიციაზე ცალკე მიიღება.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული და ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, ზემოთ აღწერილი ფორმით, სამართლიანი ღირებულებით ფასდება და მოგებაში ან ზარალში აისახება. ის მოიცავს ყველა წარმოებულ ფინანსურ აქტივს.

თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფს შეუძლია გამოუხმობად განსაზღვროს ფინანსური აქტივი, რომელიც სხვაგვარად დააკმაყოფილებდა ამორტიზებული ღირებულებით შეფასების მოთხოვნებს ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში მოგებაში ან ზარალში ასახული სამართლიანი ღირებულებით შეფასების მდგომარეობით, თუ ამგვარი მოქმედება აღმოფხვრის ან მნიშვნელოვან ამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამობას, რომელიც სხვაგვარად წარმოიქმნებოდა.

შეფასების კატეგორიებში კლასიფიცირებული ჯგუფის ფინანსური აქტივებია შემდეგი:

ფინანსური აქტივები	ბიზნეს-მოდელი	მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები (SPPI)	შეფასების კატეგორია
წარმოებული ფინანსური აქტივები	სხვა ბიზნეს-მოდელი	ფულადი ნაკადები ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს არ წარმოადგენს	სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული (FVTPL)
ბანკში არსებული ფულადი ნაშთები	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი	ფულადი ნაკადები ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს წარმოადგენს	ამორტიზებული ღირებულება
კლიენტებზე გაცემული სესხები	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი	ფულადი ნაკადები ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს წარმოადგენს	ამორტიზებული ღირებულება
სხვა დებიტორული დავალიანებები	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი	ფულადი ნაკადები ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს წარმოადგენს	ამორტიზებული ღირებულება

ბიზნეს მოდელის შეფასება

ჯგუფი ახდენს იმ ბიზნეს-მოდელის მიზნის შეფასებას, რომელშიც ხდება ფინანსური აქტივის ფლობა პორტფელურ დონეზე, რადგან ეს საუკეთესოდ ასახავს ბიზნესის მართვის და ინფორმაციის ხელმძღვანელობისთვის მიწოდების მეთოდს. ამგვარი ინფორმაცია მოიცავს შემდეგს:

- დამტკიცებული პოლიტიკები და პორტფელების მიზნები, ასევე ამ პოლიტიკების პრაქტიკაში გამოყენება. ეს მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, ხელმძღვანელობის სტრატეგია არის თუ არა ორიენტირებული სახელშეკრულებო საპროცენტო შემოსავლის გამომუშავებაზე, კონკრეტული საპროცენტო განაკვეთის პროფილის შენარჩუნებაზე, ფინანსური აქტივების ვადების ნებისმიერი დაკავშირებულ ვალდებულებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე ან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გადინებაზე და ფულადი ნაკადების გამოთავისუფლებაზე აქტივების გაყიდვის გზით;
- როგორ ხდება პორტფელის მაჩვენებლის შეფასება ან ჯგუფის ხელმძღვანელობისთვის ანგარიშგება;
- როგორ ფასდება ბიზნეს-მოდელის განხორციელება და ამგვარ ბიზნეს-მოდელში შემავალი ფინანსური აქტივები და როგორ ხდება მათი ანგარიშგება სანარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის მიმართ;
- როგორ ხდება მენეჯერების კომპენსირება, ე.ი. ეფუძნება თუ არა კომპენსაცია მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ან მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს; და
- წინა პერიოდებში ფინანსური აქტივების გაყიდვის სიხშირე, მოცულობა და ვადები, ამგვარი გაყიდვების მიზეზები და მოლოდინები მომავალი გაყიდვის საქმიანობის შესახებ.

ფინანსური აქტივები, რომელთა ფლობაც ან მართვა გაყიდვის მიზნით ხდება, ასევე რომელთა მაჩვენებელი ფასდება სამართლიანი ღირებულების საფუძველზე, სამართლიანი ღირებულებით ფასდება და მოგებაში ან ზარალში აისახება, რადგან მათი ფლობა არ ხდება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების და ფინანსური აქტივების გაყიდვის მიზნით.

შეფასება იმისა, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს

ამ შეფასების მიზნებისთვის „ძირითადი თანხა“ ნიშნავს ფინანსური აქტივის სამართლიან ღირებულებას თავდაპირველი აღიარებისას. „პროცენტი“ არის ფულის დროის ღირებულების და კონკრეტული დროის განმავლობაში დაუფარავ ძირითად თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის. ასევე სხვა ძირითადი საკრედიტო რისკების და ხარჯების გადასახადი (მაგ.: ლიკვიდურობის რისკი და ადმინისტრაციული ხარჯები), ასევე მოგების მარჟა.

ფინანსური ანგარიში

იმის შეფასებისას, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენენ თუ არა ძირითადი თანხისა და პროცენტის ცალკე გადახდებს, ჯგუფი ითვალისწინებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს მოიცავს შეფასებას იმისა, რომ ფინანსური აქტივი მოიცავს სახელშეკრულებო პირობას, რომელმაც შესაძლოა შეცვალოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადები ან რაოდენობა, როდესაც არ ხდება ამ პირობის დაცვა. ამ შეფასების გაკეთებისას, ჯგუფი ითვალისწინებს შემდეგს:

- პირობით მოვლენებს, რომლებიც შეცვლიდა ფულადი ნაკადების თანხას ან ვადებს;
- პირობები, რომლებმაც შესაძლოა შეცვალოს სახელშეკრულებო კუპონის განაკვეთი, მათ შორის ცვლადგანაკვეთიანი შესაძლებლობები;
- ავანსები და გახანგრძლივების შესაძლებლობები; და
- ვადები, რომლებიც ზღუდავენ კონკრეტული აქტივებიდან ჯგუფის ფულადი ნაკადები მოთხოვნას (ე.ი. შემობრუნების ფუნქციის არმქონე შესაძლებლობები).

რეკლასიფიკაცია

თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია არ ხდება, გარდა პერიოდისა მას შემდეგ, რაც ჯგუფი შეცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელს. თუ ბიზნეს მოდელი, რომლის საფუძველზეც ჯგუფი ფინანსური აქტივების ფლობს, შეიცვლება, მოხდება გავლენის ქვეშ მყოფი ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია. ახალ კატეგორიასთან დაკავშირებული კლასიფიკაციის და შეფასების მოთხოვნები პერსპექტიულად გამოიყენება პირველი საანგარიშგებო პერიოდის პირველივე დღიდან, ბიზნეს-მოდელი ცვლილების შემდეგ, რაც იწვევს ჯგუფის ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაციას. მიმდინარე ფინანსური წლის და წინა სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, არ მომხდარა ცვლილება იმ ბიზნეს მოდელში, რომელშიც ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ფლობს და შესაბამისად რეკლასიფიკაციები არ განხორციელდება. ცვლილებები სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში გათვალისწინდება სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველზე ქვემოთ აღწერილი ფინანსური აქტივების მოდიფიცირებისა და აღიარების შეწყვეტის შესახებ.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს საღაროში არსებულ ფულად სახსრებს და შეუზღუდავ ნაშთებს ბანკებში, რომელთა დაფარვის ვადა 90 დღე ან მასზე ნაკლებია და ისინი თავისუფალია სახელშეკრულებო შეზღუდვებისგან. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება.

კლიენტებზე გაცემული სესხები და სხვა დებიტორული დავალიანებები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა აქტივებში შესული კლიენტებზე გაცემული სესხები და სხვა დებიტორული დავალიანებები ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული არანარმოებელი ფინანსური აქტივებია. კლიენტებზე გაცემული სესხები და სხვა დებიტორული დავალიანება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ფასდება, ხოლო შემდეგ ამორტიზებული ღირებულებით, ექვექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღირიცხულ ფინანსურ აქტივებში შესული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს უცხოური ვალუტის ფორვარდულ ხელშეკრულებებს და სავალუტო სვოპებს.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით აღიარდება იმ თარიღში, როდესაც ფორმდება წარმოებული ხელშეკრულება და შემდგომში განმეორებით ფასდება სამართლიანი ღირებულებით. ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აისახება, როგორც ფინანსური აქტივები, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება დადებითია, და როგორც ფინანსური ვალდებულებები, როცა მათი სამართლიანი ღირებულება უარყოფითია.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილება სასწრაფო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს ბარალის რეზერვს იმ ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ბარალზე, რომლებიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ბარალში ასახვით.

შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივების გარდა, მოსალოდნელი საკრედიტო

ბარალი უნდა შეფასდეს ბარალის რეზერვში ოდენობით, რომელიც უტოლდება:

- 12 თვეში მოსალოდნელ საკრედიტო ბარალს, ე.ი. აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ბარალს, რომელიც წარმოიშვება დეფოლტის შემთხვევებიდან ფინანსურ ინსტრუმენტზე, რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში (შეესაბამება 1-ელ დონეს); ან
- სიცოცხლის მანძილზე სრული მოსალოდნელი საკრედიტო ბარალი, ე.ი. მოსალოდნელი საკრედიტო ბარალი, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენით, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში (შეესაბამება მე-2 და მე-3 დონეებს).

ბარალის რეზერვი სიცოცხლის მანძილზე სრული მოსალოდნელი საკრედიტო ბარალისთვის, რომელიც საჭიროა ფინანსური ინსტრუმენტისთვის, თუ ამგვარი ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტისთვის, მოსალოდნელი საკრედიტო ბარალი განისაზღვრება 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ბარალის ოდენობით.

სხვა დებიტორული დავალიანების ბარალის რეზერვი ყოველთვის ფასდება სიცოცხლის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ბარალის ოდენობით.

მოსალოდნელი საკრედიტო ბარალი წარმოადგენს საკრედიტო ბარალის მიმდინარე ღირებულების ვარაუდზე დაფუძნებულ შეფასებას. ისინი ფასდება ხელშეკრულების საფუძველზე ჯგუფის მიმართ არსებული დავალიანების ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის სხვაობის მიმდინარე ღირებულებით, რომლის მიღებასაც ჯგუფი მოელის სხვადასხვა მომავალი ეკონომიკური სცენარის შეწონვის განხორციელების და აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირების გზით.

ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ბარალს განსაზღვრავს კოლექტიურ საფუძველზე, სესხების იმ პორტფელებისთვის, რომლებსაც ეკონომიკური რისკის მსგავსი მახასიათებლები აქვთ.

დამატებითი ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ბარალის შეფასების შესახებ მოცემულია 25-ე შენიშვნაში, მათ შორის ინფორმაცია კოლექტიურ საფუძველზე ინსტრუმენტების შეფასებისას მათი დაჯგუფების შესახებ.

გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, როდესაც წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენა, რომელსაც უარყოფითი გავლენა ექნება ამგვარი ფინანსური აქტივების მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. გაუფასურებული ფინანსური აქტივები მე-3 დონის აქტივებს წარმოადგენს. გაუფასურების მტკიცებულება მოიცავს ემპირიულ მონაცემებს შემდეგი მოვლენების შესახებ:

- მსესხებლის ან ემიტენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა, ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვადაგადაცილების გზით;
- მსესხებლის ფინანსური სირთულეებით გამოწვეული ეკონომიკური ან სახელშეკრულებო მიზეზების გამო, კრედიტორმა მსესხებელს შესთავაზა დათმობა, რომელსაც კრედიტორი სხვაგვარად არ მოიარებდა;
- აღნიშნული ფასიანი ქაღალდის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური სირთულეების გამო; ან
- ფინანსური აქტივის ნასყიდობა დიდი ფასდაკლებით, რომელიც ასახავს განუღებ საკრედიტო ბარალს.

შესაძლებელი არ უნდა იყოს ერთი კონკრეტული მოვლენის გამოვლენა - ფინანსური აქტივების გაუფასურება შესაძლოა გამოეწვიოს რამდენიმე მოვლენის ერთობლიობას. თითოეულ ანგარიშგების თარიღში ჯგუფი აფასებს გაუფასურებულია თუ არა სასესხო ინსტრუმენტები, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ან სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს წარმოადგენს.

სესხი გაუფასურებულად მიიჩნევა, როდესაც მსესხებელს მიენიჭება დათმობა მისი ფინანსური პირობების გაუარესების გამო, სანამ წარმოდგენილი არ იქნება მტკიცებულება იმისა, რომ დათმობის მინიჭების შედეგად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოუღებლობის რისკი მნიშვნელოვნად შემცირდა და გაუფასურების სხვა ინდიკატორები არ არსებობს. იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებთან მიმართებაშიც შესაძლოა გაიყვას, მაგრამ არ გაცემულა დათმობები, აქტივი გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს გაუფასურების ემპირიული მტკიცებულება, ამო შორის დეფოლტის განმარტების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

დეფოლტის განმარტება (იხილეთ ქვემოთ) მოიცავს ინდიკატორების და შემზღუდველების გადახდის შესაძლებლობის არარსებობას, თუ თანხა 90 დღეზე მეტი ვადით იქნება ვადაგადაცილებული.

შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივები

შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივები განსხვავებულად მუშავდება, რადგან აქტივი თავდაპირველი აღიარებისას არის გაუფასურებული. ამგვარი აქტივებისთვის ჯგუფი აღიარებს ყველა ცვლილებას თავდაპირველი აღიარების შემდეგ აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ბარალში როგორც ბარალის რეზერვს, მოგებაში ან ბარალში აღიარებული ნებისმიერი ცვლილებით. ამგვარი აქტივების ხელსაყრელი ცვლილება წარმოქმნის გაუფასურების შემოსულობას.

დეფოლტის განმარტება

მოსალოდნელი საკრედიტო ბარალის განსაზღვრისთვის კრიტიკული მნიშვნელობა აქვს დეფოლტის განმარტებას. დეფოლტის განმარტება გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ბარალის შეფასებაში და იმის განსაზღვრებაში ბარალის რეზერვი 12 თვეში მოსალოდნელ საკრედიტო ბარალს წარმოადგენს თუ არსებობს მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ბარალს, რადგან დეფოლტი დეფოლტის ალბათობის (PD) კომპონენტს წარმოადგენს, რომელიც მოქმედებს მოსალოდნელი საკრედიტო ბარალის შეფასებაზეც და საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის გამოვლენაზეც.

ჯგუფი შემდეგ შემთხვევებს მიიჩნევს დეფოლტის შემთხვევად:

- მსესხებელს აქვს ჯგუფის წინაშე ნებისმიერი არსებითი საკრედიტო ვალდებულების 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება; ან
- მსესხებელი სავარაუდოდ სრულად ვერ გადაიხდის ჯგუფის წინაშე არსებულ საკრედიტო ვალდებულებას.

დეფოლტის განმარტება განისაზღვრება სხვადასხვა ტიპის აქტივების განსხვავებული მახასიათებლების ასახვისთვის. იმის შეფასებისას, მსესხებელი შესძლებს თუ არა მისი საკრედიტო ვალდებულების დაფარვას, ჯგუფი ითვალისწინებს თვისებრივ და რაოდენობრივ ინდიკატორებს. ისეთი რაოდენობრივი ინდიკატორები, როგორიც არის ვადაგადაცილების სტატუსი და იმავე კონტრაქტის სხვა ვალდებულების არ დაფარვა, ამ ანალიზის მნიშვნელოვანი შემავალი ინფორმაციაა. ჯგუფი იყენებს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს დეფოლტის შესაფასებლად, რომლებიც კომპანიის შიგნით შემუშავდება ან გარე წყაროებიდან მიიღება.

დეფოლტის განმარტების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 25-ე შენიშვნაში.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

იმის განსასაზღვრად, ინსტრუმენტი ან ინსტრუმენტთა პორტფელი 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ბარალს ექვემდებარება, თუ აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ბარალს, ბანკი აფასებს ჰქონდა თუ არა ადგილი მნიშვნელოვან ზრდას საკრედიტო რისკში თავდაპირველი აღიარების შემდეგ. საკრედიტო რისკში მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაში, ჯგუფი შეაფასებს ბარალის რეზერვს აქტივის არსებობის მანძილზე, და არა 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ბარალის საფუძველზე.

ჯგუფის საადრისცხო პოლიტიკა არ უნდა ითვალისწინებდეს პრაქტიკულ მიდგომას, რომლის მიხედვითაც მიიჩნევა, რომ ანგარიშგების თარიღში 'დაბალი' საკრედიტო რისკის მქონე ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ არის გაზრდილი. შედეგად, ჯგუფი აკონტროლებს ყველა ფინანსურ აქტივს, რომელიც გაუფასურებას ექვემდებარება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის გამო.

იმის შეფასებისას, ფინანსურ ინსტრუმენტზე საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ჯგუფი ანგარიშების თარიღში ინსტრუმენტის დარჩენილი დაფარვის ვადის საფუძველზე ფინანსურ ინსტრუმენტზე წარმოშობილ დეფოლტის რისკს ადარებს წარმოშობილი დეფოლტის რისკს, რომელიც მოსალოდნელი იყო დარჩენილ დაფარვის ვადაზე მიმდინარე ანგარიშების თარიღში, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტი პირველად იქნა აღიარებული. ამ შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ ინფორმაციას, რომელიც გონივრული და საფუძვლიანია, მათ შორის განვლილ გამოცდილებას და საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია ბედმეტი დანახარჯების და მცდელობების გარეშე, ჯგუფის განვლილი გამოცდილების და საექსპერტო საკრედიტო შეფასების, მათ შორის საპროგნოზო ინფორმაციის საფუძველზე.

საპროგნოზო ინფორმაციის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 25-ე შენიშვნაში.

სხვადასხვა ეკონომიკური სცენარი თავდაპირველი აღიარებისას და შემდგომი ანგარიშების თარიღებში დეფოლტის ალბათობის განსაზღვრის საფუძველს ქმნიან. სხვადასხვა ეკონომიკური სცენარი გამოიწვევს დეფოლტის განსხვავებულ შესაძლებლობას. ამ სხვადასხვა სცენარის შენონვა ქმნის დეფოლტის საშუალო შენონილი ალბათობის საფუძველს, რომელიც გამოიყენება იმის შესაფასებლად, საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა.

საპროგნოზო ინფორმაცია საქართველოს ეკონომიკის მომავალ პერსპექტივებს, რომლებიც ეკონომიკურ სფეროში მოღვაწე ექსპერტების, ფინანსური ანალიტიკოსების, სახელმწიფო უწყებების, შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების და მსგავსი ორგანიზაციების ანალიზებს, ასევე ფაქტიური და საპროგნოზო ეკონომიკური ინფორმაციის სხვადასხვა შიდა და გარე წყაროებს ეყრდნობა.

ჯგუფი მის კონტრაქტებს შესაბამის შიდა საკრედიტო რისკის შეფასებას აძლევს, მათი საკრედიტო ხარისხიდან გამომდინარე. რაოდენობრივი ინფორმაცია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის უპირატესი ინდიკატორია და ის სიცოცხლის მანძილზე დეფოლტის ალბათობის ცვლილებას ეფუძნება შემდეგი მონაცემების შედარების გზით:

- ანგარიშების თარიღისთვის დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა;
- დროის კონკრეტულ მომენტისთვის დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა, რომელიც შეფასდა დაქვემდებარების თავდაპირველი აღიარების დროს არსებული ფაქტებისა და ვითარებების საფუძველზე.
- გამოყენებული დეფოლტის ალბათობა წარმოადგენს საპროგნოზო ინფორმაციას და ჯგუფი ამ მეთოდოლოგიას და მონაცემებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის შესაფასებლად იყენებდა.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდაზე მეტყველი თვისებრივი ფაქტორები სასწრაფო წესით აისახება დეფოლტის ალბათობის მოდელში. თუმცა, ჯგუფი კვლავ განცალკევებით ითვალისწინებს რამდენიმე თვისებრივ ფაქტორს, რათა შეაფასოს მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი. ჯგუფი ითვალისწინებს გადახდასთან დაკავშირებულ შეღავათებს და არასამუშაო დღეებს, საკრედიტო ქულებს და ისეთ მოვლენებს, როგორიც არის უმუშევრობა, გაკოტრება ან გარდაცვალება.

იმის გათვალისწინებით, რომ მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში თავდაპირველი აღიარების შემდეგ შედარებითი მოვლენაა და მოცემული ცვლილება დეფოლტის ალბათობაში მეტად მნიშვნელოვანი იქნება უფრო დაბალი თავდაპირველი დეფოლტის ალბათობის მქონე ფინანსური ინსტრუმენტისთვის, ვიდრე უფრო მაღალი დეფოლტის ალბათობის მქონე ფინანსური ინსტრუმენტისთვის.

შემაკავებელი ღონისძიების სახით, როდესაც აქტივი 30 დღის განმავლობაში იქნება ვადაგადაცილებული, ჯგუფი მიიჩნევს, რომ წარმოიშვა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა და რომ აქტივი გაუფასურების მოდელის მე-2 დონეზეა, ე.ი. ზარალის რეზერვი ფასდება აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სახით.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 25-ე შენიშვნაში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში შემდეგი სახით:

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის: აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან დაქვითვის სახით;
- სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით ასახული სავალო ფინანსური ინსტრუმენტებისთვის: ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ზარალის რეზერვი არ აღიარდება, რადგან საბალანსო ღირებულება საბალანსო ღირებულებას არის გატოლებული.
- სასესხო ვალდებულებებისა და ფინანსური საგარანტიო ხელშეკრულებებისთვის: ანარიცხის სახით; და
- როდესაც ფინანსური ინსტრუმენტი მოიცავს გამოყენებულ და გამოუყენებელ კომპონენტს, ჯგუფს არ შეუძლია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრა სასესხო ვალდებულების კომპონენტზე, გამოყენებული კომპონენტებისგან განცალკევებით: ჯგუფი წარმოადგენს ზარალის კომბინირებულ რეზერვს ორივე კომპონენტისთვის. კომბინირებული თანხა აღირიცხება გამოყენებული კომპონენტის მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან დაქვითვის სახით. გამოყენებული კომპონენტის მთლიან თანხაზე ზარალის რეზერვის ნებისმიერი ზედმეტობა ანარიცხის სახით აღირიცხება.

ფინანსური აქტივების ცვლილება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის ცვლილება ხდება ფინანსური აქტივის ფულადი ნაკადების მმართველი სახელშეკრულებო პირობების გადახედვის ან სხვაგვარად ცვლილების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის თავდაპირველ აღიარებასა და დაფარვის ვადას შორის პერიოდში. ცვლილება მოქმედებს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების თანხაზე და/ან ვადებზე, მაშინვე ან მომავალ პერიოდებში.

ჯგუფი ფინანსური სირთულეების მქონე კლიენტებზე გაცემულ სესხებს განმეორებით თანხმებს, სესხის დაბრუნების მაქსიმალურად გაზრდის და დეფოლტის წარმოშობის რისკის მინიმუმამდე შემცირების მიზნით. სესხის პირობების ცვლილება ხდება იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ყველა გონივრულ მცდელობას განახორციელებს სანციის სახელშეკრულებო პირობების საფუძველზე გადახდის შესასრულებლად, არსებობს დეფოლტის წარმოშობის მაღალი რისკი ან დეფოლტი უკვე წარმოიშვა და მოსალოდნელია, რომ მსესხებელი შესძლებს შეცვლილი პირობების დაკმაყოფილებას. უმეტეს შემთხვევაში შეცვლილი პირობები მოიცავს სესხის ვადის გახანგრძლივებას, სესხის ფულადი ნაკადების (ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვა) ვადების ცვლას, ვადადამდგარი ფულადი ნაკადების თანხის (ძირითადი თანხის და პროცენტის პატიება) შემცირება და სხვა პირობების ცვლილება.

ფინანსური აქტივის ცვლილებისას, ჯგუფი აფასებს ხომ არ უნდა მოხდეს ამგვარი მოდიფიცირებული შედეგების აღიარების შეწყვეტა. ჯგუფის პოლიტიკის შესაბამისად, ცვლილება იწვევს აღიარების შეწყვეტას, როდესაც ის წარმოქმნის არსებითად განსხვავებულ პირობებს. იმის განსასაზღვრად, მოდიფიცირებული პირობები არსებითად განსხვავდება თუ არა თავდაპირველი სახელშეკრულებო პირობებისგან, ჯგუფი ითვალისწინებს შემდეგს:

- ისეთი თვისებრივი ფაქტორები, როგორც არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, ცვლილების შემდეგ აღარ არიან წარმოადგენენ მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, ვალუტის ცვლილებას ან კონტრაქტის ცვლილებას, საპროცენტო განაკვეთების, ვადიანობის და ვალდებულებების ცვლილების დიაპაზონს. თუ ეს გარკვევით არ მეთვალყურეობს არსებით მოდიფიკაციაზე, მაშინ

- ტარდება რაოდენობრივი შეფასება, რათა მოხდეს თავდაპირველი პირობების ფარგლებში დარჩენილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების შედარება სახელშეკრულებო ფულად ნაკადებთან შეცვლილი პირობების ქვეშ, როდესაც ორივე თანხა დისკონტირდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. თუ მიმდინარე ღირებულებაში სხვაობა 10%-ზე მეტია, ჯგუფი მიიჩნევს, რომ გარიგება არსებითად განსხვავებულია და იწვევს აღიარების შეწყვეტას.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ფასდება აღიარების შეწყვეტის თარიღში, რათა განისაზღვროს ამ თარიღში აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულება. სხვაობა ამ შეცვლილი საბალანსო ღირებულებასა და ახალი ფინანსური აქტივის სამართლიან ღირებულებას შორის, ახალი პირობებით, აღიარების შეწყვეტისას გამოიწვევს შემოსულობას ან ზარალს. ახალ ფინანსურ აქტივს ექნება ზარალის რეზერვი, რომელიც 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე განისაზღვრება, გარდა იშვიათი ვითარებებისა, როდესაც მოიაზრება ახალი სესხის გაცემა - გაუფასურება. ეს ეხება მხოლოდ იმ შემთხვევებს, როდესაც ახალი სესხის სამართლიანი ღირებულება აღიარდება მნიშვნელოვანი დისკონტირებით მის შეცვლილ ნომინალურ ღირებულებამდე, რადგან იარსებებს დეფოლტის მაღალი რისკი, რომელიც, არ შემცირებულა მოდიფიკაციის შედეგად. ჯგუფი აკონტროლებს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკს თვისებრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის შეფასების გზით, თითქმის მსესხებელი ვადაგადაცილების სტატუსში იყოს, ახალი პირობების საფუძველზე.

როდესაც იცვლება ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები და მოდიფიცირება არ იწვევს აღიარების ცვლილებას, ჯგუფი განსაზღვრავს, ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

ჯგუფის ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც მოდიფიცირდება ჯგუფის რესტრუქტურის მიზნის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილის სახით, როდესაც მოდიფიცირება არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, დეფოლტის ალბათობა ასახავს ჯგუფის უნარს მიიღოს მოდიფიცირებული ფულადი ნაკადები, ჯგუფის მსგავსი რესტრუქტურის მიზნის ქმედების მქონე წინა გამოცდილების, ასევე სხვადასხვა ქვევითი ინდიკატორების გათვალისწინებით, მათ შორის მსესხებლის გადახდი მარჯვენა მხარის ჩათვლით, მოდიფიცირებულ სახელშეკრულებო პირობებში. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად აღემატება თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელს, ზარალის რეზერვის შეფასება გაგრძელდება აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხის ოდენობით. ზარალის რეზერვი წინამორბედი სესხებისთვის ზოგადად შეფასდება მხოლოდ 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე, როდესაც იარსებებს მტკიცებულება იმისა, რომ მსესხებელმა გააუმჯობესა გადახდის ქცევა, საკრედიტო რისკში წინა მნიშვნელოვანი ზრდის შემობრუნების შემდეგ განხორციელებული მოდიფიცირების გამო.

როდესაც მოდიფიკაცია არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, ჯგუფი მოდიფიკაციით წარმოქმნილ შემოსულობას/ ზარალს ანგარიშობს ცვლილებამდე და ცვლილების შემდეგ მთლიანი საბალანსო ღირებულების შედარების გზით (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის გამოკლებით). ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აფასებს მოდიფიცირებული აქტივისთვის, სადაც მოდიფიცირებული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი მოსალოდნელი ფულადი ნაკადები შესულია საწყისი აქტივიდან წარმოშობილი ფულადი სახსრების მოსალოდნელი დეფიციტის დაანგარიშებაში.

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახელშეკრულებო უფლებებს აქტივის ფულად ნაკადებზე ვადა გაუვა (მათ შორის ვადის გასვლა მოხდება არსებითად განსხვავებული პირობებით მოდიფიცირებიდან), ან როდესაც ფინანსური აქტივი და აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი სხვა საწარმოს გადაეცემა. თუ ჯგუფი არც გადაცემს და არც ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, ჯგუფი აღიარებს თავის შენარჩუნებულ ინტერესს აქტივში და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებაში, იმ თანხების ოდენობით, რომელთა გადახდაც მას შეიძლება მოუხდეს. თუ ჯგუფი ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, ჯგუფი აგრძელებს ფინანსური აქტივის აღიარებას.

ჩამოწერები

სესხები და სავალო ფასიანი ქაღალდები ჩამოიწერება, როდესაც ჯგუფს არ ექნება გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ფინანსური აქტივი მთლიანად ან ნაწილობრივ აღდგება. ამ დროს ჯგუფი განსაზღვრავს, რომ მსესხებელს არ აქვს აქტივები ან შემოსავლის წყაროები, რომლებმაც შესაძლოა მოახდინონ შესაბამისი ფულადი ნაკადების გენერირება, ჩამოწერას დაქვემდებარებული თანხების გადასახდელად. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას. ჯგუფმა შესაძლოა გამოიყენოს აღსრულების საქმიანობები, ფინანსური აქტივების ჩამოსაწერად. ჯგუფის მიერ გატარებული აღსრულების ღონისძიებებით ამოღებული თანხები გაუფასურების შემოსულობას გამოიწვევს.

ფინანსური ვალდებულებები და კაპიტალი

გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ვალდებულება ან როგორც კაპიტალი, სახელშეკრულებო გარიგების არსის შესაბამისად.

ფინანსური ვალდებულება წარმოადგენს სახელშეკრულებო ვალდებულებას, ფულადი სახსრები ან სხვა ფინანსური აქტივის მისაწოდებლად ან ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გასაცვლელად სხვა საწარმოსთან ისეთ პირობებში, რომლებიც არსებითად არახელსაყრელია ჯგუფისთვის ან ხელშეკრულებით, რომელიც დაიფარება ან შესაძლოა დაიფაროს ჯგუფის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით ან არის არანაწარმოებული ხელშეკრულება, რომლისთვისაც ჯგუფი ვალდებულია ან შესაძლოა ვალდებული იყოს წარმოადგინოს მისი ცვლადი რაოდენობის წილობრივი ინსტრუმენტები ან განსხვავებული ხელშეკრულება საკუთარ კაპიტალზე, რომელიც დაიფარება ან შესაძლოა დაიფაროს ფიქსირებული რაოდენობის ნაღდი ფულის (ან სხვა ფინანსური აქტივის) გაცვლის გარეშე ჯგუფის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ფიქსირებული რაოდენობისთვის.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი არის კონტრაქტი, რომლითაც დასტურდება ნარჩენი ინტერესი საწარმოს აქტივში ყველა მისი ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. ჯგუფის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტების აღიარება ხდება მიღებული საზღაურის ოდენობით, რასაც აკლდება გამოშვებასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები.

ჩვეულებრივი აქციები

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. ნაზარდი დანახარჯები პირდაპირ უკავშირდება ჩვეულებრივი აქციების გამოშვებას და წილობრივი ოფციონები აღიარდება კაპიტალიდან დაქვითვის სახით, ნებისმიერი საგადასახადო ეფექტების გამოკლებით.

პრივილეგირებული აქციები

პრივილეგირებული აქციების მფლობელებს აქვთ დივიდენდების მიღების უფლებამოსილება, წლიური ფიქსირებული 10%-იანი განაკვეთით. პრივილეგირებული აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი, რადგან, ქართული კანონმდებლობის თანახმად, დივიდენდების უცილობლად გაცემის შეპირება ბათილია და დამოკიდებულია ჯგუფის წლიურ მოგებასა და ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებაზე.

დამატებითი შენატანები კაპიტალში

სააქციო კაპიტალის ზრდის შემთხვევაში, ნებისმიერი სხვაობა სააქციო კაპიტალის რეგისტრირებულ რაოდენობასა და ფაქტურად მიღებული გადახდების სამართლიან ღირებულებას შორის საემისიო შემოსავლის სახით აღიარდება.

წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის რეზერვი

ხელმძღვანელობის საინიციატივო გეგმის ფარგლებში თანამშრომლები იღებენ აქციებზე დაფუძნებული კომპენსაციის სარგებელს. ამ გეგმის შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-7 შენიშვნაში.

თანამშრომლებისთვის მინიჭებული გადავადებული აქციების სამართლიანი ღირებულება ფასდება წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღში და აღიარდება კაპიტალში წილობრივი გადახდის რეზერვში. გადასაცემი აქციების რაოდენობა ფასდება უფლების გადაცემის არასაბაზრო პირობებში. შეფასებები იცვლება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ცვლილებები აღიარდება მოგებაში ან ზარალში და წილობრივი გადახდის რეზერვში.

ღივიდენდები

ჯგუფის მიერ ღივიდენდების გამოცხადების და გადახდის უნარი საქართველოს კანონმდებლობის წესებს და რეგულაციებს ექვემდებარება. ჩვეულებრივ აქციებთან დაკავშირებული ღივიდენდები აისახება გაუნაწილებელი მოგების მიკუთვნებით, ამ ღივიდენდების გამოცხადების პერიოდში.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირება ხდება ან „სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებაში ან ზარალში ასახულ“ ფინანსურ ვალდებულებებად, ან „სხვა ფინანსურ ვალდებულებებად“.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახულის“ კატეგორიაში, როდესაც (i) ფინანსური ვალდებულების ფლობის მიზანია ვაჭრობა ან (ii) მისი დანიშნულებაა სამართლიანი ღირებულებით შეფასება და მოგებაში ან ზარალში ასახვა.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო გადაფასებისას მიღებული შემოსულობა/ზარალი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში. მოგებაში ან ზარალში აღირიცხული წმინდა შემოსულობა/ზარალი მოიცავს ფინანსურ ვალდებულებაზე გადახდილ ნებისმიერ პროცენტს და ის შესულია წმინდა შემოსავალში სხვა ფინანსური ინსტრუმენტებიდან, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება და მოგებაში ან ზარალში აისახება, მოგება-ზარალის ანგარიშის მუხლში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

„სხვა ფინანსური ვალდებულებები“, მათ შორის სესხად აღებული თანხები, გაცემული სავალო ფასიანი ქაღალდები და სხვა არანარმოებული ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ფასდება, რასაც აკლდება გარიგების დანახარჯები.

„სხვა ფინანსური ვალდებულებების“ შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ხოლო საპროცენტო ხარჯის აღიარება ხდება ეფექტური შემოსავლიანობის საფუძველზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გაანგარიშებისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო ხარჯის განაწილების მეთოდი. თუ ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი ვადის ან, შესაბამის შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე, თავდაპირველი აღიარებისას არსებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თავში „წმინდა საპროცენტო შემოსავლის ნაწილი“ გემოთ.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას შეწყვეტს მხოლოდ ჯგუფის ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში. აღიარება შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში.

როდესაც ჯგუფი არსებულ კრედიტორთან ერთ სავალო ინსტრუმენტს არსებითად განსხვავებული პირობების ინსტრუმენტში გადაცვლის, ამგვარი გადაცვლა აღირიცხება საწყისი ფინანსური ვალდებულების დაფარვის და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარების სახით. ამის მსგავსად ჯგუფი აღირიცხავს არსებული ვალდებულების ან მისი ნაწილის არსებით მოდიფიცირებას, საწყისი ფინანსური ვალდებულების დაფარვის და ახალი ვალდებულების აღიარების სახით. კეთდება დაშვება, რომ პირობები არსებითად განსხვავებულია, თუ ახალი პირობების საფუძველზე ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება, მათ შორის ნებისმიერი საფასურის გამოკლებით განხორციელებული გადახდა და დისკონტირებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებისგან.

უცხოური ვალუტები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ჯგუფის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღიარდება გარიგების დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის, უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი მუხლების გადაყვანა ხდება ამ თარიღით მოქმედი კურსის გამოყენებით. სამართლიანი ღირებულებით აღირიცხული არაფულადი მუხლები, რომლებიც გამოხატულია უცხოურ ვალუტაში, იმ კურსებით გადაიყვანება, რომლებიც მოქმედებდა იმ თარიღით, როდესაც განისაზღვრა სამართლიანი ღირებულება. არაფულადი მუხლები, რომლებიც შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, არ გადაიყვანება.

წლის დასასრულის მდგომარეობით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფმა შემდეგი სავალუტო კურსები გამოიყენა:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8677	2.6766
ლარი /1 ევრო	3.2095	3.0701

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება პირვანდელი ღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და ნებისმიერი აღიარებული გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების კომპონენტის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ სანარმო მიიღებს ამ კომპონენტის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუმისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება შეიძლება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები განვეისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

ცვეთა ერიცხება ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას და განკუთვნილია აქტივების ჩამოსაწერად სასარგებლო ეკონომიკური მომსახურები ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

შენობები	30 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წლამდე
ავჯი	3-დან 6 წლამდე
IT აღჭურვილობა	3-დან 6 წლამდე
საიტარო ქონების გაუმჯობესება	3-დან 5 წლამდე
სხვა	2-დან 6 წლამდე

იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება ამორტიზდება შესაბამისი იჯარით აღებული აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადაზე. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება მათი განვებისა და მათი ჩართვა ხდება საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

ძირითადი საშუალებების საბალანსო თანხების გადახედვა ხდება ანგარიშგების ყოველ თარიღში, რათა შეფასდეს ხომ არ აღირიცხა ისინი მათი ანაზღაურებად თანხაზე გადამეტებული ოდენობით. აღდგენითი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. თუ საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მოსალოდნელ ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივები ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე; გაუფასურება აღიარდება შესაბამის პერიოდში და შედის საოპერაციო დანახარჯებში. გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების ამორტიზაციის ხარჯი იცვლება მომავალ პერიოდებში, რათა მოხდეს აქტივების შეცვლილი საბალანსო ღირებულების გადანაწილება, მისი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სისტემატიურად მისი დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალებების მუხლის გასხვისების ან ექსპლუატაციიდან ამოღების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც აქტივის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ და რომელთა შეძენაც განცალკევებით ხდება, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაცია აღიარდება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადები ხუთიდან ათ წლამდე მერყეობს.

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

ინდივიდუალურად შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების უსასრულო ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივების გაუფასურება ფასდება მაშინ, როდესაც არსებობს მათი შესაძლო გაუფასურების ნიშნები.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი გადახედავს თავისი მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის აღდგენითი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის აღდგენითი ღირებულების განსაზღვრა, ჯგუფი აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები და ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს. აღდგენითი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები. თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება დაუყოვნებლივ ხდება მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი აღდგენითი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შემობრუნება აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

დასაკუთრებული აქტივები

კონკრეტულ ვითარებებში, აქტივების დასაკუთრება ხდება დეფოლტირებული სესხების უზრუნველყოფის საგნის გამოყენების შემდეგ. ჯგუფი დასაკუთრებულ აქტივებს იყენებს დეფოლტირებული სესხით მართებული თანხების დაფარვის ფორმის სახით და მათ მიიჩნევს შექცნილ აქტივად და ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში გასაყიდად გამიზნულად.

დასაკუთრებული აქტივები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ ფასდება საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უმცირესით.

გადასახადები

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მოგების გადასახადის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის უკავშირდება სხვა სრული შემოსავლის ერთეულებს და პირდაპირ კაპიტალში აღიარებულ ოპერაციებს აქციონერებთან, რა შემთხვევაშიც ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი არის მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება წლის დასაბეგრი შემოსავალზე, ანგარიშგების თარიღში მოქმედი ან ფაქტობრივად მოქმედი საგადასახადო განაკვეთების და წინა წლებთან მიმართებაში საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი კორექტირების გამოყენებით.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (ე.წ. მოგების გადასახადის ესტონური მოდელი), რომელსაც ძირითადად დაბეგვრის მომენტი დასაბეგრი მოგების მიღებიდან გადააქვს მოგების განაწილებაზე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს, მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ საგადასახადო პერიოდებზე და ეხება ყველა საწარმოს, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (მაგალითად, ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი თავდაპირველად ამოქმედდა 2019 წლის 1 იანვრიდან. 2018 წლის 27 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა კანონის ძალაში შესვლის თარიღი 2023 წლის 1 იანვრამდე გაახანგრძლივა.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადიდან გათავისუფლებას, უბრალოდ მოგების გადასახადით დაბეგვრამ გადაინაცვლა მოგების მიღების მომენტიდან მისი განაწილების მომენტზე, ანუ ძირითადი საგადასახადო ობიექტი გახდა განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განაწილებულ მოგებას განმარტავს, როგორც მფლობელებისთვის დივიდენდის სახით განაწილებულ მოგებას. თუმცა, განაწილებულ მოგებად ითვლება სხვა ტიპის ოპერაციებიც, მაგალითად დაკავშირებულ მხარეებთან საერთაშორისო გარიგება საბაზრო ფასისგან განსხვავებული ფასით და/ან გადასახადისაგან გათავისუფლებულ პირთან განხორციელებული ოპერაცია ასევე ითვლება განაწილებულ მოგებად მოგების გადასახადის დეკლარაციის მიზნებისთვის. ამასთან, საგადასახადო ობიექტი მოიცავს განუელ ხარჯს ან სხვა გადახდას, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის, უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/ მომსახურების განწევა და ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით განუელი წარმომადგენლობითი ხარჯი.

გადასახადის ჩათვლა შესაძლებელია 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილი მიმდინარე გადასახადისთვის, თუ ეს მოგება განაწილდება 2023 და მომდევნო წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება დივიდენდების გადახდის პერიოდში განუელი ხარჯის სახით.

გადავადებული გადასახადი

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აღიარდება ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების და საგადასახადო მიზნებისთვის გამოყენებული თანხების საბალანსო ღირებულებას შორის დროებით სხვაობასთან მიმართებაში.

იგი არ ეხება შემდეგი სახის დროებით სხვაობებს: საგადასახადო მიზნებისათვის გამოუქვითავი გუდვილის შემთხვევაში, აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარების შემთხვევაში, რომლებიც გავლენას არ ახდენენ არც საგადასახადო და არც სააღრიცხვო მოგებაზე, ასევე დროებითი სხვაობები, რომლებიც უკავშირდება ინვესტიციებს შვილობილ კომპანიებში, ფილიალებში და მეკავშირე კომპანიებში, სადაც მშობელ ბანკს შეუძლია გააკონტროლოს დროებითი სხვაობის შემობრუნების დრო და მოსალოდნელია, რომ დროებითი სხვაობა ახლო მომავალში არ შემობრუნდება. გადავადებული გადასახადის თანხა ეფუძნება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების განხორციელების ან გადახდის მოსალოდნელ წესს 2023 წლის 1 იანვრამდე, ანგარიშგების თარიღში მოქმედი ან ფაქტობრივად ამოქმედებული საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია სამომავლო დასაბეგრი მოგების მიღება 2023 წლის 1 იანვრამდე, საიდანაც შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების, გამოყენებული საგადასახადო ზარალის და კრედიტის გამოქვითვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები გადაფასდება ყოველი ანგარიშგების თარიღისთვის და მცირდება იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელი აღარ იქნება შესაბამისი საგადასახადო სარგებლის რეალიზება.

ახალი საგადასახადო სისტემის შემოთაღწერილი ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში დარეგისტრირებულ ფინანსურ დაწესებულებებს არ ექნებათ სხვაობები აქტივების საგადასახადო ბაზებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის 2023 წლის 1 იანვრიდან. შესაბამისად, ამ თარიღიდან არ წარმოქმნება მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საოპერაციო გადასახადები

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს ჯგუფის საქმიანობაზე. ეს გადასახადები შედის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების საოპერაციო ხარჯების კომპონენტში.

თანამშრომელთა სარგებელი

წილობრივ გადახდასთან დაკავშირებული გარიგებები

თანამშრომლებისთვის მინიჭებული წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული წილობრივი გადახდის გარიგებების სამართლიანი ღირებულება უფლების მინიჭების თარიღში ჩვეულებრივ აღიარდება ხარჯში, კაპიტალის შესაბამისი ზრდით, უფლების მინიჭების პერიოდზე. ხარჯად აღიარებული თანხა კორექტირდება იმ მინიჭებული უფლებების რაოდენობის ასახვისთვის, რომლისთვისაც დაკავშირებული მომსახურება და არასაბაზრო შესრულების პირობები უნდა იყოს დაკმაყოფილებული, ისეთი ფორმით, რომ თავდაპირველად ხარჯში აღიარებული თანხა ეფუძნებოდეს მინიჭებული უფლებების რაოდენობას, რომელიც აკმაყოფილებს უფლების გადაცემის თარიღში შესაბამისი მომსახურების და არასაბაზრო მაჩვენებლების პირობებს. წილობრივი გადახდის მინიჭებისთვის, უფლების მინიჭების თარიღში წილობრივი გადახდის სამართლიანი ღირებულება ფასდება ამგვარი პირობების ასახვის მიზნით და არ არსებობს მოსალოდნელ და ფაქტურ შედეგებს შორის სხვაობების შესაბამისობა.

მოკლევადიანი დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოს ვალდებულება ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და გადაიხდება შესაბამისი მომსახურების განწვევის შემდეგ. ვალდებულება აღიარდება მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმების საფუძველზე გადასახდელ თანხებად, თუ ჯგუფს აქვს მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ამგვარი თანხა დასაქმებულის მიერ განწვეული მომსახურების ასანაზღაურებლად. ამგვარი ვალდებულება შესაძლოა სათანადო სიზუსტით იქნას შეფასებული.

იჯარა

იჯარა - მოქმედებს 2019 წლის 1 იანვრის შემდეგ

ჯგუფი აფასებს ხელშეკრულება არის ან მოიცავს თუ არა იჯარას, ხელშეკრულების ამოქმედების თარიღში. ჯგუფი აღიარებს გამოყენების უფლებით გადაცემულ აქტივს და შესაბამის საიჯარო ვალდებულებას ყველა საიჯარო გარიგებასთან მიმართებაში, რომელშიც ის მოიჯარის როლში გამოდის, გარდა მოკლევადიანი იჯარებისა (12 თვის ან ნაკლები ვადის მქონე იჯარები) და დაბალი ღირებულების აქტივების იჯარებისა (როგორც არის ტაბლეტები და პერსონალური კომპიუტერები, საოფისე ავეჯის მცირე ერთეულები და ტელეფონები). ამ იჯარებისთვის ჯგუფი აღიარებს საიჯარო გადასახდელებს საოპერაციო ხარჯად, ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადაზე, სანამ სხვა სქემა უფრო ზუსტად არ ასახავს საიჯარო აქტივებიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იჯარის დაწყების თარიღში გადაუხდელი საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება იჯარაში ნაგულისხმევი განაკვეთის გამოყენებით. თუ ეს განაკვეთი რთულად განსაზღვრია, ჯგუფი იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საიჯარო ვალდებულება ცალკე მუხლად არის წარმოდგენილი.

საიჯარო ვალდებულება შემდგომში ფასდება საბალანსო ღირებულების ზრდის სახით, რათა მოხდეს საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტის ასახვა (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით) და საბალანსო ღირებულების შემცირებით, განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვის მიზნით.

ჯგუფი განმეორებით აფასებს საიჯარო ვალდებულებას (და აკეთებს გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივის შესაბამის კორექტირებას) როდესაც:

- იჯარის ვადა იცვლება ან არსებობს მნიშვნელოვანი მოვლენა ან ვითარების ცვლილება, რომელიც იწვევს ცვლილებას არსებული შესყიდვის უფლებით სარგებლობის შეფასებაში, რა შემთხვევაშიც საიჯარო ვალდებულება განმეორებით ფასდება შეცვლილი საიჯარო გადახდების დისკონტირების გზით, შეცვლილი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით.
- საიჯარო გადასახდელები იცვლება ინდექსის ან განაკვეთის ან გარანტირებული ნარჩენი ღირებულების ფარგლებში მოსალოდნელი გადახდის ცვლილების გამო, რა შემთხვევაშიც საიჯარო ვალდებულება გადაფასდება შეცვლილი საიჯარო გადახდების დისკონტირებით, უცვლელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით (თუ საიჯარო გადახდები იცვლება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო, რა შემთხვევაშიც გამოიყენება შეცვლილი დისკონტირების განაკვეთი).
- საიჯარო ხელშეკრულება იცვლება და საიჯარო მოდიფიკაცია არ აღირიცხება ცალკე იჯარად, რა შემთხვევაშიც საიჯარო ვალდებულება გადაფასდება შეცვლილი იჯარის საიჯარო ვადის საფუძველზე, შეცვლილი საიჯარო გადასახდელების დისკონტირებით, ცვლილების თარიღში შეცვლილი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით.

ჯგუფს არ განუხორციელებია ამგვარი ცვლილებები წარმოდგენილი პერიოდის განმავლობაში.

გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები წარმოადგენს შესაბამისი საიჯარო გადასახდელების თავდაპირველ შეფასებას, დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებულ საიჯარო გადასახდელებს, ნებისმიერი მიღებული საიჯარო შეღავათის და თავდაპირველი პირდაპირი ხარჯის გამოკლებით. ისინი შემდეგ ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალი.

როდესაც ჯგუფს წარმოექმნება საიჯარო აქტივის დემონტაჟის და მოხსნის, ასევე მათი განთავსების ადგილის აღდგენის ან საბაზისო აქტივის იჯარის პირობებით მოთხოვნილ მდგომარეობამდე მიყვანასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვის ვალდებულება, ბასს (IAS) 37-ის საფუძველზე აღიარდება და შეფასდება შესაბამისი ანარიცხი. იმ შემთხვევაში, თუ ხარჯი გამოყენების უფლებით გადაცემულ აქტივს უკავშირდება, ხარჯები შევა გამოყენების უფლებით გადაცემულ შესაბამის აქტივში, თუ ამგვარი ხარჯების განწევა არ მოხდა სასაქონლო-მატერიალური მარაგების საწარმოებლად.

გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივებს ცვეთა ერიცხებათ საიჯარო ვადასა და საბაზისო აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადას შორის უფრო მოკლე პერიოდზე. თუ იჯარა გადასცემს საბაზისო აქტივის საკუთრების უფლებას ან გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივის თვითღირებულება ასახავს, რომ ჯგუფი მოელის შესყიდვის უფლებით სარგებლობას, შესაბამის გამოყენების უფლებით გადაცემულ აქტივზე ირიცხება ცვეთა საბაზისო აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში. ამორტიზაცია იწყება იჯარის დაწყების თარიღში.

გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ცალკე ხაზის სახით არის წარმოდგენილი.

იმის განსასაზღვრად, გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივი გაუფასურებულია თუ არა, ჯგუფი ბასს (IAS) 36-ს იყენებს და აღრიცხავს ნებისმიერ გამოვლენილ გაუფასურების ზარალს, „ძირითადი საშუალებების“ პოლიტიკაში აღწერილი ფორმით.

პრაქტიკული მიდგომის სახით, ფასს (IFRS) 16 მოიჯარეს საშუალებას აძლევს ცალკე არ გამოჰყოს არა საიჯარო კომპონენტები და ამის ნაცვლად აღრიცხოს ნებისმიერი იჯარა და დაკავშირებული არა საიჯარო კომპონენტები, განცალკევებული გარიგების სახით. ჯგუფმა ისარგებლა ამ პრაქტიკული მიდგომით.

ჯგუფი არ არის წარმოდგენილი მეიჯარის სახით 31 დეკემბრით დასრულებული 2019 და 2018 წლების განმავლობაში.

იჯარა - მოქმედებს 2019 წლის 1 იანვრამდე

იჯარები კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარებად, როდესაც იჯარის პირობებით მოიჯარეს გადაეცემა საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უფლება. ყველა სხვა იჯარა ჩვეულებრივ იჯარებად კლასიფიცირდება.

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

იმ შემთხვევაში, თუ საოპერაციო იჯარის გასაფორმებლად მიიღება საიჯარო შეღავათები, ეს უკანასკნელები ვალდებულებად აღირიცხება. შეღავათების აგრევირებული სარგებლის აღიარება ხდება საიჯარო ხარჯის შემცირების სახით დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არა სახელშეკრულებო) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიმუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, დებიტორული დავალიანების აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა ამ ვალდებულებების დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელია.

უზრუნველყოფის საგანი

კლიენტის ვალდებულებასთან მიმართებაში ჯგუფი ისეთ უზრუნველყოფის საგანს იღებს, რომელსაც ის შესაბამისად მიიჩნევს. უზრუნველყოფის საგანი, ჩვეულებრივ, იღებს კლიენტის აქტივებზე გირაოს ფორმას და ჯგუფს ანიჭებს ამგვარი აქტივების მოთხოვნის უფლებას კლიენტის არსებულ და მომავალ ვალდებულებებთან მიმართებაში.

3. გადაწყვეტი მნიშვნელობის სააღრიცხვო განსჯა და შეფასების უზუსტობის ძირითადი მიზეზები

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას, რომლებიც მე-2 შენიშვნაშია აღწერილი, ჯგუფის ხელმძღვანელობას მოეთხოვება განსჯა, შეფასება და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც მზა სახით ხელმისაწვდომი არ არის სხვა წყაროებიდან. ეს შეფასებები და მათთან დაკავშირებული დაშვებები ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა საპროგნოზო ინფორმაციას, რომლებიც აქტუალურად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან.

ეს შეფასებები და საბალანსო მოსაზრებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა ამ შეფასების გადახედვა, თუ გადახედვა გავლენას ახდენს მხოლოდ ამ პერიოდზე, ან გადახედვის პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ გადახედვა გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასთან დაკავშირებით გამოყენებული მნიშვნელოვანი განსჯა

ქვემოთ წარმოდგენილია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის მიერ განსჯის შედეგად გამოთქმული ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრება, გარდა იმ მოსაზრებების, რომელიც შეფასებებს ეყრდნობა (იხ. ქვემოთ) და რომლებიც ყველაზე მეტად მოქმედებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

იმ ბიზნეს მოდელის შეფასება, რომლის ფარგლებშიც აქტივების ფლობა ხდება და შეფასება იმისა, ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები ერთპიროვნულად წარმოადგენს თუ არა ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე. ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის შესახებ ინფორმაცია მე-2 შენიშვნაშია მოცემული.

შეფასების უზუსტობის ძირითადი მიზეზები

ქვემოთ წარმოდგენილია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის ძირითადი დაშვებები მომავლის შესახებ, ასევე შეფასების უზუსტობის ძირითადი მიზეზები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებითი კორექტირებები გამოიწვიოს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი

ქვემოთ მოცემულია მნიშვნელოვანი დაშვებები, რომლებიც ხელმძღვანელობამ გამოიყენა ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენების პროცესში და რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდათ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვებზე:

- **პროგრესული სცენარების განსაზღვრა:** მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისას ჯგუფი იყენებს გონივრულ და მხარდამჭერ საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ეყრდნობა სხვადასხვა ეკონომიკური დრავირების მომავალ მოძრაობასთან დაკავშირებულ დაშვებებს და ამ დრავირების ერთმანეთზე მოქმედების წესს.

ფინანსური ანგარიში

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 25-ე შენიშვნაში, მათ შორის მოსალოდნელ საპროგნოზო ინფორმაციაში განხორციელებული ცვლილებების მიმართ ანგარიშგებულ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მგრძობელობის ანალიზთან ერთად.

- **მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში:** როგორც მე-3 შენიშვნაში აღვნიშნეთ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ოდენობით 1-ლი დონის აქტივებისთვის, ან აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის ოდენობით - მე-2 და მე-3 დონის აქტივებისთვის. აქტივი მე-2 დონეში გადადის, როდესაც მისი საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ. ფასს (IFRS) 9 არ განსაზღვრავს რას ნიშნავს მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში. იმის შეფასებისას, აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა, ჯგუფი ითვალისწინებს თვისებრივ და რაოდენობრივ გონივრულ და მხარდაჭერს საპროგნოზო ინფორმაციაში.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 25-ე შენიშვნაში, მათ შორის მოსალოდნელ საპროგნოზო ინფორმაციაში განხორციელებული ცვლილებების მიმართ ანგარიშგებულ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მგრძობელობის ანალიზთან ერთად.

- **დეფოლტის ალბათობა:** დეფოლტის ალბათობა წარმოადგენს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში გამოყენებულ მნიშვნელოვან შემავალ ინფორმაციას. დეფოლტის ალბათობა არის გარკვეული დროის განმავლობაში დეფოლტის დადგომის შესაძლებლობის შეფასება, რომლის დაანგარიშება მოიცავს განვლილ მონაცემებს, დაშვებებს და მომავალი ვითარებების მოლოდინებს.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 25-ე შენიშვნაში, მათ შორის დეფოლტის ალბათობაში განხორციელებული ცვლილებების მიმართ ანგარიშგებულ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მგრძობელობის ანალიზთან ერთად.

- **დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში (LGD):** LGD არის დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგის შეფასება. ის ეყრდნობა სხვაობას გადასახდელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელთა მიღებასაც კრედიტორი მოელის, უზრუნველყოფის საგნიდან და კრედიტის ხარისხის გაუმჯობესებიდან წარმოშობილი ფულადი ნაკადების გათვალისწინებით.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 25-ე შენიშვნაში, მათ შორის დეფოლტის დანაკარგების შემთხვევაში განხორციელებული ცვლილებების მიმართ ანგარიშგებულ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მგრძობელობის ანალიზთან ერთად.

გადავადებული საგადასახადო აქტივების ანაზღაურებადობა

2018 წლის ივნისის თვეში საქართველოს პარლამენტმა განახორციელა საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილება, რომელიც ძალაში 2023 წლის 1 იანვრიდან შევა კომერციული ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო ორგანიზაციების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისთვის. ახალი კოდექსი მოქმედებს ჯგუფის მოგების გადასახადის აღიარების და შეფასების პრინციპებზე, ასევე ჯგუფის მოგების გადავადებულ საგადასახადო აქტივებზე/ვალდებულებებზე. ფინანსურ ინსტიტუტებს არ მოუწევთ მოგების გადასახადის გადახდა გადასახადით დაბეგრამდე მოგებისთვის (2023 წლის 1 იანვრიდან გამომუშავებული), სანამ მოგება არ გადანაწილდება დივიდენდების ან მოგების განაწილების სხვა ფორმით.

იქედან გამომდინარე, რომ ეს კანონი ფინანსური სექტორისთვის 2023 წლის იანვრიდან ამოქმედდება, მას უფრო სწრაფი გავლენა ექნება გადავადებული გადასახადის გაანგარიშებაზე.

ჯგუფის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ გადავადებული მოგების გადასახადის აქტივების/ვალდებულებების ნაშთები სრულად იქნება გამოყენებული კანონის ამოქმედების თარიღამდე ან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის მისი ეფექტი არაარსებითი იქნება. 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადავადებული საგადასახადო აქტივების საბალანსო ღირებულებამ შეადგინა 3,411 ათასი ლარი და 2,500 ათასი ლარი (შესაბამისად).

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანად შეფასება

როგორც 23-ე შენიშვნაშია აღწერილი, ჯგუფი იყენებს საშემფასებლო ტექნიკებს, რომლებიც მოიცავს შემავალ ინფორმაციებს, რომლებიც, თავის მხრივ არ ეფუძნება ემპირიულ საბაზრო მონაცემებს, კონკრეტული ტიპის ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად. 23-ე შენიშვნაში მოცემულია დეტალური ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრაში გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვებები, ასევე ამ დაშვებებისთვის მგრძობელობის დეტალური ანალიზი. ჯგუფის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ შერჩეული საშემფასებლო ტექნიკები და გამოყენებული დაშვებები შესაბამისია ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის.

4. ფასს (IFRS) სტანდარტების ცვლილებები, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებზე მოქმედებენ

ჯგუფს ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სხვა სტანდარტი, ცვლილება თუ ინტერპრეტაცია, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული. ქვემოთ აღწერილია სხვა ახალი და შეცვლილი ფასს (IFRS) სტანდარტების გამოყენება, რომლებიც ძალაშია პერიოდების დასაწყისში 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ:

ფასს (IFRS) 16 - იჯარა

ჯგუფმა ფასს (IFRS) 16 („იჯარა“) 2019 წლის 1 იანვრიდან მიიღო. ფასს (IFRS) 16 იძლევა საიჯარო გარიგებების და სააღრიცხვო პროცედურების იდენტიფიკაციის სრულყოფილ მოდელს როგორც მეიჯარის, ისე - მოიჯარისთვის. ფასს (IFRS) 16 ჩაანაცვლებს მიმდინარე საიჯარო სახელმძღვანელო მითითებებს, მათ შორის ბასს (IAS) 17-ს („იჯარა“) და დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს, მათი ამოქმედების თარიღიდან.

ფასს (IFRS) 16 განასხვავებს იჯარებს და მომსახურების ხელშეკრულებებს, იმის საფუძველზე, იდენტიფიცირებულ აქტივ აკონტროლებს თუ არა კლიენტი. ჩვეულებრივი იჯარების (არა საბალანსო უწყისი) და ფინანსური იჯარები (საბალანსო უწყისი) არ გამოიყენება მოიჯარის აღრიცხვაში და ისინი ჩანაცვლდება მოდელით, რომელშიც გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივი და შესაბამისი ვალდებულება აღიარდება მოიჯარის მიერ ყველა იჯარისთვის (ე.ი. ყველა საბალანსო უწყისში), გარდა მოკლევადიანი იჯარებისა და დაბალფასიანი აქტივების იჯარებისა.

გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივი თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება, შემდგომ (კონკრეტული გამონაკლისების გათვალისწინებით) დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით, საიჯარო ვალდებულების ნებისმიერი გადაფასებით კორექტირებით. საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომლებიც არ გადაიხდება ამ თარიღში. დეგ საიჯარო ვალდებულება იცვლება საპროცენტო და საიჯარო გადასახდელების, ასევე, სხვა საკითხებთან ერთად, საიჯარო მოდიფიკაციების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ფულადი ნაკადების კლასიფიკაციაც ასევე განიცდის ზემოქმედებას, რადგან ჩვეულებრივი საიჯარო გადასახდელები ბასს (IAS) 17-ის ფარგლებში წარმოდგენილია, როგორც საოპერაციო ფულადი ნაკადები; გარდა ამისა ფასს (IFRS) 16-ის მოდელის ფარგლებში საიჯარო გადასახდელები ძირითად თანხად და პროცენტის წილად დაიყოფა, რომელიც შესაბამისად წარდგენილი იქნება როგორც ფინანსური და საოპერაციო ფულადი ნაკადები.

მოიჯარის აღრიცხვისგან განსხვავებით, ფასს (IFRS) 16 სტანდარტს არსებითად გადმოაქვს მოიჯარის სააღრიცხვო მოთხოვნები ბასს (IAS) 17-დან და მეიჯარისგან მოითხოვს იჯარის ჩვეულებრივ ან ფინანსურ იჯარად კლასიფიცირებას.

ადრე ჯგუფი ჩვეულებრივ იჯარას აღრიცხავდა ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდის გამოყენებით იჯარის ვადაზე და აქტივებს და ვალდებულებებს აღიარებდა მხოლოდ ფაქტიურ საიჯარო გადასახდელებს და აღიარებულ ხარჯს შორის ვადის სხვაობის გათვალისწინებით. გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივი და საიჯარო ვალდებულება 4,294 ათასი ლარის ოდენობით 2019 წლის 1 იანვარს აღიარდა. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთია 7.6%. საშუალო შენონილი საიჯარო ვადა 4,8 წელია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები ბასს (IAS) 17-ის გამოყენებით 2018 წლის 31 დეკემბერს, რომელიც დისკონტირდება ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით თავდაპირველი გამოყენების თარიღში და საიჯარო ვალდებულებების გამოყენებით, რომლებიც აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში თავდაპირველი გამოყენების თარიღში.

ჩვეულებრივი იჯარის მთლიანი ვალდებულება მოცემულია 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.	443
მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები	(10)
ზემოთ მოცემული თანხების დისკონტირების ეფექტი	(7)
დამატებები იჯარის ვადის ცვლილების გამო	3,868
საიჯარო ვალდებულებები 2019 წლის 1 იანვარს	4,294

ცვლილებები ფასს (IFRS) 9-ში „საავანსო გადახდის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით“

მიმდინარე წელს ჯგუფმა პირველად მიიღო ფასს (IFRS) 9-ის ცვლილება. ფასს (IFRS) 9-ის ცვლილება განსაზღვრავს, რომ ავანსის გადახდის შესაძლებლობა აკმაყოფილებს თუ არა „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების“ მოთხოვნებს, ამ ფუნქციით მოსარგებლე მხარეს შეუძლია გადაიხადოს ან მიიღოს გონივრული კომპენსაცია ავანსისთვის, ამგვარი გადახდის მიზეზის მიუხედავად. ამ ცვლილების მიღებას არსებითი გავლენა არ მოუხდენია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ბასს (IAS) 28-ში „გრძელვადიანი მონაწილეობა მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“

მიმდინარე წელს ჯგუფმა პირველად მიიღო ფასს (IFRS) 28-ის ცვლილება. ცვლილებები განმარტავს, რომ ფასს (IFRS) 9, მათ შორის მისი გაუფასურების მოთხოვნები ეხება სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებს მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში, რომლის მიმართაც არ გამოიყენება კაპიტალ-მეთოდი. ეს მოიცავს გრძელვადიან ინტერესებს, რომლებიც ქმნიან საწარმოს წმინდა ინვესტიციის ნაწილს, მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში. ჯგუფი ბასს (IAS) 28-ს გამოყენებამდე ასეთ გრძელვადიან ინტერესებზე ფასს (IFRS) 9-ს იყენებს. ფასს (IFRS) 9-ის გამოყენებისას ჯგუფი არ ითვალისწინებს ბასს (IAS) 28-ით მოთხოვნილი გრძელვადიანი ინტერესების საბალანსო ღირებულების ცვლილებას. ამ ცვლილების მიღებას არსებითი გავლენა არ მოუხდენია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასიკ (IFRIC) 23 - „მოგების გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებული გაურკვევლობა“

ჯგუფმა მიმდინარე წელს პირველად მიიღო ფასიკ (IFRIC) 23. ფასიკ (IFRIC) 23-ში მოცემულია როგორ უნდა მოხდეს სააღრიცხვო საგადასახადო პოზიციის განსაზღვრება, როდესაც არსებობს მოგების გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებული გაურკვევლობა. ეს ინტერპრეტაცია ჯგუფისგან მოითხოვს შემდეგს:

- განსაზღვრება იმისა, არაკონკრეტული საგადასახადო პოზიციები განცალკევებით ფასდება, თუ ჯგუფურად; და
- შეფასება, არსებობს თუ არა ალბათობა იმისა, რომ საგადასახადო უწყება მიიღებს მოგების გადასახადის გამოთვლის მიდგომებთან დაკავშირებულ გაურკვევლობას, რომელიც გამოიყენება ან რომლის გამოყენებაც არის შემოთავაზებული საწარმოს მიერ, მის მოგების გადასახადის ჩანაწერებში: დადებითი პასუხის შემთხვევაში ჯგუფმა უნდა განსაზღვროს სააღრიცხვო საგადასახადო პოზიცია გამოყენებული ან დაგეგმილი საგადასახადო პროცედურების შესაბამისად მოგების გადასახადის დოკუმენტაციაში.

- უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, ჯგუფმა გაურკვევლობის ეფექტი უნდა ასახოს მისი სააღრიცხვო საგადასახადო პოზიციის განსაზღვრებაში, სხვა ყველაზე შესაძლო თანხის ან მოსალოდნელი ღირებულებითი მეთოდის გამოყენებით.

ამ ცვლილების მიღებას არსებითი გავლენა არ მოუხდენია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ბასს (IAS) 19-ში „დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები“

მიმდინარე წელს ჯგუფმა პირველად პერსპექტიულად მიიღო ბასს (IAS) 19-ის ცვლილება. ცვლილებები განსაზღვრავენ, რომ განვლილი მომსახურების ღირებულება (ან ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი) დაანგარიშდება დადგენილი ვალდებულების (აქტივის) შეფასებით, განახლებული დაშვებების გამოყენებით და შემოთავაზებული სარგებლებისა და დაგეგმილი აქტივების შედარებით გეგმის ცვლილებამდე (ან შემცირებამდე ან ანგარიშსწორებამდე) და მის შემდეგ, ამასთან არ ითვალისწინებს აქტივის წმინდა რეალიზაციის ღირებულების ეფექტს (რომელიც შესაძლოა წარმოიშვას გასამრჯელოს პროგრამის ზედმეტობის შემთხვევაში). ბასს (IAS) 19 იძლევა გარკვეულ ინფორმაციას, რომ

აქტივის წმინდა რეალიზაციის ღირებულების ეფექტის ცვლილება შესაძლოა გამოწვეულ იქნას გეგმის ცვლილებით (ან შემცირებით ან ანგარიშსწორებით), რომელიც განისაზღვრება მეორე დონეში და აღირიცხება ჩვეულებრივად სხვა სრულ შემოსავალში.

ასევე შეიცვალა პარაგრაფები, რომლებიც მომსახურების მიმდინარე ღირებულების და წმინდა პროცენტის შეფასებას ეხება განსაზღვრული სარგებლის ვალდებულების (აქტივის) გამოკლებით. საწარმოს მოეთხოვება განახლებული დაშვებების გამოყენება ამ გადაფასებიდან, რათა განსაზღვროს მიმდინარე მომსახურების ღირებულება და წმინდა პროცენტი გეგმის ცვლილების შემდეგ დარჩენილი ანგარიშგების პერიოდისთვის. წმინდა პროცენტის შემთხვევაში, ცვლილებები განსაზღვრავენ, რომ გეგმის ცვლილების შემდგომი პერიოდისთვის წმინდა პროცენტი დაანგარიშდება ბასს (IAS) 19.99-ის საფუძველზე შეფასებული წმინდა განსაზღვრული სარგებლის ვალდებულების (აქტივის) გამრავლებით გადაფასებაში გამოყენებულ დისკონტირების განაკვეთზე (ასევე შენატანების და სარგებლის გადახდის ეფექტის გათვალისწინებით წმინდა განსაზღვრულ სარგებლის ვალდებულებაზე (აქტივზე)). ამ ცვლილების მიღებას არსებითი გავლენა არ მოუხდენია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს (IFRS) სტანდარტების 2015-2017 წლების ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება

მიმდინარე წელს ჯგუფმა პირველად მიიღო ფასს (IFRS) სტანდარტების ყოველწლიურ გაუმჯობესებების 2015-2017 წლის ციკლში შესული ცვლილებები. ყოველწლიური გაუმჯობესებები მოიცავდა ოთხი სტანდარტის ცვლილებას.

ბასს (IAS) 12 „მოგებიდან გადასახადები“

ეს ცვლილებები განსაზღვრავენ, რომ საწარმო აღიარებს მოგების გადასახადის გავლენას დივიდენდებზე მოგებაში ან ზარალში, სხვა სრულ შემოსავალში ან საკუთარ კაპიტალში იმისდა მიხედვით, თუ სად აღიარა საწარმომ თავდაპირველად გასაწესებული მოგების წარმომქმნელი გარიგებები. ეს ხდება იმისდა მიხედვად, გადავადებული საგადასახადო ნორმები ვრცელდება თუ არა განაწილებულ და გაუნაწილებელ მოგებებზე.

ბასს (IAS) 23 „ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები“

ეს ცვლილებები განსაზღვრავენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ნასესხები სახსრები დაუფარავი დარჩება მას შემდეგ, რაც შესაბამისი აქტივი გამზადდება მისი დანიშნულებისამებრ გამოყენების ან გაყიდვის მიზნით, ამგვარი ნასესხები სახსრები გახდება იმ თანხების ნაწილი, რომელსაც საწარმო ზოგადად სესხულობს საერთო ნასესხებ სახსრებზე კაპიტალიზაციის ნორმის დაანგარიშებისას.

ფასს (IFRS) 3 „საწარმოთა გაერთიანება“

ფასს (IFRS) 3-ის ცვლილებები განმარტავს, რომ როდესაც საწარმო მოიპოვებს კონტროლს ბიზნესზე, რომელიც წარმოადგენს ერთობლივ საქმიანობას, მან უნდა გამოიყენოს საწარმოთა ეტაპობრივი გაერთიანების მოთხოვნებს, მათ შორის, ერთობლივ საქმიანობაში სამართლიანი ღირებულებით გადაფასებული ადრე ფლობილი წილის (PHI) ჩათვლით. გადასაანგარიშებელი ადრე ფლობილი წილი მოიცავს ერთობლივ საქმიანობასთან დაკავშირებულ არ აღიარებულ აქტივებს, ვალდებულებებს და გუდვილს.

ფასს (IFRS) 11 „ერთობლივი საქმიანობა“

ფასს (IFRS) 11-ის ეს ცვლილებები განსაზღვრავენ, რომ როდესაც მხარე, რომელიც მონაწილეობს, მაგრამ არ აქვს ერთობლივი კონტროლი ერთობლივ საქმიანობაზე, რომელიც, თავის მხრივ ბიზნესს წარმოადგენს, მიიღებს ამგვარი ერთობლივი საქმიანობის ერთობლივ კონტროლს, საწარმო არ მოახდენს ერთობლივ საქმიანობაში მისი ადრე ფლობილი წილის გადაანგარიშებას.

ამ ცვლილებებს არსებითი გავლენა არ მოუხდენია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი და შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღში ჯგუფს არ გამოუყენებია შემდეგი ახალი და შეცვლილი ფასს (IFRS) სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ შესულა ძალაში:

- ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“
- ცვლილებები ფასს (IFRS) 10-სა და ბასს (IAS) 28-ში „აქტივების გაყიდვა ან კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის“
- ფასს (IFRS) 3-ის ცვლილება „საწარმოს განმარტება“
- ბასს (IAS) 1 და ბასს (IAS) 8-ის ცვლილება „ტერმინის „არსებითის“ განმარტება“
- კონცეპტუალური საფუძვლები - ფასს (IFRS) სტანდარტებში კონცეპტუალური საფუძვლების საცნობარო ინფორმაციის ცვლილება

ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“

ეს ახალი სტანდარტი ადგენს სადაზღვევო ხელშეკრულებების აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპებს და ჩაანაცვლებს ფასს (IFRS) 4-ს „სადაზღვევო ხელშეკრულებები“.

სტანდარტი განსაზღვრავს საერთო მოდელს, რომელიც იცვლება სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის პირდაპირი მონაწილეობის შესაძლებლობით, რომელსაც ეწოდება „ცვლადი გადასახადის მეთოდი“. საერთო მოდელი გამარტივდება თუ დაკმაყოფილებული იქნება კონკრეტული კრიტერიუმები, დარჩენილი თანხის ვალდებულების შეფასებით, სადაზღვევო პრემიის განაწილების მეთოდის გამოყენებით.

საერთო მოდელი გამოიყენებს მიმდინარე დაშვებებს, მომავალი ფულადი ნაკადების თანხის, ვადებისა და გაურკვევლობების შესაფასებლად და პირდაპირ შეაფასებს ამგვარი გაურკვევლობის თვითღირებულებას, გაითვალისწინებს ბაზარზე არსებულ საპროცენტო განაკვეთებს და პოლისის მფლობელების ოფციონების და გარანტიების გავლენას. სტანდარტის დანერგვა სავარაუდოდ გამოიწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს საწარმოს პროცესებსა და სისტემებში და მოითხოვს ბევრად მეტ კოორდინაციას ბიზნესის სხვადასხვა ფუნქციებს შორის, მათ შორის ფინანსური, აქტუარული და საინფორმაციო ტექნოლოგიების ჩათვლით.

სტანდარტი ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, ამასთან ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. ის რეტროსპექტულად გამოიყენება, სანამ ეს არაპრაქტიკული არ გახდება, რა შემთხვევაშიც გამოიყენება შეცვლილი რეტროსპექტული მიდგომა ან სამართლიანი ღირებულების მიდგომა.

გადასვლის მოთხოვნების მიზნებისთვის, თავდაპირველი გამოყენების თარიღი წარმოადგენს დასაწყისს, თუ წლიური ანგარიშგების პერიოდი, რომელშიც საწარმო პირველად იყენებს სტანდარტს და გადასვლის თარიღი პერიოდის დასაწყისია, რომელიც წინ უსწრებს თავდაპირველი გამოყენების თარიღს.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ სტანდარტის გამოყენება მომავალში გავლენას იქონიებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს (IFRS) 10 „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“ და ბასს (IAS) 28 (ცვლილება)

ცვლილებები ფასს (IFRS) 10-სა და ბასს (IAS) 28-ში ეხება ვითარებებს, როდესაც ადგილი აქვს აქტივების გაყიდვას ან კონტრიბუციას ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის. კონკრეტულად, ეს ცვლილებები განსაზღვრავს, რომ შვილობილი კომპანიის კონტროლის დაკარგვით წარმოშობილი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც არ მოიცავს ბიზნესს მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოსთან გარიგებაში, რომელიც აღირიცხება კაპიტალ-მეთოდის გამოყენებით, აღიარდება მშობელი კომპანიის მოგებაში ან ზარალში მხოლოდ მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში არა დაკავშირებული ინვესტორების წილების შესაბამისად. ამის მსგავსად, შემოსულობა და ზარალი, რომელიც ნებისმიერ წინა შვილობილ კომპანიაში (რომელიც გახდა მეკავშირე ან ერთობლივი საწარმო, რომელიც, თავის მხრივ, აღიარდება კაპიტალ-მეთოდის გამოყენებით) შენარჩუნებული ინვესტიციების გადაანგარიშებიდან წარმოიშვება სამართლიანი ღირებულებით აღიარდება ყოფილი მშობელი კომპანიის მოგებაში ან ზარალში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს არა დაკავშირებული ინვესტორის ინტერესები ახალ მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში.

ცვლილებების ძალაში შესვლის თარიღი ბასსს-ს ჯერ არ განუსაზღვრავს, თუმცა ნებადართულია მათი ვადაზე ადრე მიღება.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ სტანდარტის გამოყენება მომავალში გავლენას იქონიებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს (IFRS) 3-ის ცვლილება „საწარმოს განმარტება“

ცვლილებები განსაზღვრავენ, რომ რადგან საწარმოებს აქვთ ნაწარმი, ეს უკანასკნელი არ მოითხოვება საქმიანობების და აქტივების ინტეგრირებული ნაკრებისთვის, საწარმოდ კვალიფიცირებისთვის. საწარმოსთან დაკავშირებით საქმიანობების და აქტივების შექმნილი ნაკრები უნდა მოიცავდეს სულ მცირე შემავალ და შემდგომ პროცესს, რომელიც ერთობლიობაში მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს ნაწარმის შექმნის უნარს.

წარმოდგენილი დამატებითი სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც დაგეხმარებათ იმის განსაზღვრაში არსებითი პროცესის შექმნა მოხდა თუ არა.

ცვლილებები ადგენენ შერჩევითი კონცენტრაციის ტესტს, რაც გამარტივებული შეფასების საშუალებას იძლევა იმის განსაზღვრად, შექმნილი საქმიანობების და აქტივების ნაკრები წარმოადგენს თუ არა ბიზნესს. შერჩევითი კონცენტრაციის ტესტის ფარგლებში, საქმიანობების და აქტივების შექმნილი ნაკრები არ არის საწარმო, თუ შექმნილი არსებითად ყველა მთლიანი აქტივების სამართლიანი ღირებულება კონცენტრირდება ერთ იდენტიფიცირებად აქტივში ან მსგავსი აქტივების ჯგუფში.

ცვლილებები გამოიყენება პერსპექტიულად საწარმოთა ყველა გაერთიანებებისთვის და აქტივების შექმნისთვის, რომლისთვისაც ნაწყიდობის თარიღი 2020 წლის 1 იანვარს და ამ თარიღის შემდეგ დაწყებული პირველი წლიური საანგარიშგებო პერიოდში ან ამ პერიოდის შემდეგ, ამასთან ნებადართულია მათი ვადაზე ადრე გამოყენება.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ სტანდარტის გამოყენება მომავალში გავლენას იქონიებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს (IAS) 1 და ბასს (IAS) 8-ის ცვლილება „ტერმინის „არსებითის“ განმარტება“

ცვლილება განკუთვნილია ბასს (IAS) 1-ში ტერმინის „არსებითი“ განმარტების გასამარტივებლად და მისი მიზანი არ არის ფასს (IFRS) სტანდარტებში არსებითობის საბაზისო კონცეფციის ცვლილება. „ბუნდოვანი“ არსებითი ინფორმაციის კონცეფცია არაარსებითი ინფორმაციით შევიდა ახალი განმარტების ნაწილში.

კლიენტებზე მოქმედი არსებითობის ზღვარი შეიცვალა ტერმინიდან „შესაძლოა იმოქმედოს“ ტერმინით „გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია იმოქმედოს“.

ტერმინის „არსებითი“ განმარტება ბასს (IAS) 8-ში ჩანაცვლდა ბასს (IAS) 1-ში მოცემული „არსებითის“ განმარტების საცნობარო ინფორმაციით. ამასთან, ბასსს-მ ასევე შეცვალა სხვა სტანდარტები და კონცეპტუალური საფუძვლები, რომლებიც მოიცავს ტერმინის „არსებითის“ განმარტებას ან მიმართებას ამ ტერმინზე თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად.

ცვლილებები პერსპექტიულად გამოიყენება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, ამასთან ნებადართულია ცვლილებების ვადაზე ადრე გამოყენება.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ სტანდარტის გამოყენება მომავალში გავლენას იქონიებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს (IFRS) სტანდარტებში კონცეპტუალური საფუძვლების საცნობარო ინფორმაციის ცვლილება

შეცვლილ კონცეპტუალურ საფუძველთან ერთად, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 29 მარტს გამოქვეყნებისთანავე, ბასსს-მა ასევე გამოსცა ცვლილებები ფასს (IFRS) სტანდარტებში საცნობარო ინფორმაციაში კონცეპტუალური საფუძვლის შესახებ. დოკუმენტი მოიცავს შემდეგი სტანდარტების ცვლილებებს: ფასს (IFRS) 2, ფასს (IFRS) 3, ფასს (IFRS) 6, ფასს (IFRS) 14, ბასს (IAS) 1, ბასს (IAS) 8, ბასს (IAS) 34, ბასს (IAS) 37, ბასს (IAS) 38, ფასიკ (IFRIC) 12, ფასიკ (IFRIC) 19, ფასიკ (IFRIC) 20, ფასიკ (IFRIC) 22 და იმკ (SIC) 32.

თუმცა ყველა ცვლილება არ აახლებს საფუძველთან დაკავშირებულ საცნობარო ინფორმაციას და განმარტებებს ამ ტერმინებთან დაკავშირებით, ისე, რომ ისინი ნიშნავდეს შეცვლილ კონცეპტუალურ საფუძველს. რამდენიმე განმარტება განახლდება მხოლოდ იმის საჩვენებლად, საფუძვლის რომელ ვერსიაზე მიუთითებენ ისინი (ბასსს-ს საფუძველი მიღებული ბასსს-ს მიერ 2001 წელს, ბასსს-ს 2010 წლის საფუძველი ან 2018 წელს ახალი შეცვლილი საფუძველი) ან იმის განსასაზღვრად, რომ სტანდარტში მოცემული განმარტებები არ განახლებულა შეცვლილ კონცეპტუალურ საფუძველში შემუშავებული ახალი განმარტებებით.

ფაქტიურად განახლებული ცვლილებები ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ სტანდარტის გამოყენება მომავალში გავლენას იქონიებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

	2019	2018
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი		
კლიენტებზე გაცემული სესხები	71,634	71,067
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	321	49
სხვა შემოსავალი	121	-
	71,955	71,116
სხვა საპროცენტო შემოსავალი:		
შემოსავალი ჯარიმებიდან	2,042	1,627
სულ საპროცენტო შემოსავალი ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებიდან	73,997	72,743
საპროცენტო ხარჯები		
ნასესხები სახსრები	(19,885)	(19,052)
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	(2,437)	(1,168)
საიტარო ვალდებულება	(312)	-
	(22,634)	(20,220)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	51,363	52,523

6. მიღებული გასამრჯელო და საკომისიო

	2019	2018
უცხოური ვალუტის კონვერტაციით მიღებული შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებელიდან	881	2,127
შემოსავალი სხვა გასამრჯელოდან და საკომისიოდან	438	325
	1,319	2,452

7. თანამშრომლებზე განეული ხარჯი

	2019	2018
ხელფასები და სხვა სარგებელი	21,808	17,588
წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული წილობრივი გადახდები	-	135
ხელმძღვანელობის წამახალისებელ გეგმასთან დაკავშირებული დანახარჯები	-	147
	21,808	17,870

ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმა, წილობრივი გადახდები

2014 წლის 12 დეკემბერს სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმა. ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის მიზანია მოტივაციის გაზრდა და ჯგუფის ხელმძღვანელობის აღმასრულებელი გუნდის წახალისება კაპიტალისზრდის სტრატეგიის განსახორციელებლად, ჯგუფის ინტერესების შემუშავება და დაცვა, აქციონერების და დაინტერესებული მხარეების ფართო ჯგუფის გათვალისწინებით.

- ლიკვიდურობის შენარჩუნება და გაუთვალისწინებელ ვითარებაში მოქმედების გეგმის დაფინანსება.

ლიკვიდურობის პოზიციის მონიტორინგს ახდენს ფინანსური დეპარტამენტი და აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი. ბაზრის ნორმალურ პირობებში, ინფორმაცია ლიკვიდურობის პოზიციის შესახებ კვირაში ერთხელ წარედგინება ხელმძღვანელობის რისკების მართვის კომიტეტს. ლიკვიდურობის მართვის შესახებ გადაწყვეტილებებს მიიღებს აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი და ახორციელებს ფინანსური დეპარტამენტი.

ქვემოთ მოცემული ცხრილები უჩვენებს არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს ფინანსურ ვალდებულებებზე და მათი ყველაზე შესაძლო სახელშეკრულებო დაფარვის ვადების საფუძველზე. მთლიანი შემომავალი და გამავალი ნაკადები, რომლებიც ცხრილებშია მოცემული, წარმოადგენენ სახელშეკრულებო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს ფინანსურ ვალდებულებებზე.

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მოთხოვ- ნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	სულ მთლიანი გამავალი ფულადი ნაკადები	საბა- ლანსო თანხა
არანარმოებული ვალდებულებები							
მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება	13	-	-	4,279	-	4,292	4,292
ნასესხები სახსრები	253,759	-	-	224	-	253,983	253,983
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	473	-	462	95	12,454	13,484	12,667
საიჯარო ვალდებულება	105	210	315	630	3,245	4,505	3,914
გადასახდელი დივიდენდები	-	-	-	767	-	767	767
სხვა ფინანსური ვალდებულებები	782	814	-	-	7	1,603	1,603
სულ ფინანსური ვალდებულებები	255,132	1,024	777	5,995	15,706	278,634	277,226

ფინანსური ანგარიში

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მოთხო- ვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	სულ მთლიანი თანხის გადინება	საბა- ლანსო თანხა
არაწარმოებული ვალდებულებები							
მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება	-	-	-	1,659	-	1,659	1,659
ნასესხები სახსრები	15,295	15,538	20,832	35,650	178,067	265,382	230,917
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	74	496	10,522	-	11,092	9,945
სხვა ფინანსური ვალდებულებები	400	264	586	-	21	1,271	1,271
სულ ფინანსური ვალდებულებები	15,695	15,876	21,914	47,831	178,088	279,404	243,792

გეოგრაფიული რისკი

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ოპერაციები ხორციელდება საქართველოში და ჯგუფის ბიზნეს გეგმები კრიტიკულად დამოკიდებულია ქვეყანაში სტაბილურობასა და კანონის უზენაესობაზე. საქართველო კვლავაც ამუშავებს განვითარებადი ბაზრის გარკვეულ ნიშან-თვისებებს. ქვეყნის ბიზნეს ან სამართლებრივი გარემოს გაუარესებას გავლენა აქვს ჯგუფზე.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს აქვს ნასესხები სახსრები 200,674 ათასი ლარის, 8,697 ათასი ლარის, 7,144 ათასი ლარისა და 37,468 ათასი ლარის ოდენით, შესაბამისად ევროპაში, აშშ-ში, აზიასა და საქართველოში დარეგისტრირებული პარტნიორებისაგან. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს აქვს ნასესხები სახსრები 174,856 ათასი ლარის, 16,216 ათასი ლარის, 6,628 ათასი ლარისა და 33,217 ათასი ლარის ოდენით, შესაბამისად ევროპაში, აშშ-ში, აზიასა და საქართველოში დარეგისტრირებული პარტნიორებისაგან.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ანალიზი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარებული თანხების მოსალოდნელი დაფარვის ვადებით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მოთხო- ვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	ვადგადა- ცილე- ბული	სულ
აქტივები							
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	20,106	-	-	-	-	-	20,106
კლიენტებზე გაცემული სესხები	25,448	31,954	97,923	133,176	3,187	5,523	297,211
სხვა ფინანსური აქტივები	1,547	36	-	714	-	-	2,297
სულ აქტივები	47,101	31,990	97,923	133,890	3,187	5,523	319,614
ვალდებულებები							
მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები	13	-	4,279	-	-	-	4,292
ნასესხები სახსრები	253,759	-	224	-	-	-	253,983
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	260	-	-	12,407	-	-	12,667
საიჯარო ვალდებულება	80	161	763	2,839	71	-	3,914
გადასახდელი დივიდენდი	-	-	767	-	-	-	767
სხვა ფინანსური ვალდებულებები	782	814	-	7	-	-	1,603
სულ ვალდებულებები	254,894	975	6,033	15,253	71	-	277,226
ნეტო პოზიცია	(207,793)	31,015	91,890	118,637	3,116	5,523	42,388

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ანალიზი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარებული თანხების მოსალოდნელი დაფარვის ვადებით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მოთხოვ- ნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	ვადაგადა- ცილე- ბული	სულ
აქტივები							
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13,953	-	-	-	-	-	13,953
მოგებასა და ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	37	-	405	-	-	-	442
კლიენტებზე გაცემული სესხები	10,866	36,090	93,937	116,269	63	7,383	264,608
სხვა ფინანსური აქტივები	1,156	108	5	436	-	-	1,705
სულ აქტივები	26,012	36,198	94,347	116,705	63	7,383	280,708
ვალდებულებები							
მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები	-	-	1,659	-	-	-	1,659
ნასესხები სახსრები	14,726	14,274	44,046	155,476	2,395	-	230,917
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	74	9,871	-	-	-	9,945
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები	-	-	104	-	-	-	104
სხვა ფინანსური ვალდებულებები	400	264	586	21	-	-	1,271
სულ ვალდ- ებულებები	15,126	14,612	56,162	155,497	2,395	-	243,792
ნეტო პოზიცია	10,886	21,586	38,185	(38,792)	(2,332)	7,383	36,916

26. ანგარიშგების წარდგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

კოვიდ-19-ის პანდემიამ ჯგუფის მომგებიანობის და დაფინანსების სტრუქტურაზე იმოქმედა და გამოიწვია შესაბამისი ფინანსური ვალდებულებების დარღვევა. მიმდინარეობს უარის წერილების მიღებასთან და/ან ინვესტორების მოთხოვნების ცვლილებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები. ჯგუფის ხელმძღვანელობის აზრით ვალდებულებების დარღვევა არ იწვევს დეფოლტის რაიმე მოვლენას ან ვალდებულებების ჯვარედინ შეუსრულებლობას და რომ არსებული პროგნოზების და ღონისძიებების გათვალისწინებით ის საკმარისი ოდენობით თანხებს ფლობს საქმიანობის გასაგრძელებლად.

2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ გამოაცხადა რესპირატორული დაავადების ეპიდემიის აფეთქება, რომელიც ახალი კორონავირუსით იყო გამოწვეული. ეს მოვლენა „პანდემიად“ გამოცხადდა. ეს დაავადება პირველად 2019 წლის ბოლოს გამოვლინდა და ახლა ის კოვიდ-19-ის სახელწოდებით არის ცნობილი. ეპიდემიამ ათასობით ადამიანზე იმოქმედა მთელს მსოფლიოში. მრავალმა ქვეყანამ განახორციელა ეპიდემიის აფეთქების დასაძლევად ღონისძიება, რამაც გლობალურ ბიზნეს-ოპერაციებზე იმოქმედა. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღის მდგომარეობით, ჯგუფის ოპერაციები მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ იყვნენ; თუმცა ჯგუფი განაგრძობს ვითარების მონიტორინგს და მან კონკრეტული პრევენციული ღონისძიებები განახორციელა მისი კაპიტალის პოზიციის დასაცავად.

ჯგუფმა მიიღო შემდეგი დაფინანსება საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ:

- 2020 წლის იანვარში ჯგუფმა გაფორმა სასესხო ხელშეკრულება მიკროსაფინანსო ფონდთან „BlueOrchard“, 2,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, 3-წლიანი ვადით, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით;
- 2020 წლის თებერვალში ჯგუფმა გააფორმა სასესხო ხელშეკრულება სს „პაშა ბანკი საქართველოსთან“ 4,000 ათასი ლარის ოდენობით თანხაზე 2 წლის ვადით, ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით;
- 2020 წლის თებერვალში ჯგუფის საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებამ სს „თიბისი ბანკთან“ 10,000 ათასი ლარი შეადგინა, 10-თვიანი ვადით და ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით;
- 2020 წლის თებერვალში ჯგუფმა გაფორმა სასესხო ხელშეკრულება მიკროსაფინანსო ფონდთან „Blueorchard“, 3,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, 4-წლიანი ვადით, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით;
- 2020 წლის თებერვალში ჯგუფმა გააფორმა სასესხო ხელშეკრულება „EFSE S.A. SICAV-SIF“-თან 5,000 ათასი ლარის აშშ დოლარის თანხაზე 3 წლის ვადით, ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით;
- 2020 წლის თებერვალში ჯგუფმა გაფორმა სასესხო ხელშეკრულება „INCOFIN C.V.S.O.“-სთან, 8,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, 3-წლიანი ვადით, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით;
- 2020 წლის თებერვალში ჯგუფმა გაფორმა სასესხო ხელშეკრულება მიკროსაფინანსო ფონდთან „SEB Microfinance Fund“, 3,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, 3-წლიანი ვადით, ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით;
- 2020 წლის მარტში ჯგუფმა გაფორმა სასესხო ხელშეკრულება შპს „MICROVEST EDF MASTER FUND“-თან, 8,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, 3-წლიანი ვადით, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით;
- 2020 წლის მარტში ჯგუფმა გაფორმა სასესხო ხელშეკრულება მიკროსაფინანსო ფონდთან „Blueorchard“, 5,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, 2,5 წლის ვადით, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით.

2020 წლის აპრილში მელანია კუჭუხიძე შეუერთდა მმართველ გუნდს ახალი უფროსი ბიზნეს ოფიცრის სახით, რითაც ამ პოზიციაზე კახა გაბესკირია ჩაანაცვლა. ადრე ის უფროსი ბიზნეს ოფიცრის მოადგილის ფუნქციას ასრულებდა. კახა გაბესკირია გაუძღვება და განავითარებს ჯგუფის საქმიანობის ახალ ხაზს - ლიზინგი.

2020 წლის მაისში სერგო ნოზაძემ დატოვა ადამიანებისა და ორგანიზაციული განვითარების უფროსი ოფიცრის თანამდებობა. ამ მიმართულებასაც აღმასრულებელი დირექტორი უხელმძღვანელებს.

ფინანსური ანგარიში

კრისტალი

ფინანსური ჩართულობის
ორგანიზაცია



ფოტოს ავტორი: არჩილ გეგენავა



დუნართები



დამსრუტის მართვის
ორგანიზაცია



დანართი 1

გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობა 2019 წლის მდგომარეობით

პრინციპები	სტატუსი	შენიშვნები
1. პუნქტი. საბჭოს ლიდერობა და კომპანიის მიზანი	4.6	
ა.: ეფექტიანი საბჭო	სრულად	
ბ: კომპანიის მიზანი და კულტურა	სრულად	
გ: რესურსები და კონტროლი	სრულად	
დ: დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა	ნაწილობრივ	იხ. კომენტარი დ ქვემოთ
ე: სამუშაო რესურსების პოლიტიკა	სრულად	
2. პუნქტი. განყოფილების პასუხისმგებლობა	3.25	
ვ: თავმჯდომარის ფუნქცია	ნაწილობრივ	იხ. კომენტარი ვ ქვემოთ
ზ: დამოუკიდებელი წევრები	არ შეესაბამება	იხ. კომენტარი ზ ქვემოთ
თ: საბჭოს ეფექტიანობა	სრულად	
ი: საბჭოს საკმარისი რესურსები	სრულად	
3. შემადგენლობა, უფლებამონაცვლეობა და შეფასება	3.0	
კ: დანიშვნა და უფლებამონაცვლეობა	ნაწილობრივ	იხ. კომენტარი კ ქვემოთ
ლ: უნარ-ჩვევების ერთობლიობა, განმეორებითი არჩევნები	ნაწილობრივ	იხ. კომენტარი ლ ქვემოთ
მ: წლიური შეფასება	ნაწილობრივ	იხ. კომენტარი მ ქვემოთ
4. აუდიტი, რისკი და შიდა კონტროლი	5.0	
ნ: აუდიტის ეფექტიანობა	სრულად	
ო: რისკების გამოვლენა	სრულად	
პ: შიდა კონტროლი და რისკის მართვა	სრულად	
5. შრომის ანაზღაურება	5.0	
ჟ: ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურება	სრულად	
რ: გამჭვირვალე პროცედურა	სრულად	
ს: დამოუკიდებელი გადაწყვეტილება	სრულად	
ჯამური ქულა	4.17	

შენიშვნა: სრული შესაბამისობა ფასდება 5 ქულით, ნაწილობრივი - 3 ქულით და შეუსაბამობა - 0 ქულით.

კოდექსის სრული ტექსტი:

<https://www.frc.org.uk/directors/corporate-governance-and-stewardship/uk-corporate-governance-code>

კომენტარები გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის შესახებ

დ: არ ხდება დასაქმებულებთან ეფექტიანი თანამშრომლობა, მაგალითად, სამუშაო რესურსების საკონსულტაციო კოლეგიის ფორმით, შესაბამისად, კომპანია ნაწილობრივ აკმაყოფილებს ამ სტანდარტს;

ვ: მიუხედავად იმისა, რომ თავმჯდომარე აღმასრულებელი დირექტორისგან დამოუკიდებელია, იგი არ შეიძლება იქნეს მიჩნეული დამოუკიდებლად გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსის თანახმად, რადგან მონაწილეობს კომპანიის აქციების ოფციონში (რომელიც სპეციალურად არის შექმნილი თავმჯდომარისთვის და არ ექვემდებარება ხელმძღვანელ გუნდს), წარმოადგენს

მნიშვნელოვან აქციონერს და 9 წელზე მეტია მოღვაწეობს საბჭოში; სხვა დანარჩენი კრიტერიუმების მიხედვით (მათ შორის, კომპანიის საერთო ხელმძღვანელობასთან, ღიაობისა და დებატების, ასევე თავმჯდომარის შეფასების ხელშეწყობის კრიტერიუმებთან დაკავშირებით), კომპანია შეესაბამება სტანდარტებს, შესაბამისად, ნაწილობრივ აკმაყოფილებს F მოთხოვნას;

ზ: კოდექსის განმარტების შესაბამისად, სულ მცირე, საბჭოს ნახევარი უნდა იყოს დამოუკიდებელი, ხოლო ხუთიდან მხოლოდ ერთი წევრი (გარდა თავმჯდომარისა) შეიძლება იყოს სრულიად დამოუკიდებელი; სხვა წევრები არიან ძირითადი ინვესტორები და დაინტერესებული მხარეები, ხოლო თავმჯდომარის მოადგილე 9 წელზე მეტია არის MFSG-ის წარმომადგენელი, 3 წელია აქვს ხელშესახები საქმიანი ურთიერთობა კომპანიასთან, როგორც დირექტორსა და აქციონერს;

კ: მიუხედავად საბჭოს წევრების დანიშვნის მკაცრი პროცედურისა, არ არსებობს სამართალმემკვიდრეობისა და მრავალფეროვნების ხელშეწყობის გეგმები. კრიტერიუმები სრულდება ნაწილობრივ;

ლ: ხელახალი არჩევნები ყოველწლიურად არ ტარდება; თავმჯდომარე დანიშნულია 9 წელზე ხანგრძლივი ვადით, თუმცა 2018 წელს მან სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ახალი როლი იტვირთა; „კრისტალი“ არ იყენებს გარე კონსულტაციებს საბჭოს წევრების დასანიშნად; კრიტერიუმები სრულდება ნაწილობრივ;

მ: არ არსებობს დირექტორთა საბჭოსა და მისი კომიტეტების ოფიციალური და მკაცრი წლიური შეფასება, თუმცა არსებობს მმართველი გუნდისა და საბჭოს თავმჯდომარის ყოვლისმომცველი შეფასება; არ არსებობს შეფასების გარე მხარდაჭერის მექანიზმი; კრიტერიუმები სრულდება ნაწილობრივ.

დანართი 2

2019 წლის სოციალური გავლენის კვლევა

ამ კვლევაში ასახულია როგორც თვისობრივი, ასევე რაოდენობრივი მონაცემები იმის საჩვენებლად, თუ რა გავლენა ქონდა ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია კრისტალს თავისი მომხმარებლების ბიზნეს-სეგმენტზე, ე. ი., მიკრო ბიზნეს სესხების, აგრო სესხების, ტურისტული სესხებისა და მცირე ბიზნესის სესხების კლიენტებზე.

შედეგები წარმოდგენილია ბიზნესისა და შინამეურნეობის ქრილებში მიღებული შედეგების ძირითადი მონაცემების მიხედვით.

კრისტალის კლიენტების განვითარებასა და მათ საქმიანობაზე შესაძლო პოზიტიური გავლენების გასაზომად გამოვიყენეთ ბიზნესთან მიმართებით ექვსი ინდიკატორისა და შინამეურნეობებთან მიმართებით ექვსი ინდიკატორი, შემდეგი შკალით:

0	ნულოვანი წვლილი
1-2	მცირე წვლილი
3-4	საშუალო წვლილი
5-6	დიდი/მნიშვნელოვანი წვლილი

ბიზნესის ქრილში, ე. ი., კლიენტების მიერ მართული/კლიენტთა საკუთრებაში არსებული მიკრო, მცირე და აგრო ბიზნესების შემთხვევაში, მოკლე სიაში შეტანილი შედეგების ინდიკატორები შემდეგია:

1. წმინდა შემოსავლის ზრდა (სულ მცირე 5%-ით);
2. აქტივებში განხორციელებული კაპიტალდაბანდებები;
3. ახალი პროდუქტების ან მომსახურების წარდგენა ან

4. პერსონალის გაფართოება;
5. ათვისებული ახალი ბაზრები ან გაყიდვების არხები (ახალი ლოკაცია, გაყიდვების არხი ან კლიენტთა სეგმენტი);
6. გაყიდვების ტექნოლოგიის გაუმჯობესებული გამოყენება.

შინამეურნეობების ქრილში, მოკლე სიაში შეტანილი შედეგების ინდიკატორები შემდეგია:

1. ინვესტიციები მოძრავ ქონებაში ან საყოფაცხოვრებო ტექნიკაში;
2. დაბოგვის კულტურა – არაოფიციალური თუ ოფიციალური დანაზოგის არსებობა;
3. კომუნალური და სხვა რეგულარული გადასახადების გადახდისუნარიანობა;
4. ოჯახის წევრების (მცირეწლოვანებისა თუ სრულწლოვანების) განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
5. ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა;
6. საერთო კმაყოფილება ეკონომიკური კეთილდღეობით.

პორტფელის მიმოხილვა

ჩვენს მიერ შერჩეული ინდიკატორების ანალიზის დაწყებამდე, ჯერ გავაანალიზეთ მთლიანი სასესხო პორტფელი გენდერულ ქრილში.

რაც შეეხება კლიენტთა ბაზას, საშუალოდ, ქალებმა კლიენტების 55%, ხოლო მამაკაცებმა 45% შეადგინეს. შეინიშნებოდა კაცი კლიენტების კლების, ხოლო ქალი კლიენტების ზრდის ტენდენცია.

კლიენტთა შენარჩუნების, ე. ი., კლიენტად ყოფნის წლების


საშუალო რაოდენობის, მიხედვით, როგორც მამაკაცები, ასევე ქალები კლიენტებად რჩებიან დაახლოებით 2 1/2-3 წელი.

საკრედიტო პორტფელის შეფასებისას, მამაკაცებზე გაცემული სესხების რაოდენობა შემცირდა, ხოლო ქალებზე გაცემული სესხების რაოდენობა გაიზარდა (თუმცა ნაკლებად მკვეთრად 2018 წელს). სესხების მოცულობის მიხედვით მსგავსი კანონზომიერება შეინიშნება, თუმცა ცვლილებები ნაკლებად გამოხატულია 2018 წელსა და 2019 წლის პირველ ნახევარს შორის არსებულ პერიოდებში.

რაც შეეხება სესხების რაოდენობის სქესის მიხედვით განაწილებას (იხილეთ ქვემოთ წარმოდგენილი გრაფიკი), მამაკაცებიც და ქალებიც სესხის ყველა კატეგორიაში თითქმის ერთნაირად არიან წარმოდგენილები, თუმცა ქალებს უფრო დიდი რაოდენობით სესხი აქვთ აღებული სალომბარდო საცალო და სწრაფი განვადების სესხების კატეგორიებში. ეს შეიძლება მიანიშნებდეს ქალების მიერ ყველა სახის პირადი და მცირე სავაჭრო ან საცალო მიზნით სწრაფი სესხების აღების ტენდენციაზე. სწრაფი განვადების სესხები განკუთვნილია ისეთი კონკრეტული საქონლისა თუ მომსახურების შესაძენად, როგორცაა საყოფაცხოვრებო ტექნიკა, მკურნალობის ხარჯების დაფარვა და ა. შ. ამისგან განსხვავებით, მამაკაცები უფრო მეტად ორიენტირებული არიან „საკრედიტო ხაზებზე“, „მცირე სესხებზე“ და „სოციალური პროექტის“ ტიპის სესხებზე, რაც შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ

დანართი 2

მსპ: სესხების რაოდენობა გენდერულ ჭრილში (%), 2018 წლის დეკემბერი



სესხების აღებისას მამაკაცები, მთლიანობაში, უფრო ბიზნესზე არიან ორიენტირებულები.

რაც შეეხება გენდერულ ჭრილში თითოეული სასესხო პროდუქტის მოცულობით წილებს, (იხილეთ ქვემოთ წარმოდგენილი გრაფიკი 5), მამაკაცებში სესხის უფრო მაღალი მოცულობები ფიქსირდება ისეთ კატეგორიებში, როგორიცაა „საკრედიტო ხაზის სესხები“, „სტარტაპ სესხები“, „აგრო სესხები“, „მცირე (ბიზნესის) სესხები“, „ექსპრეს მიკრო-სესხები“, „სოციალური პროექტის სესხები“ და უფრო ნაკლები მოცულობები ისეთ კატეგორიებში, როგორიცაა: „ტურისტული სესხები“ და „იპოთეკური სესხები.“ ამის საპირისპიროდ, ქალებში

სესხების გაცილებით მაღალი მოცულობები შეინიშნება ისეთ კატეგორიებში, როგორიცაა: სალომბარდო-საბითუმო სესხები, სალომბარდო-საცალო სესხები და სწრაფი განვადების სესხები, აგრეთვე ნაკლებად გამოკვეთილად ინსაიდერული სესხები, სამომხმარებლო სესხები და სეზონური სესხები. მამაკაცებისა და ქალების მაჩვენებლები თითქმის თანაბარია საბინაო სესხების მოცულობითი წილის თვალსაზრისით.

ზოგადად შეინიშნება, რომ „ბიზნესის პორტფელში“ აბსოლუტურად დომინირებენ მამაკაცები - მამაკაცები მთლიანობაში აბსოლუტური უმრავლესობით არიან

წარმოდგენილი აშკარა ბიზნესის მიზნით აღებული სესხების მოცულობით წილებში მაშინ, როცა არა-ბიზნეს სესხების მოცულობითი წილები უფრო მაღალია ქალი კლიენტების შემთხვევაში. სასესხო პორტფელის ამგვარი გადანაწილება შეიძლება მიანიშნებდეს კლიენტების მხრიდან თვითშერჩევაზე (მოთხოვნის მხარეს) ან/და ღრმად გამჭვდარ ცრურწმენებზე იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ განიხილებიან მამაკაცები და ქალები ბიზნეს ან/და ეკონომიკურ აქტორებად.


რაც შეეხება სესხის დაფარვის მაჩვენებლის განაწილებას სესხის ტიპებისა და სქესის მიხედვით, მამაკაცებში ზოგადად

ფიქსირდება PAR30-ის უფრო მაღალი დონე (30 დღეზე მეტად ვადაგადაცილებული სესხების უფრო მაღალი მაჩვენებელი), ვიდრე ქალებში (2.46% და 1.46%, შესაბამისად მამაკაცებისა და ქალების შემთხვევაში). ქალებთან შედარებით, მამაკაცებში სესხის დაფარვის მაჩვენებელი უფრო დაბალია ყველა სახის სესხის მიხედვით, განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაა მცირე სესხების, სეზონური სესხებისა და აგრო სესხების კატეგორიებში. ერთადერთი გამონაკლისია

ვადაგადაცილებული სესხები] პროცენტულ მაჩვენებლებს, დავინახავთ „კრისტალის“ 2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით არსებული მონაცემებიდან გამომდინარე იმის უთუო ემპირიულ მტკიცებულებას, რომ მამაკაცების მაჩვენებლები ჩამოუვარდება ქალი კლიენტების მაჩვენებლებს.

ჩვენს რაოდენობრივ კვლევაში გავზომეთ ასევე „მწვანე პრიდუქტები“-თუ რა რაოდენობით შეიძინეს „კრისტალის“ მსესხებლებმა

მსკ: მიღებული ენერგოპროდუქტების განაწილება - 2019 წლის კვლევა




საკრედიტო ხაზის სესხები, სადაც მამაკაცებთან შედარებით ქალებში სესხის დაფარვის უფრო დაბალი მაჩვენებელი შეინიშნება.

თუ ქვემოთ დავაკვირდებით ოთხი ძირითადი სახის ბიზნეს სესხის ქვეკატეგორიის საპროცენტო განაკვეთის, სესხის თანხისა და ვადიანობის მიხედვით შეჯამებულ PAR30 [30 დღეზე მეტად


მწვანე ენერგოპროდუქტები. იმის გათვალისწინებით, რომ რესურსების დაზოგვისა და მწვანე ენერგოპროდუქტების მნიშვნელობის შესახებ საქართველოში მოსახლეობა, ზოგადად, ნაკლებად ინფორმირებულია, რესპოდენტების მხოლოდ 13-მა პროცენტმა დაადასტურა „კრისტალის“ მიერ შეთავაზებული სულ ცოტა ერთი



მსპ: # სესხები გენდერულ ჭრილში, 2019 წლის ივლისი



მსპ: სესხების საშუალო მოცულობა გენდერულ ჭრილში (ლარი), 2019 წლის ივლისი



ასეთი პროდუქტის შექმნის ფაქტი. ამ პროდუქტების განაწილება შემდეგია (გრაფიკი 12):


ამის შემდეგ შევამოწმეთ სესხის სახეების შერჩევაში მიღებული საერთო გენდერული შედეგები, რისთვისაც ჯამური მონაცემები მოვითხოვეთ 2019 წელს სოციალურ გავლენაში შეტანილი წვლილის რაოდენობრივი და თვისობრივი შეფასების ათვლის წერტილის სახით. ამ შერჩევაში შეტანილი იყო ექსპრეს მიკროსესხები, მცირე სესხები (ან მცირე და საშუალო სანარმოების (SME) სესხები), აგრო სესხები, სამომხმარებლო სესხები, სალომბარდო სესხები და გარე განვადების სესხები.

ზემოაღნიშნული სახის სესხების შერჩევის ჯამური მთლიანი სასესხო პორტფელი მიუთითებს იმაზე, რომ მამაკაცები უფრო მეტად არიან წარმოდგენილი აგრო სესხებში, მსს [SME] სესხებში, და მიკრო ბიზნეს სესხებში, ხოლო ქალები და მამაკაცები თანაბრად არიან წარმოდგენილი სამომხმარებლო სესხებისა და გარე განვადების სესხების აღების თვალსაზრისით. მამაკაცებთან შედარებით, ქალები ქარბობენ სალომბარდო სესხებში.

თუმცა ქალ კლიენტებზე გაცემული სესხების ოდენობა უფრო მაღალია, სესხების თანხები მოცულობაში უფრო დიდია მამაკაცი კლიენტების სასესხო პორტფელში.

ამის შემდეგ, განხილული სესხის ტიპების შერჩევასთან დაკავშირებით (ქვემოთ იხილეთ გრაფა 17 და გრაფა 18)) მამაკაცებსა და ქალებს შორის საპროცენტო განაკვეთებისა და სესხების რაოდენობის მიხედვით განსხვავებების გაანალიზებისას შეინიშნება, რომ თუმცა ქალებს სესხის დაფარვის უკეთესი მაჩვენებლები აქვთ, მაგალითად, სამომხმარებლო სესხების შემთხვევაში (ისევე როგორც სესხების ყველა სხვა კატეგორიაში), მათზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთები უფრო დაბალი არაა, ვიდრე მამაკაცებზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთები (მიუხედავად იმისა, რომ კვლევის მიხედვით, ქალი კლიენტები უკეთესი გადამხდელები არიან).

მსპ: საშუალო საპროცენტო განაკვეთი სესხის სახისა და გენდერულ ჭრილებში




დანართები

თვისობრივი კვლევა: კვლევის შედეგები


ბიზნესის ქრილში, შკალის შედეგები საკმაოდ დადებით სურათს აჩვენებს: კლიენტების საქმიანობაზე ასახული დადებითი სოციო-ეკონომიკურ გავლენა შეინიშნება ამ კვლევის ფარგლებში შერჩეულ კატეგორიებში შემავალ ბიზნეს კლიენტებზე. ეს ნიშნავს იმას, რომ ამ მსესხებლებს/კლიენტებს, როგორც თვითონ აღნიშნავენ, დაუფიქსირდათ დადებითი შედეგები სულ ცოტა 3-4 და 5-6-მდე ინდიკატორებში. გარდა ამისა, სულ ცოტა 40%-მა დააფიქსირა გამოკვლეულ ინდიკატორში მიღებულ კარგ შედეგებში შეტანილი მცირე წვლილი (1-2 ინდიკატორები).

თუმცა ეს შკალა კონკრეტულ წონებს არცერთ შემონებულ ინდიკატორს არ ანიჭებს, ის გვიჩვენებს ბიზნესის დონეზე სოციალურ გავლენაში დადებითი წვლილის შეტანის ზოგად ტენდენციას. უფრო მეტიც, ქვემოთ წარმოდგენილი გრაფიკი გვაძლევს უფრო დაწვრილებით მონაცემებს იმაზე, თუ დადებითი შედეგები რა სიხშირით შეინიშნება გამოკითხულ მონაწილეებში თითოეული ინდიკატორის მიხედვით. კვლევის მიხედვით, კლიენტების დიდმა პროცენტმა (67%) შეძლო ინვესტიციების განხორციელება ბიზნესში, ე.ი., მათ შორის, მონყობილობა-დანადგარების შექმნაში, უძრავ ქონებაში და ავტოსატრანსპორტო საშუალებებში, ასევე აღინიშნა სამეურნეო ოპერაციებით უფრო მაღალი შემოსავლების მიღება (62%), ზოგიერთმა გააუმჯობესა ან დაამატა უფრო მეტი პროდუქტი ან მომსახურება (45%). სამეურნეო ოპერაციების შესასრულებლად ოცდარვა პროცენტმა (37%) მოიძია ახალი სარეალიზაციო ბაზრები, 35%-მა დაიქირავა უფრო მეტი პერსონალი, და შედარებით დაბალმა პროცენტმა (16%) გამოიყენა ციფრული საშუალებები (ძირითადად ინტერნეტი).

2019 წლის კვლევა: ბიზნესის შკალის შედეგები




2019 წლის კვლევა: ბიზნესის ინდიკატორების შედეგები




2019 წლის კვლევა: გამოკითხულ კლიენტთა უფრო მაღალი შემოსავალი პროცენტებში

კონკრეტულად შემოსავლების თვალსაზრისით, 45%-ში, როგორც თვითონ განაცხადეს, აღინიშნებოდა შემოსავლების 10%-მდე ზრდა და, რაც ასევე აღსანიშნავია: შერჩეული ჯგუფის 30%-ში შემოსავლები 15%-ით გაიზარდა (იხილეთ გრაფიკი).


შინამეურნეობის თითოეული ინდიკატორის გაზომვის შედეგად მიღებული შედეგების განალიზებიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „კრისტალის“ კლიენტების ოჯახების მიერ ავადმყოფობის დროს მედიკამენტების შეძენა და თანხების უძრავ ქონებაში დაბანდება ის სფეროებია, სადაც კლიენტებს უკეთესი შედეგები აქვთ. ოჯახის წევრების დამატებით განათლებაში საფასურის გადახდა ყველაზე რთული კომპონენტი იყო; კლიენტების დაახლოებით ნახევარს უადვილდებოდა კომუნალური გადასახადების გადახდა, მათ ასევე შეძლეს ბინების გაუმჯობესება და თანხის დაზოგვა.



2019 წლის კვლევა: შინამეურნეობის შკალის შედეგები



2019 წლის კვლევა: შინამეურნეობის ინდიკატორების შედეგები



თვისობრივი კვლევა: ნიმუშის რაოდენობრივი შეფასება

მონაწილეთა თვისობრივი კვლევისთვის მიზნობრივი შერჩევის შემდეგ (მიზნობრივი ჯგუფები), რომელშიც წარმოდგენილი იყვნენ - მთელი საქართველოს მასშტაბით - „კრისტალის“ მომსახურებით მოსარგებლე ბიზნეს კლიენტები, მიზნობრივად შეირჩა ბიზნესის მიკრო-სესხებით, დაკრედიტების უმსხვილესი ოპერაციების მქონე რეგიონები: ბათუმი, რუსთავი, თელავი, მარტვილი, ახალციხე და ქუთაისი. შერჩეული რეგიონული ფილიალები შევადგინეთ კლიენტების მოცვის (თითოეულ შერჩეულ რეგიონში არსებული ქალი და კაცი კლიენტების რაოდენობის), სესხების რაოდენობისა და მთლიანი სესხის თანხების თვალსაზრისით თვისობრივად შეფასებული

სესხის სახეების - გენდერულად დანაწილებული მიკრო ბიზნეს სესხების, მცირე სესხების, ტურისტული სესხების და აგრო სესხების - მიხედვით.

გარდა მარტვილისა, სადაც ქალი კლიენტებისა და სესხების ჯამური რაოდენობა აღემატებოდა კაცი კლიენტების რაოდენობასა და სესხის ჯამურ მაჩვენებელს, ყველა სხვა რეგიონში მამაკაცებს ქალებთან შედარებით უფრო მეტად მიუწვდებოდა ხელი „კრისტალის“ საკრედიტო მომსახურებაზე და მათ კრისტალიდან აღებული აქვთ უფრო დიდი რაოდენობისა და მოცულობის სესხები.

იმავე ფილიალებში მთლიანი პორტფელის იმავე ინდიკატორების შეფასებისას, ე. ი., არა მხოლოდ ბიზნესის ტიპების მიხედვით სესხის თანხები მამაკაცების შემთხვევაში ისევ უფრო დიდია, კლიენტებისა და სესხების საერთო რაოდენობა ქალების შემთხვევაში უფრო მაღალია. ეს შეიძლება მიანიშნებდეს იმაზე, რომ მთლიანი პორტფელის თვალსაზრისით, ქალები ითხოვენ უფრო მეტი რაოდენობით სამომხმარებლო/ არა-ბიზნეს სესხებს (და ნაკლებ თანხებში). გარდა ამისა, მთლიანობაში, თუმცა სესხების საშუალო რაოდენობები ქალი და კაცი მომხმარებლების შემთხვევაში თითქმის თანაბარია, მამაკაცებთან შედარებით ქალების წილი საერთო სასესხო პორტფელში - თანხის მოცულობით - მხოლოდ 49%-ია.

თვისობრივი კვლევა: შედეგები

რაც შეეხება თვისობრივი კვლევის შედეგებს, სოციალური გავლენის კვლევა ძირითადად კონცენტრირებული იყო შერჩეული ინდიკატორების გაზომვა- შეფასებაზე. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ნაჩვენებია და მიმოხილულია თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით მიღებული შედეგები და მიზნობრივ ჯგუფებში დაფიქსირებული შედეგების საშუალო მაჩვენებელი.

ცხრილი 3: შედეგების შედარება – მიზნობრივი ჯგუფები, ბიზნესის ქრილი

ინდიკატორი	რაოდენობრივი შედეგი (გამოკითხვა)	დიახ ან არა თვისობრივ კვლევაში? რა ზომით?
წმინდა შემოსავლის ზრდა (სულ მცირე 5%-ით)	62%	დიახ; დაახლოებით 66%
აქტივებში განხორციელებული კაპიტალდაბანდებები	67%	დიახ; დაახლოებით 70%
ახალი პროდუქტების ან მომსახურების წარდგენა ან არსებული პროდუქტების ან მომსახურების გაუმჯობესება	45%	დიახ; დაახლოებით 32%
პერსონალის გაფართოება	35%	დიახ; დაახლოებით 30%
ათვისებული ახალი ბაზრები ან გაყიდვების არხები (ახალი ლოკაცია, გაყიდვების არხი ან კლიენტთა სეგმენტი)	37%	დიახ; დაახლოებით 15%
გაყიდვების ტექნოლოგიის გაუმჯობესებული გამოყენება	16%	დიახ; დაახლოებით 11%

თვისობრივი კვლევით დასტურდება ის ფაქტი, რომ კვლევის მონაწილეთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა შეძლო ინვესტიციების ბიზნესებში ჩადება და შემოსავლების გაზრდა. პროდუქტების დივერსიფიკაციასთან, ბიზნესში პერსონალის გაფართოებასთან, ახალი ბაზრების მოძიებასთან და სამეწარმეო საქმიანობის მიზნით ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებული მაჩვენებლები შედარებით დაბალია. ეს შეიძლება აიხსნას „კრისტალის“ სასესიო პორტფელში ზრდაზე ორიენტირებული ბიზნესების შედარებით დაბალი მაჩვენებლით. წინამდებარე კვლევისა და ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ბიზნეს კლიენტების დაახლოებით ერთი მესამედი ზრდაზეა ორიენტირებული, ხოლო ორი მესამედი გადარჩენაზე ორიენტირებული ბიზნესებია, რომლებსაც მიმდინარე ეტაპზე არ აქვთ გაფართოების მყარი საფუძველი (ინფრასტრუქტურა/ ადამიანური კაპიტალი/ფინანსური პირობები).

ბიზნესის კეთებაში სირთულეები ასევე გამოიკვეთა მიზნობრივ ჯგუფებში, რომელთა შორისაც ქვემოთ მითითებულია ყველაზე ხშირად ნახსენები ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლიდა მომხმარებელთა ბიზნეს-საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებას:

- ქვეყანაში ზოგადი ეკონომიკური პირობების / მოსახლეობის სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება;
- ინფლაცია;
- საგარეო ეკონომიკური პირობების შეცვლა / რუსული ბაზრის არასტაბილურობა;
- მცირე ბიზნესებისთვის სახელმწიფო მხარდაჭერის არარსებობა, ტურისტული სესხების, ღვინის ექსპორტის, აგრო-წარმოების მიმართულებით სექტორში შემოღებული ახალი, მკაცრი რეგულაციები და ამის შედეგად

- გაძვირებული სესხები;
- კონკურენცია მსგავს ან უფრო მსხვილ ბიზნესებს შორის;
- სამეწარმეო შორსმჭვრეტელობის, ხარჯების მართვისა და რისკების ანალიზის საჭირო უნარ-ჩვევების არარსებობა;
- ბაზრის მოწყვლადობა;
- სამეურნეო ხარჯების და ფასწარმოქმნის მეთოდების არასწორად შეფასება: წარმოების მაღალი ხარჯი / დაბალი ფასი იმპორტზე; წარმოებული საქონლის დაბალი სარეალიზაციო ფასი / დაბალშემოსავლიანი მომსახურება;
- სხვა ფაქტორების (ახალი ბიზნეს-საქმიანობის წარუმატებლობა/წარუმატებელი ინვესტიცია; სავალუტო კურსის ცვლილებები) გამო შინამეურნეობის ეკონომიკური პირობების გაუარესება;
- ქარბვალიანობა;

- შესაფერისი სამუშაო ძალის ნაკლებობა: სამუშაო ძალის მიგრაცია ურბანულ ცენტრებში;
- ისეთი გარე შოკები, როგორიცაა მცენარეთა დაავადებები (მაგ.: ფაროსანა)
- ქალებზე დაკისრებული ორმაგი ტვირთი (საოჯახო საქმეები/ბავშვები/ავადმყოფი ნათესავები + ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები)
- რესპოდენტის ან მისი ოჯახის წევრის ჯანმრთელობის პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის საწარმოს შეუფერხებელ ფუნქციონირებას.

რაც შეეხება თვისობრივ კვლევას შინამეურნეობის ქრილში, ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში კიდევ ერთხელ არის შეჯამებული ის ძირითადი ინდიკატორები, რომელიც კვლევის ფარგლებში გაიზომა:

ცხრილი 4: შედეგების შედარება – გამოკითხვა და მიზნობრივი ჯგუფები, შინამეურნეობის ქრილი

ინდიკატორი	რაოდენობრივი შედეგი (გამოკითხვა)	დიახ ან არა თვისობრივ კვლევაში? რა ზომით?
ინვესტიციები მოძრავ ქონებაში ან საყოფაცხოვრებო ტექნიკაში	67%	დიახ; დაახლოებით 45%
დაზოგვისუნარიანობა – არაოფიციალურად და ოფიციალურად	46%	დიახ; დაახლოებით 21%
კომუნალური და სხვა რეგულარული გადასახადების გადახდისუნარიანობა	54%	დიახ; დაახლოებით 21%
ოჯახის წევრების (მცირეწლოვანებისა თუ სრულწლოვანების) განათლებაზე ხელმისაწვდომობა	34%	დიახ; დაახლოებით 17%
ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა	74%	დიახ; დაახლოებით 11%
საერთო კმაყოფილება ეკონომიკური კეთილდღეობით	65%	დიახ; დაახლოებით 53%

საერთო ჯამში, მიზნობრივ ჯგუფებთან ჩატარებული ინტერვიუებისას მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით, შინამეურნეობის ქრილში არსებული სურათი ნაკლებად ოპტიმისტურია, თუმცა მონაწილეთა ნახევარზე ოდნავ ნაკლებმა შეძლო ინვესტიციის საბინაო გაუმჯობესებაში ჩადება, ხოლო ნახევარზე ოდნავ მეტი კი კმაყოფილია თავიანთი ოჯახების კეთილდღეობით; ძალიან ცოტამ დააფიქსირა დაზოგვის კულტურა, რეგულარული კომუნალური გადასახადების გადახდისუნარიანობა და ოჯახის წევრის განათლების გაუმჯობესების შესაძლებლობა.

წინამდებარე ანგარიში შეიცავს ასევე ქვე-თავებს, რომლებშიც განხილულია შემდეგი ანალიტიკური სფეროები:

1. ამ შეფასების ფარგლებში ჩატარებული ანალიზისას გამოყენებული მეთოდოლოგიის სრული მიმოხილვა;
2. „კრისტალის“ ერთიანი მონაცემთა ბაზებზე დაყრდნობით, სესხის/პორტფელის ზოგადი მიმოხილვა;
3. ამ შეფასებით გათვალისწინებული ექვსის კონკრეტული სახის სესხის საერთო სტატისტიკური მონაცემების მიმოხილვა: ექსპრეს მიკროსესხები, მცირე და საშუალო ზომის სესხები (SME), აგრო სესხები, სამომხმარებლო სესხები, სალომბარდო სესხები და გარე განვადების სესხები (Point of Sales).

4. თვისობრივი კვლევის შედეგების ანალიზი, რაც მოიცავს შემდეგს:
 - ბიზნესების კვლევის პროფილები გენდერულ ქრილში;
 - პოზიტიურ სოციალურ გავლენაში „კრისტალის“ წვლილის შეფასება.
5. მიზნობრივი ჯგუფების თვისობრივი კვლევის შედეგების მიმოხილვა, რაშიც შედის შემდეგი:
 - შესავალი ქვეთავი, სადაც ყურადღება გამახვილებულია შერჩეული პროდუქტების / სესხის ტიპების გენდერულ ანალიზზე იმ რეგიონებში/ფილიალებში, სადაც თვისობრივი შეფასება ჩატარდა;
 - თვისობრივი კვლევიდან გამომდინარე ძირითადი დასკვნები.
6. საბოლოო დასკვნები და რეკომენდაციები

დასკვნები და რეკომენდაციები

მიკროეკონომიკური ერთეულებისთვის - მიკრო და მცირე ბიზნესებისთვის, შინამეურნეობებისთვის და ფიზიკური პირებისთვის ფინანსურ სახსრებზე ხელმისაწვდომობა არსებითად მნიშვნელოვანია მათი მდგრადი განვითარებისთვის. მომხმარებლების და მათი ოჯახების დაზოგვის კულტურა, ფერმერების მიერ თესლისა და სასუქებისთვის საჭირო საბრუნავი სახსრების მიღება და ფიზიკური პირების მიერ განათლების ან ბიზნის შესაძენად სესხის მიღების შესაძლებლობა წარმოადგენს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების გასაღებს, ეკონომიკური

საქმიანობის მთავარ სტიმულსა და ფინანსური უსაფრთხოების აუცილებელ წყაროს.

სოციალურ გავლენის კვლევის ბიზნესის ქრილში განხილული კლიენტების საქმიანობაში შეტანილი წვლილის ამ შეფასებით დასტურდება დამკვიდრებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ როცა (მიკრო) კრედიტი ბიზნესში იდება, კლიენტები სავარაუდოდ ზრდიან თავიანთი ბიზნესის საბრუნავ კაპიტალს ან აქტივებს და ყველა მათგანი ბიზნესს პოტენციურად მოიტანს გაზრდილ მოგებას.

თუმცა ამ კვლევის ფარგლებში ჩატარებული ანალიზით ცდომილებების (შერჩევა, განაწილება) სრული არქონა რთულია ან შეუძლებელია, მაგრამ კვლევა გვთავაზობს რამდენიმე საკვანძო მომენტს, რომელიც დაკავშირებულია კრისტალის მიერ მისი კლიენტების განვითარებაში შეტანილ დადებით წვლილთან როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისობრივ ქრილებში.

„კრისტალის“ ბიზნეს კლიენტების პროფილის ქრილში, როგორც მთლიანი სესხის პორტფელის მონაცემებიდან გამოჩნდა, მისი კლიენტების დაახლოებით 58% წარმოადგენს „ბიზნეს კლიენტები“, კვლევისას შესწავლილი სესხის ოთხი სახეობის მიხედვით: აგროსესხები (20%), მცირე და საშუალო სესხები (15%), ექსპრეს მიკროსესხები (18%) და ტურისტული სესხები (4%).

რაც შეეხება თვისობრივ შედეგებს, მთლიანობაში კლიენტების სულ ცოტა ერთი მესამედი ზრდაზე ორიენტირებული მიკრო-მენარმეა, რომელთა დიდი რაოდენობაც წარმატებით აფართოებს თავის საწარმოებს. ბიზნეს-კლიენტებს შორის მიზნობრივ

ჯგუფებში გამოიკვეთა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილს შეადგენენ სტარტაპები ან ბიზნესის მფლობელები/ხელმძღვანელები, რომლებიც ახორციელებენ თავიანთი ბიზნეს ოპერაციების დივერსიფიკაციას, რითაც ისინი აფართოებენ და ითვისებენ ახალ სამეწარმეო ხაზებს. ცხადი გახდა ისიც, რომ ყველაზე მოწყვლადი კლიენტების ქვეკატეგორიებს შორის არიან განათლების დაბალი დონის მქონე და ასაკოვანი ქალები.

მიზნობრივ ჯგუფებთან მუშაობის პროცესში, წარმატებულმა მენარმეებმა გამოთქვეს კმაყოფილება თავიანთი ბიზნესებით და განმარტეს, რომ ისინი რეგულარულად ცდილობენ საქმიანობის გაფართოებას. კვლევაში მონაწილეთა დიდმა ნაწილმა განაცხადა, რომ მათ შეძლეს სამეურნეო მიზნით მოწყობილობა-დანადგარების, ავტოსატრანსპორტო საშუალებების ან/და მიწის ნაკვეთების/ქონების შეძენა, თუმცა, როგორც საქართველოში და მსგავსი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში მიკროკრედიტების მიმღებთა უმეტესობის შემთხვევაში ხდება, უმეტესობა ერთმანეთისგან არ განასხვავებს თავიანთ ბიზნეს ინვესტიციებსა და პირად ინვესტიციებს.

სესხის დახმარებით ზოგმა კლიენტმა ასევე შეავსო საბრუნავი კაპიტალი თავისი ბიზნეს საქმიანობისთვის ან დაფარა სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან არახელსაყრელი პირობებით მანამდე აღებული სესხები. აღსანიშნავია, რომ რესპოდენტთა დიდმა უმრავლესობამ განაცხადა, რომ თავიანთი ბიზნეს-ინვესტიციების წყალობით მათ შეძლეს საკუთარი პროდუქტიულობის ზრდა. როგორც ჩანს, „კრისტალის“ კლიენტების

უმეტესობამ შეძლო ყოფითი პირობების გაუმჯობესება ბინის გარემონტების გზით ან/და შეიძინა საყოფაცხოვრებო ტექნიკა ან ავტომანქანა.

რაც შეეხება დანაზოგებს, ისინი უმთავრესად იქმნება არაოფიციალურად და ქალების მიერ. ტიპური სტრატეგიაა დანაზოგების ინვესტირება ოქროში ან ძვირფას ლითონებში.

რაც შეეხება მიკროსაფინანსო ინსტიტუტების ბაზარზე „კრისტალის“ რეპუტაციას, კვლავ შეინიშნებოდა კლიენტების თვალში ძალიან დადებითი იმიჯის არსებობა, რის დამადასტურებელი მტკიცებულებაც არის ის ფაქტი, რომ, როგორც კლიენტები აცხადებდნენ, მათ „კრისტალს“ ნაცნობების მხრიდან პოზიტიური რეკომენდაციის და რჩევის საფუძველზე მიმართეს. გარედან თუ ვიმსჯელებთ, „კრისტალი“ მოქმედებს, როგორც დამატებითი სესხის მიმწოდებელი შედარებით მსხვილი, მთავრობის მიერ სუბსიდირებული ფერმერებისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როცა მათ მოულოდნელად წარმოეშობათ დაფინანსების საჭიროება. ზოგ შემთხვევაში, „კრისტალმა“ შეიძლება მთავრობის მიერ დაფინანსებული მცირე ბიზნეს პროგრამების წარმომადგენლის როლიც კი შეასრულოს მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელთა შესახებ ინფორმირებულობის დონე დაბალია და, ამავე დროს, ინტერესები მათ მიმართ დიდია.

საინტერესოა, რომ მიზნობრივ ჯგუფებთან მუშაობისას ასევე გამოიკვეთა ერთგული კლიენტების ნახალისების მიზნით ისეთი შესაძლებლობების შექმნის საჭიროება, როგორიცაა საპროცენტო განაკვეთების შემცირება ლოიალური

კლიენტებისთვის, ან თავდებობის გაუქმება, როცა ფიზიკური პირის ფინანსური და სანარმოო საქმიანობა დამოუკიდებელია და დადებით შედეგებს აჩვენებს.

მსგავსად ზემოაღნიშნულისა, აღინიშნა მომსახურების გაუმჯობესების ისეთი სავარაუდო გზები, როგორიცაა იდეების გაზიარების და 'ნეთვორქინგის' ღონისძიებების ორგანიზება, სადაც მენარმეები ერთმანეთს გაუზიარებენ მათი ეკონომიკური საქმიანობისთვის/სფეროსთვის დამახასიათებელ ან ზოგადად სანარმოს მართვასთან, ფასწარმოქმნასთან, გაყიდვის მეთოდებთან, მარკეტინგთან/ციფრულ მარკეტინგთან, ბიზნესის ეფექტიანობისთვის ტექნოლოგიის გამოყენებასთან და ა.შ. დაკავშირებულ გამოცდილებას. აღნიშნული ღონისძიებები შეიძლება იქცეს კლიენტებისთვის შეთავაზებულ ერთ-ერთ ძირითად არასაფინანსო ან ბიზნესის განვითარების მომსახურებად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მომსახურების იმ სახეებს, რომლებიც სასარგებლოა არა მარტო სხვადასხვა სახის სესხის მიმღებთა სეგმენტებისთვის/კლიენტთა ჯგუფისთვის, არამედ ყველასთვის თანაბრად, განურჩევლად სქესისა. ნიჭიერი პერსონალის მოძიება იმ პრობლემას წარმოადგენს, რომელიც აფერხებს მათ სამეურნეო ოპერაციებს, ოპერაციული რისკი უფრო მაღალია ქალების შემთხვევაში, რადგან ისინი მამაკაცებთან შედარებით ჩვეულებრივ ბიზნეს საქმიანობას საოჯახო საქმეებთან შეთავსებით უფრო ფართო მასშტაბით წარმართავენ. ამიტომ ქალებს ამ მხრივ ურო მეტი მხარდაჭერა სჭირდებათ, ვიდრე მათ მამაკაც კოლეგებს.

ამასთან ერთად, დავუბრუნდეთ გენდერულ უთანასწორობასთან დაკავშირებით მე-5 თავში აღნიშნულ საკითხებს, კერძოდ, ბიზნესის განვითარების აქტივებზე, მაგ., აგროკლუბებზე ან ბიზნეს-გაერთიანებებზე, სავაჭრო ქსელებზე, აგრეთვე ზოგადი სამეურნეო უნარ-ჩვევების სფეროში საერთო მხარდაჭერაზე - ბიზნესის მართვის, ადამიანური რესურსების დაგეგმვის, ბიზნესისთვის ტექნოლოგიის განახლების, ფინანსური მართვის უნარ-ჩვევების სფეროებში მხარდაჭერაზე და ეკონომიკური სექტორისთვის დამახასიათებელ ნოუ-ჰაუზე წვდომის უფრო დაბალ დონეს. ეს გამოწვევა „კრისტალის“ მხრიდან მოითხოვს სპეციალურად შემუშავებულ მიდგომას ქალი ბიზნეს კლიენტებისადმი. ეს მოითხოვს „კრისტალის“ მენტორობის პროგრამის გაფართოებას უფრო მეტი მენარმე ქალის მხარდასაჭერად და ისეთი დამატებითი მომსახურების შეთავაზებას, როგორცაა სავაჭრო ან ბიზნეს გამოფენების ორგანიზება ქალთა ბიზნესებზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით. ეს შეიძლება გულისხმობდეს ბიზნესში წარმატებული ქალების ან წარმატებული მენარმეების მოწვევას იმისათვის, რომ მათ წაიყვანონ ღონისძიებები და ხელი შეუწყონ ქალებისთვის ახალი საბაზრო კავშირების დამყარებას.

რაც შეეხება ამ კვლევის თვისობრივი შედეგების შეჯამებას, კვლევამ აჩვენა, რომ რესპოდენტების უმრავლესობის აზრით მნიშვნელოვანწილად პოზიტიური სურათია როგორც ბიზნესის, ასევე შინამეურნეობების ქრილებში. მომხმარებლების საქმიანობაში კრისტალის სესხს დადებითი გავლენა ქონდა, როგორც თვითონ აღნიშნეს, ბიზნესზე ორიენტირებული ანალიზის სულ ცოტა 3-4 და 5-6-მდე ინდიკატორში. კლიენტების დიდმა ნაწილმა (67%) შეძლო ბიზნეს ინვესტიციების განხორციელება: სხვადასხვა საგნებს შორის შეიძინა მოწყობილობა-დანადგარები, უძრავი ქონება და ავტოსატრანსპორტო საშუალებები (62%), და გააუმჯობესა ან დაამატა პროდუქტები ან მომსახურება (45%). სამეურნეო ოპერაციების შესასრულებლად ორმოცდაოთხმა პროცენტმა (37%) მოიძია ახალი სარეაღიზაციო ბაზრები, 35%-მა დაიქირავა უფრო მეტი პერსონალი, და შედარებით დაბალმა პროცენტმა (16%) გამოიყენა ციფრული საშუალებები (ძირითადად ინტერნეტი). შინამეურნეობების ქრილში კვლევის შედეგები იძლევა დადებით სოციალურ გავლენაში საშუალო და დიდი წვლილის შეტანის დამადასტურებელ მტკიცებულებას. ეს ნიშნავს იმას, რომ, რესპოდენტების პასუხებზე დაყრდნობით, დადებითი შედეგები შეინიშნებოდა გაზომილ 3-4 და 5-6-მდე ინდიკატორებზე. ეკონომიკურ სტაბილურობაში, რაც შეფასდა, როგორც ბოლო პერიოდში (და

კლიენტების მიერ „კრისტალიდან“ სესხის აღების შემდეგ) კომუნალური გადასახადების გადახდისუნარიანობით, ასევე დამამიმედებელია.

გარდა ამისა, „კრისტალის“ კლიენტებზე ფოკუსირებული, ხალხზე ორიენტირებული და მონაცემებზე დაფუძნებული მიდგომა საჭიროებს გენდერულად სენსიტიური მიდგომის დამატებას იმისათვის, რომ ის შეესაბამებოდეს „კრისტალის“ „ხალხი-პლანეტა-მოგება“ (People-Planet-Profit) ფილოსოფიას. უფროს ზუსტად კი, ამ შეფასებისას მიღებული და დამუშავებული მონაცემების საფუძველზე იმის თქმა, რომ ქალების ფინანსური ქცევა აჩვენებს სესხის დაფარვის საკითხში პასუხისმგებლობის უფრო მაღალ დონეს, და ამასთან იმის გათვალისწინებაც, რომ მამაკაცებთან შედარებით ისინი საპროცენტო სარგებელს უფრო მაღალი განაკვეთებით იხდიან, მოითხოვს ქალი და კაცი კლიენტების ფინანსურ შესაძლებლობის გადახედვასა და კრედიტუნარიანობის რისკზე დაფუძნებულ ანალიზს.

ზემოხსენებულის პასუხად, აღსანიშნავია, რომ „კრისტალი“ უკვე მუშაობს ამ თემაზე და ქალ კლიენტებს სთავაზობს ტრენინგებსა და კონსულტაციებს ეკონომიკური გაძლიერების საკითხებში.

დანართი 3 - YES Georgia რიხვებში (2019)

კრისტალის ახალგაზრდა მენარმეთ სკოლა „YES Georgia“ რიხვებში - მთავარი მიღწევები:

- მხარი დაუჭირა 3,000-ზე მეტ ახალგაზრდა მენარმეს და პროფესიონალს, რომელთა დაახლოებით 60% ქალია;
 - სამენარმეო უნარ-შესაძლებლობების შესახებ ტრენინგი გაიარა დაახლოებით 1,000 ახალგაზრდამ;
 - 230,000 აშშ დოლარის მობილიზება მოახერხა კერძო და საჯარო ფონდებიდან ახალგაზრდების სანარმოებისა და სტარტაპების მხარდასაჭერად;
 - 200-ზე მეტმა ახალგაზრდამ სკოლის დახმარებით შეძლო თავისი სამენარმეო და ბიზნეს შეთავაზებების შემუშავება და ფინანსურად გამართვა;
 - საფუძველი ჩაუყარა მიკრო-ინვესტიციების/აქციების (micro equity) მექანიზმს, რომლის მოდელზეც უკვე 55 ახალგაზრდა მენარმეს დაუფინანსდა სამენარმეო საქმიანობა;
 - 500-ზე მეტმა სკოლის მოსწავლემ (რომელთა უმრავლესობა გოგონაა) გაიარა სპეციალური სამენარმეო პროგრამა; ამავე პროგრამის ფარგლებში დასაქმებისა და სტაჟირების პროგრამა ახალგაზრდებმა 90-ზე მეტ სხვადასხვა ორგანიზაციასა და კომპანიაში გაიარეს;
 - ზემოთ აღნიშნული დასაქმებისა და სტაჟირების პროგრამის ფარგლებში 200-ზე მეტი ახალგაზრდა დასაქმდა.
- აღნიშნული პროგრამა განხორციელდა PH International Georgia-სთან და Junior Achievement Georgia-სთან თანამშრომლობით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID Georgia) ფინანსური მხარდაჭერით.
- „იეს ჯორჯიას“ პროექტის (მეორე ფაზის) მიზანია თვითდასაქმებული და, ზოგადად, დასაქმებული ახალგაზრდების (14-დან 28 წლამდე) ეკონომიკური შესაძლებლობების გაზრდა, მათი დასაქმების ხელშეწყობა, ინოვაციური პროგრამის დახმარებით საჭირო სამენარმეო უნარ-ჩვევების მიწოდება ახალგაზრდებისთვის და ასევე ახალი შესაძლებლობების შექმნა, რაც, საბოლოოდ, ამ ახალგაზრდების ეკონომიკურ გაძლიერებას ემსახურება.
- „ახალგაზრდებისა და ქალთა მენარმეობის მხარდაჭერა საქართველოში“ USAID-ის მიერ ადრე დაფინანსებული ახალგაზრდა მენარმეთა სკოლის (YES-Georgia) გაგრძელებაა. 2016 წლიდან, YES-Georgia-ს პროექტმა 3,000-ზე მეტ ახალგაზრდა მენარმეს შეუწყო ხელი, რომელთა უმრავლესობა გოგონა იყო. 2019 წელს YES-Georgia-ს პროგრამას ახალი კომპონენტი - Buzz Georgia/ „ბაზ საქართველო“ - დაემატა. „ბაზ საქართველო“ გლობალური ქსელის Buzz Women-ის ოფიციალური ქართული წარმომადგენლობაა (ფრანჩიზა), რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ქალ მენარმეებს. პროექტის ფარგლებში Buzz Georgia-ს ტრენინგების საშუალებით საქართველოში 2,500-ზე მეტ
- ქალს ექნება ფინანსებზე წვდომისა და საჭირო ცოდნის მიღების, ასევე სამენარმეო უნარ-ჩვევების გაღრმავებისა და პირადი განვითარების შესაძლებლობა. შედეგად კი, ბიზნეს-მენეჯერული უნარ-ჩვევების გაძლიერებითა და სამენარმეო ცოდნისა და ინფორმაციამე ხელმისაწვდომობით, რეგიონებსა და სოფლად მცხოვრებ ქალთა გაზრდილ ეკონომიკურ ჩაბმულობას მივიღებთ.
- მომდევნო 4 წლის განმავლობაში პროგრამა YES-Georgia მხარს დაუჭერს ახალგაზრდა და ქალ მენარმეებს. პროექტს
- ფინანსურ მხარდაჭერას (840,000 აშშ დოლარის ოდენობით) უწევს USAID საქართველო და თეთრი სახლის ქალთა გლობალური განვითარებისა და კეთილდღეობის ინიციატივა (W-GDP). 2024 წლისთვის პროექტს 2,500-ზე მეტი ქალი ბენეფიციარისათვის ექნება მიწოდებული ბიზნესის მართვის ტრენინგები, ასევე იურიდიული და ფინანსური მომსახურება, მენტორობა და „ნეთვორქინგის“ შესაძლებლობები. ტრენინგების დახმარებით პროგრამა ხელს შეუწყობს ქალი მენარმეების შესაძლებლობების გაძლიერებას, რითაც წვლილს შეიტანს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.



დანართი 3



შემოკლებები

- ACCA სერტიფიცირებული ნაფიც ბუღალტერთა ასოციაცია
- ADB აზიის განვითარების ბანკი
- AFD საფრანგეთის განვითარების სააგენტო
- ALCO აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი
- AML ფულის გათეთრების საწინააღმდეგო
- BCBS საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი
- BPS საბაზისო პუნქტები
- BSTDB შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი
- CSRDG საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
- DWM მსოფლიო ბაზრის განვითარება
- E&S გარემოს დაცვითი და სოციალური
- ESG სოციალური და კორპორაციული მართვა
- EBRD ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
- EFSE ევროპის ფონდი სამხრეთ ევროპისთვის
- ESS თანამშრომელთა თვითმომსახურების მოდული
- W-GDP თეთრი სახლის „ქალთა გლობალური განვითარებისა და კეთილდღეობა
- FMO ჰოლანდიის განვითარების ბანკი
- HR ადამიანური რესურსები
- HRMS ადამიანური რესურსების მართვის სისტემისა
- ISO სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
- IT საინფორმაციო ტექნოლოგიები
- MPR მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი
- MFR საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია „მიკროფინანზა“
- NPL ვადაგადაცილება მთლიან სესხებში
- NEER ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი
- REER რეალური ეფექტური გაცვლის კურსი
- SDC შვეიცარიის განვითარება და თანამშრომლობა
- SDG მდგრადი განვითარების მიზანი
- SQA პროგრამული უზრუნველყოფის ხარისხის უზრუნველყოფა
- მისო მიკროსაფინანსო ორგანიზაცია
- მშპ მთლიანი შიდა პროდუქტი
- პპ პროცენტული პუნქტი
- სებ საქართველოს ეროვნული ბანკი
- სს სააქციო საზოგადოება



კრისტაღი

ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია

